ISSN 0132 — 5973

140
1979/2
ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

9
1979

# ბედნიერი ბავშვობის დიდი ზეიმი



ლ. ი. ბრეჟნევი სტუმრად არტეკელებთან

№181

9 აგვისტოს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერულ ბანაკს ესტუმრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად ბავშვებთან სტუმრად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ს. მაკარენკო, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. პასტუხოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, პარტიის იალტის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. დ. ბარვინსკი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. კ. ფედულოვა.

„არტეკის" მთავარ მოედანზე ძვირფას სტუმრებს უდიდესი სიხარულით მიესალმნენ პიონრები — დედამიწის ყველა კონტინენტის წარმოგზავნილნი, ბავშვთა საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი დღესასწაულის მონაწილენი.

სტადიონზე შეკრებილ არტეკელებს სიტყვით მიმართა ლ. ი. ბრეჟნევმა.

„ძვირფასო ბავშვებო! ნორჩო მეგობრებო!

მხურვალედ და გულითადად მოგესალმებით თქვენ, მსოფლიოს ყველა ბავშვს — პლანეტის იმედსა და მომავალს!

მოხარული ვარ, რომ თქვენ შეგხვდით, თქვენს მოცინარ სახეებს ვხედავ, თქვენი წკრიალა ხმა მესმის. თქვენ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობთ, მაგრამ ერთმანეთისა გესმით, რადგან გამონახეთ საერთო ენა — მეგობრობის ენა.

თქვენს დღესასწაულს ჩინებული დევიზი აქვს— „მშვიდობიან მსოფლიოში ბედნიერი ბავშვობისათვის"! იგი მართლაც რომ ზედგამოჭრილია ამ წლისათვის — ბავშვის საერთაშორისო წლისათვის.

მშვიდობა — ეს არის ბავშვთა ბედნიერება, ყველა ადამიანის ბედნიერება. უმშვიდობოდ ბავშვობა არ არსებობს. უმშვიდობოდ მომავალი არ არსებობს. არადა, მილიონობით ადამიანს ხომ ომებმა წაართვეს ბავშვობა და ეს არავის არ უნდა დაავიწყდეს.

ყოველ თაობას თავისი წვლილი შეაქვს ისტორიაში და თქვენც უნდა ჩაწეროთ თქვენი ფურცლები კაცობრიობის ბიოგრაფიაში. დადგება დრო, როცა უფროსები თქვენ გადმოგცემენ სოციალური და მეცნიერული პროგრესის ესტაფეტას, როცა თქვენ იკისრებთ მშობელი ქვეყნისათვის, მშვიდობისათვის ზრუნვას.

უფროსები ნატრობენ, რომ ყოველი თქვენგანი ბედნიერი იყოს, ნამდვილი ადამიანი დადგეს. რას ნიშნავს ეს — დადგე ნამდვილი ადამიანი? ეს ნიშნავს — ერთგულად ემსახურო თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეალებს, გიყვარდეს შენი სამშობლო, შენი ერი, პატივს სცემდე ყველას, ვინც ირჯება და კარგადაც ირჯება საზოგადოების საკეთილდღეოდ, იყო შეუწყნარებელი სისასტიკის, ბოროტების, ექსპლოატაციის, ადამიანის ყოველგვარი დამცირების მიმართ.

ეს ნიშნავს — აქტიურობდე მრავალფეროვანი და რთული ცხოვრების ყველა სფეროში, შემოქმედებითად და შინაგანი სიმტკიცით უდგებოდე საქმეს, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოგქონდეს ადამიანებისათვის.

ეს ნიშნავს — იყო ალალი, სამართლიანი, ერთგული მეგობარი. პატივს სცემდე ადამიანს, მიგაჩნდეს იგი შენს ტოლად, რა ენაზეც უნდა ლაპარაკობდეს ან რა ფერის კანიც უნდა ჰქონდეს.

ეს ნიშნავს — არა მარტო გახარებდეს გარემომცველი სამყაროს საოცრებანი, არამედ ხედავდე კიდეც იმას, თუ რა ბევრი რამ გაქვს გასაკეთებელი, რათა ცხოვრება გახდეს უკეთესი, მშვიდობა — უფრო მტკიცე, ადამიანები უფრო ბედნიერნი, ვაჟკაცურად სძლევდე სიძნელეებს, რომლებიც ყველა თაობამ უნდა გამოსცადოს.

ყველა ეს თვისება თქვენ ამთავითვე უნდა გამოიმუშაოთ. ყველაფერი ბავშვობიდანვე იწყება! და ყველაფრის თავი და თავია სწავლა, ცოდნის, კულტურის დაუფლება.

აი, რატომ არის, რომ ჩვენ, უფროსი თაობის ხალხი, თქვენი მეგობრები, გეუბნებით: ისწავლეთ, რათა იცოდეთ, ისწავლეთ, რათა ილვაწოთ და იბრძოლოთ იმისათვის, რაც თქვენს გულს და სულს გაახარებს. იზარდეთ ჯანსაღი და ჯანმაგარნი, გაიკაჟეთ თავი სპორტით, ლაშქრობებით, შრომით, იყავით გონიერნი, გულადნი, გულისხმიერნი, ჩადექით სახალხო საქმისათვის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის მებრძოლთა რიგებში, დაიზარდენით ნამდვილ ადამიანებად!

არ მოგკლებოდეთ, ძვირფასო ბავშვებო, სიხარული, სიკეთე, მშვიდობა და მზეგრძელობა!"

ბავშვები დიდხანს მხურვალედ უკრავდნენ ტაშს. ისინი ერთხმად გაიძახოდნენ: „მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ჩვენი ბედნიერი ბავშვობისათვის!" „ვფიცავთ, რომ ღირსნი ვიქნებით ჩვენი დიადი ქვეყნისა, ჩვენი ლენინური პარტიისა!"

# მწვერვალიდან მწვერვალისაკენ...

ა. კონდრაშოვი,
გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" კორესპონდენტი.

მ. ხერგიანი

არმია
და
ფლოტი
ახალგაზრდობის
საარმიო
ცხოვრების
სკოლა.
საბჭოთა
პატრიოტიზმისა
და
სოციალისტური
ინტერნაციონალიზმის
სკოლა.

ისტორიული ტრადიცია და კონტინუიტეტი.

სამხედრო-პატრიოტული აღზრდა საშუალო სკოლაში.

ჯარისკაცის რთული კრიტერია.

ჭეშმარიტი მეგობრობა და ინტერნაციონალიზმი.

კომკავშირული თავგანწირულობა.

კურსანტის მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება. თაობათა ესტაფეტა ანუ „წიგნი არმიელებისადმი მეურვეობა.

აი, საკითხები, რომლებიც საფუძვლად დაედო ჩვენს ნარკვევს.

●

„ან-12-მა სველ ბილიკზე გადიმლიგინა და გამაყრუებელი გრიალით გაექიდა ნესტიან სივრცეს ასეთ ამინდზე იტყვიან სწორედ — „ძაღლი კარში არ გააგდებაო".

თავიანთი ერთეულესი დავალების შესასრულებლად მიემგზავრებოდნენ მედესანტე-მეზვერავები, რომელთაც ამ თავსხმაში „ხიფათიანი ნახტომი" და მტრის ზურგში საქელი ათობით კილომეტრი წავარნა-ბილიკი ელოდებოდათ.

ბიჭები მაინც იხტიბარს არ იტეხდნენ. ცდილობდნენ უამინდობით გამძაფრებული „პროფესიული განცდები" როგორმე გაექარვებინათ. რიგითმა ჯარისკაცმა ვასილ ვიდოვმა ხუმრობა სცადა:

— ურწმუნობისათვის დაგვსაჯა მამაზეციერმა, ხომ ხედავთ, როგორ აგვირია მონასტერი...

— ღრუბლებში უფრო რბილად ჩავსრიალდები... — ხმის ჩახლეჩამდე დაიყვირა იგნატ კაზმალიმ, გამხდარმა მაღალმა ჯარისკაცმა.

— ჩვენს მეიდეულს ეგეთი ბედი დაჰყვა თავიდანვე, — ჩაერია ამხანაგების საუბარში გია ღოღობერიძე. — აბა თუ გაიხსენებთ, უკანასკნელად როდის დაგვემთხვა კარგი ამინდი?

ბიჭები ჩაფიქრდნენ.

— ორჯერ თუ იყო... — დაეთანხმა მეგობარს უმცროსი სერჟანტი ვალერი ვასილიევი.

— მაგარი ბიჭები ხართ, მამაზეციერმა, მაშა... აბაო, დარიან-მზიანში ბურვაკიც რო დაკიდო პარაშუტზე, ისე დაეშვება, სილამაზით გაოგნებულს შეიძლება ღრუტუნიც კი დაავიწყდესო...



პიონერთა რიგებში მიღება პირველად შეფებმა მიულოცეს პატარებს

— ვიდოვს კიდევ რაღაცის თქმა ეწადა, მაგრამ ძნელი იყო თვითმფრინავში გრძელი საუბარი. მოტორის გამაყრუებელ ხმაურს თუ არ წააჭარბებდი ხმამაღალი ლაპარაკით, ისე ამხანაგებს ვერაფერს გააგონებდი, არადა ძარღვები უნდა ჩაგეწყვიტა ღრიალით.

ფიუზელაჟის შორეულ კუთხეში განმარტოებით იჯდა მზვერავთა ჯგუფის მეკავშირე — „ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა" ფიოდორ ბარანჩუკი. ყმაწვილკაცს ზურგზე თავისი „კონტეინერი" — საკმაოდ მძიმე აპარატი აეკიდებინა და ფიქრებს მისცემოდა.

— მძიმე ხვედრი კი გერგო, ძმობილო, მაგრამ, სამაგიეროდ, პირველიცა ხარ... — გადასძახა ფიოდორს გია ღოღობერიძემ. — უფრო სწორად, გითმობთ პირველობას და რაღა გინდა...

— დააჭი ენას... — მოკლედ გაეპასუხა ფიოდორი, — შე მხდალო კურდღელო, შენა...

ბიჭები, ეტყობა, დაიღალნენ ლაპარაკით. მოხერხებულად მოეწყვნენ და მრგვალი სარკმლებიდან გაადევნეს მეოცნებე თვალები წვიმაში ჩაფარფატებულ ღრუბლის ნაფლეთებს. ახლოვდებოდა „გადასხმის" მომენტი. ამ განვლილი ერთი წლის მანძილზე, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ დაშვებულან პარაშუტებით, მაგრამ ყოველი „გასვლა სივრცეში" მაინც თავისებურ განცდას იწვევდა, ყოველი ახალი შეხვედრა ცისიერ უსასრულეთთან რაღაც ახალს, იდუმალსა და შეუცნობელს ჰპირდებოდათ. ეს იდუმალი და შეუცნობელი კი შიშის ათასი თვალებით იხედებოდა მამაცი კომკავშირელების სულში და წამიერად ჭრელაჭრულა ფიქრებს აღძრავდა ხოლმე.

ნაწილის ხელმძღვანელობამ ვიდოვი სიმამაცისა და მხედრული მამაცობისათვის მოკლევადიანი შვებულებით „დააჩუქრა", მაგრამ ვასილმა რომ გაიგო, ბიჭები „დაზვერვაზე მიდიოდნენ", შინ წასვლაზე უარი განაცხადა, მეგობრებს ვერ ვუღალატებო, და საბრძოლო მანევრებზე ამოყო თავი. „ეხ, ჩემო სულელო თავო, შინ რომ წასულიყავი, ამ მოქამკარულ ამინდში ტალახში კოტრიალი ხომ აგცდებოდა, ჰა? — ეცინებოდა საკუთარ თავზე ვასილს, — ახლა მატარებელში იჯდებოდი და უცხო თანამგზავრებთან ტკბილი მასლაათით გაერთობოდი, მე შენ გეტყვი და, ყვირილი და ყელის ჩაწყვეტა დაგჭირდებოდა...

და მან წუთით წარმოიდგინა მშობლიური მოლდავეთის სანახები, ზვრების, ხეხილოვანი ბაღების უსასრულო ჰორიზონტები... კომრინის რაიონი და მშობლიური სახლი სოფელ კირსოვოში...

ვიდოვს სამხედრო ხელოვნების სიყვარული მამამისმა, დიდი სამამულო ომის მონაწილე მრავალჭრილობმიღებულმა ადამიანმა ჩაუნერგა. იგი 1970 წელს ომში მიყენებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა, მაგრამ სამშობლოს ალუზარდა ღირსეული მემკვიდრე, რომელიც მომხვდურ მტერს არ გაახარებდა მშობლიურ მიწაზე... მამისაგან ნასწავლი კიდევ უფრო დაიხვეწა სკოლაში, აქ ვასილი ნორჩ არმიელთა რაზმის მეთაური იყო, თავისი მეგობრების წრეში კი — „უშიშარი მთავარსარდალი".

სამხედრო ხელოვნებით გატაცების მესამე საფეხური ჯარისკაცური წრთობა გახლდათ... სამხედრო მანევრებზე იხვეწებოდა, ფრთიანდებოდა, სრულყოფილი ხდებოდა სკოლაში მიღებული გამოცდილება. ერთი სიტყვით, ყოველი „ლაშქრობა მტრის ზურგში" ვასილისთვის ბავშვობისდროინდელი ოცნების ახდენა იყო. მართალია, შიშის გრძნობაც ახლდა თან ამ სულიერ სიამოვნებას, მაგრამ უფროსებისაგან ჰქონდა განაგონი, რომ კრიტიკულ სიტუაციებში შიშის განცდა აუცილებელიც კი იყო ადამიანისათვის — განსაცდელის ჟამს გონებას უფხიზლებდა, ინსტინქტებს აძლევინებდა და აზროვნების უნარს უვითარებდა.

იგნატ კაზმალიც მოლდავეთიდან გახლდათ. რბილი ხასიათით გამოირჩეოდა: ხალისიანი იყო და უპრეტენზიო. როგორ გაიოცეს შინაურებმა, როცა მისი წერილი მიუვიდათ და იქ ამოიკითხეს, სადესანტო ნაწილში ვითხოვე ჩარიცხვაო, შინაურებმა ეს გადაწყვეტილება დროებით გატაცებად ჩაუთვალეს, სიმწარეს რომ იგემებს, მერე ვნახოთ, როგორ მოძუძგოს იმ ნაწილიდანო. მაგრამ წერილი წერილს მოსდევდა და „მოძუძგვაზე" იქ არაფერი ეწერა. და მაშინ მშობლებმა იგნატის უფროსი ძმა გაიხსენეს, იგი სამხედრო მფრინავი იყო და ხშირად უამბობდა ხოლმე ფათერაკიან, მაგრამ საინტერესო თავგადასავლებს სახლიკაცს. დაასკვნეს — ალბათ იმისაგან გადაედო ეს გატაცებაო.

გამოდის 1926 წლიდან
პიონერი
9 სექტემბერი 1979

იგნატი კი სხვანაირად ფიქრობდა. სოფელ ავდარმის საშუალო სკოლაში მისდა საბედნიეროდ ომგამოვლილი მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ ნორჩების არმიულ წვრთნას. მისი ყურადღება თავიდანვე მიიქცია ერთმა გარემოებამ — გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელს, როგორც წესი, თვალები აუწყლიანდებოდა ხოლმე, უფრო სწორად, ცრემლებით ევსებოდა უპეები და ხმაც რაღაცნაირად მოერღვეოდა. იგნატი მიხვდა, რომ ეს სასწავლო თოფ-იარაღი და სამხედრო ხელოვნებაზე საუბარი ომის მძიმე დღეებს ახსენებდა მასწავლებელს... ბიჭი მისდამი თანაგრძნობით განიმსჭვალა, შეუყვარდა თმაშევერცხლილი პოლკოვნიკი და მისი ხელოვნებაც იწამა. გულში ღრმად ჩაებეჭდა ერთი აზრი, რომ გრიგალი და წარღვნაც კი ყველაზე ფესვმაგარ და ჯანიან მუხებს ვერაფერს უშავებს. ადამიანიც ძლიერი უნდა იყოს, ნებისყოფიანი, მტკიცე და მეუპოვარი. ჰოდა, იგნატმაც განიზრახა თავისი რბილი ხასიათი უფრო ვაჟკაცური შტრიხებით გაემდიდრებინა. საამისოდ კი მედესანტეობაზე შესაფერის ასპარეზს ხედ იმოვიდა ადამიანი...

გია ღოღობერიძე „სავარდო და სამაისო" ქუთაისში დაიბადა და გაიზარდა. მისთვის რომ ქალაქის ღირსშესანიშნაობებზე ჩამოგვედოთ საუბარი, გელათთან, წითელ ხიდთან და სათაფლიის გამოქვაბულთან ერთად ქალაქის თავზე მოგუგუნე ლაინერებსაც ჩამოთვლიდა.

აქ ერთმანეთში ირეოდნენ ნაირნაირი თვითმფრინავები — სულ პატარები, ძველთაგან შემორჩენილნი, — მთებში რომ დაფრინავდნენ, ტურბოხრახნიანები, რეაქტიულები — საშუალო გაბარიტიანი და სულ დიდები — სხვადასხვა მოდიფიკაციის ლაინერები.

საავტომობილო ქარხნიდან, სადაც გია ხარატად მუშაობდა, აეროპორტამდე რამდენიმე ნაბიჯი იყო, მფრინავი საოცრებები ხელის გაწვდენაზე ჩხლებოდნენ და ფრინდებოდნენ. სკოლაშიაც

გია სამხედრო დისციპლინის მასწავლებელს შეკითხვებით არ ასვენებდა. ერთხელ მასწავლებელმა ურჩია — ჯარში რომ წახვალ, სცადე, იქნებ სადესანტო ნაწილში მოხვდე როგორმეო. ეგრევე გეტყობა — ცაში ნავარდი გიტაცებსო...

არადა, პირველად რომ მოვიდა ნაწილში და მანევრებიდან მობრუნებული მედესანტეები ნახა, ერთხანს გულმა რეჩხი უყო — ნეტავი აქ არ მოვხვედრილიყავიო. ტალახში იყვნენ ამოგანგლულები, დაღლილ-დაქანცულ ე ბ ი სულს ძლივს ითქვამდნენ... უფრო იმან გააოცა, მორიგ მანევრებზე „დასჯილი" რიგითები როგორ ეხვეწებოდნენ ჯგუფის მეთაურს, ოღონდ წაგვიყვანეთ მეცადინეობაზე და იქ გამოვისყიდით დანაშაულსო. „რას ეხვეწებიან ნეტავი, რა ყრია მთა-ბარად წანწალში"... ეს იყო და ეს. პირველი ნათლობის მერე მსგავსი ფიქრები არც გაჰკარებია მის გონებას. მართალია, იღლებოდნენ, უჭირდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე დღეს ყოველივე ასგზის ნაზღაურდებოდა. თან კაცობის ქულები ემატებოდათ.

მედესანტეები „რომანტიკული თავგადასავლებით" იხუნძლებოდნენ, მათი ნაამბობი სხვებისაზე უფრო საინტერესო, სარწმუნო და დამაჯერებელი ჩანდა ხოლმე, „მიწიერი პროფესიის" რიგითი ჯარისკაცები ფარვანებივით ეხვეოდნენ მათ, ათასნაირი შეკითხვებით მოსვენებას არ აძლევდნენ. ეს წუთები იყო ბიჭებისთვის ყველაზე ამაღელვებელი, გარდახდენილ ტანჯვათა და ხიფათთა, დაღლილობათა და გაჭირვებათა გადამვიწყებელი. ისინი უკვე ნამდვილი ჯარისკაცები იყვნენ...

უმცროსი სერჟანტი ვალერი ვასილიევი რიგელი იყო, იქ დაამთავრა ქალაქის 45-ე საშუალო სკოლა. ჯარისკაცური ცხოვრება ჯერ კიდევ სკოლაში იტაცებდა. სამხედრო სწავლების ხელმძღვანელი, ყოფილი ფრონტელი კაპიტანი ივან მაზურენკო საინტერესოდ უყვებოდა ბავშვებს ნაირნაირ საბრძოლო თავგადასავლებს, ჩააგონებდა მათ სამშობლოს სიყვარულს, უღვივებდა პატრიოტიზმის გრძნობას. იგი საინტერესო პარალელებს ავლებდა სხვადასხვა დროის არმიების შემადგენლობებს და ტექნიკურ აღჭურვილობებს შორის. თანამედროვე სამხედრო ტექნიკას დიდებულად იცნობდა და მოსწავლეებსაც მეტი რა უნდოდათ.

იმდენად დიდი იყო მასწავლებლის გავლენა, რომ ვალერი სკოლაში ჩამოყალიბებულ გაწვრთნილი ძაღლებით კვალმაძებართა წრეში ჩაეწერა.

იგი მალე მიხვდა, რომ ერთია ზოგადი ინტერესი სამხედრო ხელოვნებისადმი და მეორე — ამ სფეროში ყველაზე რთული მეომრული პროფესიებისადმი სწრაფვა... მას კი ეს მეორე გატაცებაც აღმოაჩნდა. ამის დასტური გამოდგა სადესანტო ნაწილში მისი სამსახური...

რიგითი ვლადიმერ გუშჩენკო უკრაინელია, ქალაქ შეპეტოვკიდან, სკოლაში წარმატებით მონაწილეობდა „ნორჩ კვალმაძიებელთა წრის" საქმიანობაში. მშობლიური ქალაქის შემოგარენში ერთხელ საბჭოთა მფრინავის მიტოვებულ საფლავს წააწყდნენ. ბევრი შრომა დასჭირდათ მოსწავლეებს, რომ დაღუპულის ვინაობა დაედგინათ. საფლავზე გმირი მფრინავისადმი მიძღვნილი ძეგლის გახსნის დღეს „ნორჩ კვალისმაძიებელთა" შეტყობინებით აქ ჩამოვიდნენ მფრინავის დედა და და. ეს იყო მეტად ამაღელვებელი წუთები, კვალმაძიებელთა პირველი დიდი წარმატება...

„ალბათ იმ წუთებში განმიმტკიცდა საბოლოოდ აღმოჩენებისა და ძიებისადმი მისწრაფება..." — ამბობს ხოლმე ვლადიმერი, როცა მხედრულ გატაცებებსა და ინტერესებზე ჩამოუგდებენ საუბარს...

ფიუზელაჟის შორეულ კუთხეში განმარტოებით იჯდა ფიოდორ ბარანჩუკი, პირველობა რომ დაუთმეს წეღან ამხანაგებმა. თავის მძიმე ხვედრზე ჩაფიქრებულიყო ფიოდორი... ეს ბიჭებს ეგონათ ასე, თორემ... აბა, ბრძოლის ველზე რა სიტუაცია სუფევს, როგორ მისდით ამხანაგებს დაზვერვის საქმეები, რა უჭირთ და ულხინთ, ეს თუ არ გადაეცი „დიდ მიწაზე", მაშინ რაღა აზრი აქვს მათს თავგანწირვას? მერედა თუ ბედმაც გაგიღიმა და სასიამოვნო და მნიშვნელოვანი ინფორმაციებიც ბლომად მოქუჩდა, იმათი შეტყობინება „მთავარ ნაწილში" რა დაღლილობას არ გადაავიწყებს ადამიანს... ფიოდორის საქმიანობა რაღაცით წააგავდა რეპორტიორ-ჟურნალისტის პროფესიას. ეს პროფესია ყველაზე მეტად იტაცებდა სკოლაში სწავლისას, განსაკუთრებით სამხედრო ჟურნალისტებისა შურდა, მოწინავე პოზიციებზე რომ გადიოდნენ და უშუალოდ იქიდან ამარაგებდნენ ქვეყანას „ცხელ-ცხელი" ამბებით. მათი ნაწილის საშეფო სკოლის ბავშვებთან შეხვედრაზე ფიოდორი სიამაყით მოუთხრობდა ხოლმე უმცროსებს თავის გატაცებაზე. იგი ცდილობდა სხარტად, ლაკონიურად, სახიერად ჩამოეყალიბებინა თავისი მოსაზრებანი, დახვეწილად გადმოეცა სათქმელი... ამ ბიჭებმა კი რა იციან, ეს კონტეინერი რა სილია მისთვის. იმათ რო ჰგონიათ „მძიმე ხვედრიაო", პირიქით, მას იგი რაღაც ზღაპრულ ჯადო-თილისმად ესახება, სასწაულმოქმედ ყუთად, ათასობით ადამიანისათვის სიკეთის მოტანა რომ ძალუძს...

ამ დროს უეცრად ფიუზელაჟში საგანგაშო წითელი ნათურები აციმციმდა, გაისმა სირენის წყვეტილი, ნაცნობი ხმა. იგი ბიჭებს „მტრის ზურგში შეღწევას" აუწყებდა. გადასახტომად უნდა მომზადებულიყვნენ. პირველად, როგორც ყოველთვის, ფიოდორის რიგი იყო, თავისი „მძიმე მდგომარეობის" გამო ჯერ ის უნდა გაეცილებინათ „დიდ მიწაზე".

და, აი, ფიოდორი უკვე ჰაერშია. სახეზე თითქოს სველი ტილო ჩამოუსვესო, წვიმა მიესალმუნა ღაწვებზე. იგი შეეცადა სიტუაციაში გარკვეულიყო, მაგრამ გარს მოჯარული ღრუბლები უმლიდა ხელს. მიწა თითქოს განქარდაო, ერთი ფანჯარაც კი ვერ დალანდა სადმე, რომ სიმაღლე განესაზღვრა. ბოლოს — ერთიანად გალუმპულმა მძლავრად გამოსწია პარაშუტის სახელური და „ზღაპრული ხალიჩა" უშველებელ სოკოსავით დაეკიდა სივრცეში. ფიოდორმა ჯერ ბიძგი იგრძნო, მერე კვლავ ჩვეულ მდგომარეობაში დაეკიდა ჰაერში, რამდენიმე წამში კი მიწასთან შეხვედრის მომენტიც დადგა „კარგად დავეშვი", — კმაყოფილებით გაიფიქრა ფიოდორმა და „ხალიჩის" აკეცვას შეუდგა. მალე სხვებიც დაეშვნენ.

— ღრუბლებიდან ყვავილივით დაეშვი... — იხუმრა გია ღოღობერიძემ, ერთად რომ მოიყარეს თავი.

— საფრთხობელას უფრო ჰგავდი, თუ გინდა სიმართლე... — ცივი წყალი გადაასხა მას ფიოდორმა. — ყვავილი არა, ის არ გინდა... — წეღანდელი ხუმრობისათვის სამაგიერო გადაუხადა ამხანაგს.

— ბიჭებო, დროა ვიმოქმედოთ! — გაისმა ამ დროს ჯგუფის მეთაურის ხმა.

ბიჭებმა დაკეცილი პარაშუტები კლდოვან ნაპრალში შეინახეს და საიმედოობისათვის ზემოდან ფიჩხი და ტოტები წააყარეს. მზვერავთა ჯგუფის უფროსმა კიდევ ერთხელ მოათვალიერა დაშვების ადგილი და მოკლედ ბრძანა:

— გავდივართ...

და ყველანი გაიქცნენ.

ათიოდე წუთის შემდეგ წვიმამ იმძლავრა. ვიწრო ბილიკი, რომელსაც ისინი ადგნენ, ღვარისაგან ჩაიხრამა. ფეხი ცურავდა. სიარული ჭირდა. მაგრამ მაინც გარბოდნენ. მთას რომ უყელეს, ახლა ძირს დაეშვნენ, მერე ისევ ქედს აებღატნენ...

— მარდად, ბიჭებო, მარდად... — უცაცხანებდა ბიჭებს დაზვერვის მეთაური, ლეიტენანტი ხაბიროვი. მისი დაუღალაობისა შურდათ ბიჭებს. იგი სულ წინ მიდიოდა და, როცა რომელიმეს გაუჭირდებოდა, ჩამორჩებოდა და მიეხმარებოდა.

მართალია, რიგითი მზვერავები სამხედრო პირველთანრიგოსნები იყვნენ და ღერძზე ორმოცდაათ-ორმოცდაათჯერ ტრიალებდნენ, მაგრამ ძალოვანებითა



საშეფო სკოლის „ნორჩი არმიელები" პიონერულ ფიცს სდებენ საბრძოლო დროშასთან.

და გამძლეობით თავიანთ მეთაურთან ჯერ კიდევ ვერ მივიდოდნენ. ტყუილად კი არ ეკეთა უფროს ლეიტენანტ ხაბიროვს მკერდზე სპორტის ოსტატის სამკერდე ნიშანი...

როგორმე ჩქარა და შორს უნდა გასცლოდნენ დაშვების ადგილს. ეს იყო ახლა მათთვის მთავარი. „მოწინააღმდეგემ" შეიძლება შეიტყო დესანტის გადმოსხმის ამბავი და უკან მოსდევს მათ... მართალია, წვიმა და ბურუსი მათი მოკავშირეები იყვნენ, ნაკვალევი ერთ წამში ირეცხებოდა, ძაღლებსაც კი გაუჭირდებოდათ გეზის აღება... მაგრამ ყოველივე ეს დამშვიდების უფლებას როდი აძლევდათ... აი, მათს წინაშე უშველებელმა კლდოვანმა ნაპრალმა დააღო პირი. იგნატ კაზმალიმ სამაშველო თოკი გაღმა მხარეს მოისროლა, მუხის ბაყილოზე მოხერხებულად გამონასკვა და პირველი თვითონ დაეკიდა ზედ, სხვებიც მიჰყვნენ. მერე დამრეცი კლდოვანი კედელი აეხიდათ. ახლა ისინი უკვე ნამდვილი მთამსვლელები იყვნენ, პალოებით, ჩაქუჩებითა და წრიაპწერაყინებით შეიარაღებულნი...

ცოტაოდენი შესვენება აღმართის მერე და კვლავ სირბილი... ვიდოვმა წინ მიმავალ იგნატს შეავლო თვალი — ამხანაგს ისეთი ალმური ასდიოდა სახეზე, თითქოს ორთქლმავალი იყო. თვითონ ვასილიც გაძლიერებული წნევის საქვაბესავით იყო, იფიქრებდი, სხეულში მდუღარე ჩაასხესო, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ამ გაუვალ ღელე-ღუდეში, კლდოვანებსა და ბურიან ხევებში ათობით კილომეტრის დალახვა და ისიც შეუსვენებლად, რბენა-რბენით... თანაც სპორტულ ფორმაში რომ ყოფილიყვნენ გამოწყობილნი, კიდევ რა უჭირდათ, მაგრამ წუთით წარმოიდგინეთ მთლიანად დასველებული ტანსაცმელი, ერთიანად გაქღენთილი მძიმე სამხედრო ფეხსაცმელები და წვიმისაგან კიდევ უფრო დამძიმებული ორმოცკილოგრამიანი ზურგჩანთები...

გზა კვლავ მაღლა მიიწევს. ერთგან ნიაღვარს წიფელი წაუქცევია. მეთაური მსუბუქად გადაევლო ბილიკზე გადახიდულ მორს, თითქოს ნაწილის სპორტულ მოედანზე სიმაღლეზე ხტომაში მეცადინეობსო. აი, გამძლეობაც ამასა ჰქვია! ბიჭებს უჭირთ, მაგრამ თავს ძალას ატანენ. ისე მსუბუქად არ გამოსდით, მაგრამ არც წაფორხილებულან. მართალია, ფიოდორი შედარებით მძიმედ გადაბობღდა წიფელზე, მაგრამ მიზეზი ყველასათვის ნათელია...

მოსაღამოვდა კიდეც.

კარვების გაშლა მიზანშეწონილი არ არის ასეთ ვითარებაში. პირდაპირ კლდის ნაპრალებსა და გამოქვაბულებს მისცეს თავი. ღამურებივით ზოგი სად ჩაძვრა და მოეწყო, ზოგი — სად... დილაუთენია, როგორც იქნა, დანიშნულების ადგილას ჩააღწიეს... აქ ებულებოდათ მტრის „აეროდრომი". ბრეზენტში გახვეული თვითმფრინავები თითქოს ძილს მისცემოდნენ. მზვერავებმა ზუსტად აღნუსხეს მათი რაოდენობა, განლაგება, დააფიქსირეს საწვავის საწყობებისა და ყაზარმების ადგილმდებარეობა, ყველაფერი ეს ნახაზებში გადაიტანეს...

იმ საღამოს ფიოდორ ბარანჩუკის „კონტეინერს" „აღდგომის დღე" დაუდგა. წუთი არ შეუსვენია.

— ალო, მე „პეპელა" ვარ... გესმით ჩემი? „პეპელა" ვარ, „პეპელა..."

დილას კი დაღლილობის განსაქარვებლად გია ღოღობერიძემ ჩამოვარდნილი მდუმარება დაარღვია და თავის „პოტენციურ მოქიშპეს", ფიოდორ ბარანჩუკს მეგობრული მუჯლუგუნი წაჰკრა:

— შენ ხომ პეპელა ხარ, ჭრელი პეპელა, გინდა გიმღერო? „ჭრელო პეპელა, გაფრინდი ნელა", — წაუღიღინა გიამ. ამხანაგებმა ჯერ გაიცინეს, მერე ისინიც აჰყვნენ. პირველად კი არ მღეროდნენ ერთად ქართულ სიმღერას მოლდაველი, თათარი, უკრაინელი, რუსი და ქართველი ჯარისკაცები. ხმებიც ჩინებულად შეეწყოთ ერთმანეთისათვის. ჩანდა, მუსიკალური განხრით გიას თავისი საქმისათვის ჩინებულად გაერთვა თავი. მათს ამ სიმღერაში განსახიერებული

# სათიბის ჭარღუვი

კარლო კობერიძე

მხატვარი
რევაზ ცუცქირიძე



მოთხრობა*

3

დედაჩემი და ნინო ბებია დილაბინდზე წავიდნენ ვენახში და კრუხ-წიწილა მე ჩამაბარეს, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, როგორც მიხედავო. გულაბის ძირას ვეება ბრტყელი ლოდი გვეგდო, იმაზე რომ ვნაყავდი სიმინდს, თან ვშიშობდი, შიმშილით აცქვიტებულ წიწილას ნისკარტში არ ჩავარტყა-მეთქი, მზია გუგუშვილი არ შემოფრიალდა ეზოში?! თავისი უფროსი დის წითელი, ჩაფართხუნებული კაბა ეცვა.

მზია ჩემს მეზობლად ცხოვრობდა და ერთ ჯგუფშიც ვიყავით. ის კი არ გამკვირვებია, ჩემს ეზოში რა უნდა-მეთქი. სულ სხვა რამე გამიკვირდა: წინა დღეს მითხრა, დღეს ერთი კვირით მაინც ბებიასთან მივდივარო და, ისევ აქ არ იყო?! ბებიამისი მელანო, სადღაც გადაკარგულში არ გეგონოთ, სოფლის ბოლოს ცხოვრობდა, სიმარტოვით იყო გამოყრუებული და არდადეგები რომ ჩამოდგებოდა, მზია მასთან გადაბარგდებოდა ხოლმე, მანამდე არ უშვებდნენ: წიგნზე ხელის კვრით თუ არ მიაგდებდი, ისე სათოფედ არ გაეკარებოდა. საამისო დრო და ძალა კი სოფლელ ბებიებს თითქმის არა აქვთ.

შემოვიდა მზია ეზოში და მაშინვე მითხრა:

— ჯავახიძეების მარანი ღიაა!

ქილიდან დასანაყად ამოღებული სიმინდი ისევ ქილაში ჩავაბრუნე, მუშტა ქვა ფრთხილად დავდე და გაოცებული წამოვდექი:

— დაიფიცე!

— რა დაფიცება უნდა, წამოდი და ნახე!

ამაზე უფრო სხვა არაფერი გამიკვირდებოდა:

— ხომ არ მოგეჩვენა?

— რა პატარა კარი იმას აქვს, მომჩვენებოდა!

— შიგნით შეხვედი?

— არა, უცხო ბალღები ტრიალებდნენ იქა და მომერიდა.

— წადი, ვაჟას დაუძახე.

წავიდა კი არა, გაფრინდა!

ჩვენი სოფელი ისეა დასახლებული, ჯვარსა ჰგავს: რუკაზე რომ გადაიტანო, გადაკვეთის წერტილი მაღაზიასთან მოუწევს. ჩვენი უბანი კი მაღაზიიდან საკმაოდ დაშორებით, დასავლეთისაკენ მდებარეობს. სოფლის ქვედა უბანში თუ გინდა ჩასვლა, აუცილებელი არ არის მთავარი გზით წახვიდე: იქვე ორღობეში დაუხვევ, ბაღჩა-ბაღებს გადასჭრი საურმეთი, წვრილიანსაც, ღელესაც და უფრო მალე ჩახვალ. სწორედ იმ წვრილიანის პირას დგას ჯავახიძეების მარანი.

ჩემ ტოლი არავინ მოსწრებია — გადმოცემით ვიცი: ამ მარნის წინ, ახლა სხვათა ბაღჩა-ბაღებად, შინა ვენახებად დანაკუწებული მიწა რომ არის, უწინ ერთი კაცის, იორამ ჯავახიძისა იყოო. ერთ მხარეს მარტო ვაზი ჩაუყრია, მეორე მხარეს ხეხილი, უფრო — საზამთრო ხეხილი; იმასაც ამბობენ — ის ხეხილი და მთელი უბა-

* გაგრძელება. იხ. „პიონერი“, № 8.

---

იყო ყოველივე ადამიანური, საუკეთესო, ლამაზი; ეს იყო ჭეშმარიტი მეგობრობის, სამხედრო ბილიკებზე დამოყვრებული ყმაწვილკაცების გამარჯვების სიმღერა, თავისებური ჰიმნი, სიცოცხლისა და მზის საგალობელი.

მათი საბრძოლო თავგანწირვა და დღევანდელი გაჭირვებანი ხომ სწორედ მშვიდობის, ქვეყნად მზისა და სინათლის დამკვიდრებას ემსახურებოდა...

ძლიერი ადამიანები ნიშნავს ყოვლისშემძლე სახელმწიფოს. ხოლო ასეთ ქვეყანას ფესვმაგარ მუხასავით სხვადასხვა მხრით მოსეული მუმლი ვერასოდეს წააქცევს...

შინისკენ მომავალნი კი ფიქრობდნენ ნაწილის საშეფო სკოლის აღსაზრდელებთან შეხვედრაზე. ღიმილგამკრთალნი იხსენებდნენ თავს გადახდენილ ამბებს და სათქმელს საუკეთესო ფორმას უძებნიდნენ, რომ ცნობისმოყვარეობით მიჩერებული ბავშვებისათვის საინტერესოდ გადაეცათ განცდილი და ნანახი, ყოველივე ის, რაც მათ ამ „ბუტაფორიულ“, მაგრამ სინამდვილესთან ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით მიახლოვებულ „ბრძოლაში“ განიცადეს... ბავშვების სამშვიდობო მსვლელობასაც სწორედ ახლა, სკოლაში ეყრებოდა საფუძველი, ახლა იკვეთებოდა მათი სამომავლო ბილიკებიც. თვითონ მწვერავი კომკავშირელები ამ ბილიკთა სათავეში იდგნენ, მშვენივრად გრძნობდნენ ამას და მით უფრო პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მინდობილ საქმეს...

კვლავ გზა.

ახლოვდებოდა დასვენების ჟამი. მალე თბილ ყაზარმებში საინტერესო ფიხონი გაჩაღდებოდა...

ფოტო ვ. ლეჟინისა

ხიო. ეს მარანიც საიმისოდ აუშენებია, ყურძენს ქვევრებში სწურავდა, ხილს კი მარნის სხვენში ინახავდა.

მარანს უკან წვრილიანი ტყე იყო. მთელი ჩვენი უბანი ამ ტყეში სჭრიდა საგოდრე, საკალათე, საგიდელე, სალასტე წნელს. მთელი ტყე შინდს ეჭირა: იორამმა ვენახის ხათრით გააშენაო. მაგრამ იორამის ტყეში არავინ ძიდიოდა შინდის დასაკრეფად, რაკი უკვე ყველასი იყო ის ტყე და, ერთმანეთის ჯიბრითა თუ წამხედურობით, აყვავებამდე შინდის ერთი ბუჩქიც არ მიუშვიათ. უწინ კი, თურმე მარტი რომ მიიწურებოდა და შინდები გაიცინებდნენ, ზემოდან გადმოგეხედა ნიავში, გეგონებოდა, ვეება, ყვითელი მანდილი ირხევაო. წითლად, ყვითლად, შავად დამწიფდებოდა შინდი და, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა კრეფდა, მე შენ გეტყვი, პატრონი დაგიშლიდა.

მარანს საძირკველი ქვითკირისა ჰქონდა მიწის პირიდან თითქმის მეტრამდე ჩანდა, დანარჩენი მთლიანად აგურისა იყო. ერთი ფანჯარა სამხრეთისკენ ჩაეტანებინათ, ორიც — წინ, ვეება კარის აქეთ-იქით; დანარჩენი ორი კედელი ყრუ იყო. ეს ერთი კარიცა და ის სამი ფანჯარაც ისე საგულდაგულოდ, მჭიდროდ დაეჭედათ მუხის უხეიროდ გამოჩორკნილი ფიცრებით, ცალი თვალითაც ვერ ვიხედებოდით შიგ. თუნდაც შეგვეხედა, იმ სიბნელეში რას დავინახავდით. არადა, ერთი სული გვქონდა, გაგვეგო, რამხელა ქვევრები იყო ჩაყრილი, ან რა ხარახურა ეყარა. მაშინ ძველ ხარახურაში უფრო საინტერესოს ვეძებდით და უფრო გამოსადეგს ვპოულობდით, ვიდრე ახლა ზოგიერთ ფასით აყვირებულ, ასე ვთქვათ, ძვირფასეულობაში ვეძებთ და ვპოულობთ, თუმცა, ასეთ პოვნას ხშირად დაკარგვა ჰქვია.

ძკაცრი, მიუკარებელი, უმეზობლო ქალი იყო ამ მარნის უკვე ერთადერთი პატრონი — კეკე ჯავახიძე. დავინახავდით თუ არა, ისე გავრბოდით, ფეხებს ნამდვილად კეფაზე ვირტყამდით. რა მიგვარბენინებდა, არ ვიცი. მისი არც გალანძღულ-გათათხული უნახავს ვინმეს, არც — ნაცემი და, მით უმეტეს, არც მოკლული. შვიდი შვილი ჰყოლია, შვიდი ერთმანეთზე უკეთესი შვილი. ზოგი თურმე ჟამიანობამ შეუჭამა, ზოგი ამან და ზოგიც იმან. ამ უბედურების შემდეგ აღარც გასაკვირია, საკუთარ ფიქრთან, ოცნებასთან, ცრემლთან, ვაი-ვიშთან მარტო რომ დარჩენილიყო. ჰოდა, ვერ ვუბედავდით კეკეს, მარანში შეგვახედეო. ეს მარანი უკანასკნელად როდის დაკეტეს, გავიკით-გამოვიკითხეთ და, არავის ახსოვდა გარკვევით. კაცმა რომ თქვას, რაში სჭირდებოდათ, რატომ უნდა დაემახსოვრებინათ!

მე მარტო მზიას და ვაჟას ველოდი და მერაბიც მოვიდა.

— ლამის არ დავიჯერო! — მითხრა ვაჟამ. — არ წავიდეთ?

— წავიდეთ.

— ნეტა ვინ იქნებიან? — კითხულობს მერაბი.

— მე კიდევ ის მაინტერესებს, ვინ გაუბედა კეკე ბებიას, მარანი გამიღეო! — ამბობს ვაჟა.

ორღობეში რომ ჩავუხვიეთ, კინაღამ საბა ყოყოჩაშვილის სახედარს წავაწყდით: ფიჩხი ეკიდა და გზას მიაძტვერებდა. უკან საბა პაპა მოსდევდა სახრით.

სახედარი გვერდზე გახტა.

— რა ამბავია, შვილო, რას უნდა მიასწროთ? — გვკითხა საბა პაპამ.

გავჩერდით.

— ჩემი წამოსვლა არ იქნება? — თან გზას განაგრძობს.

— კეკე ბებიას მარანი უნდა ვნახოთ, — უთხრა მზიამ.

საბა პაპა გაჩერდა, მოტრიალდა:

— რა არის იქ სანახავი?

— წელან ვნახე: გაუღიათ და ვიღაცეებიც ტრიალებენ იქ.

— ეგენი, მესამე დღეა, რაც მანდ არიან.

— ვინ ეგენი?

— მოლდაველები.

ერთმანეთს შევხედეთ: რაო, მოლდაველებიო?!

საბა პაპა მიდის და მილაპარაკობს:

— წუთისოფელზე კი არა, ომზე უთქვამთ, სადაურსა სად წაიყვანო!.. ღმერთმა დასწყევლოს ომის მომგონი!..

ახლა უფრო ავაჩქარეთ ფეხი: არასოდეს გვენახა მოლდაველები და, გვაინტერესებდა, როგორები იყვნენ.

მარანი რომ გამოჩნდა, გავჩერდით, ვეღარ გავბედეთ წინ წასვლა.

— ხომ არ აჯობებს, ჯერ შორიდან დავზვეროთ? — თქვა მზიამ.

მართლაც ასე აჯობებს-თქო, დავეთანხმეთ.

გზიდან გადავუხვიეთ და კალისტრატე ნამღვდელარისეულ ბაღჩაში გადავძვერით. ღობეს მოვეფარეთ და იქიდან გავხედეთ. მარნის კარი მართლაც ღია იყო, მარნის წინ ორი პატარა, გამხდარი ბიჭი ბუღრაობდა. ერთი ასე შვიდი წლისა იქნებოდა, მეორე — ცოტათი უმცროსი. ტანსაცმელი კი არა, კონკები ეცვათ.

უცებ პატარა პირქვე დაეცა და ატირდა. მარნიდან ქალი გამოვარდა — ალბათ მათი დედა. დედას ჩვენხელა გოგოც გამოჰყვა. ამათ თითქოს უკეთესად ეცვათ — საკერებელი ისე ედო საკერებელს, ვერ გაარკვევდი თავდაპირველად რა ფერის კაბა იყო.

ესეც შენი მოლდაველები!.. საბა პაპას არ ეთქვა, ქართველები მეგონებოდა.

ატირებული ბიჭი ძლივს დააწყნარეს. მეორე ბიჭი განზე იდგა გაბუტული თუ შეშინებული.

მერე ქალები კვლავ მარანში შევიდნენ.

ბიჭები ისევ აბუღრავდნენ.

— მიდი, გაიცანი და ჩვენც გაგვაცანი, — ვუთხარი მზიას.

— მე რატომ უნდა მივიდე?! — ისე გაიოცა, თითქოს უკადრისი რაღაც ვაკადრე.

— რა ვიცი, ყოველთვის სხვაზე წინ გისწრებს ფეხიცა და ენაც, ახლა რა დაგემართა?

— მოიცა, კაცო, ლაპარაკის დროა?! — უშნოდ აიქნია ხელი მერაბმა, — მოდი, ყველანი მივიდეთ.

— სწორია! — დავეთანხმე და ღობეში გასაძრომს დავუწყე ძებნა.

მზია მაშინვე მიხვდა, რატომაც ვაცეცებდი თვალებს:

— ასე უხერხულია, არ იტყვიან, ქაჯები ყოფილანო? ისევ გზაზე გავიდეთ.

მარანს რომ მივუახლოვდით, ბიჭებმა ბღლარძუნს თავი მიანებს, მოგვაჩერდნენ.

უფროსმა ბიჭმა რაღაც დაიძახა და მარნიდან მაშინვე გამოვიდნენ ქალები. ჩვენხელა გოგო მშვიდად იდგა, დედამ გაგვიღიმა. გავთამამდით.

მზია მივიდა და ბიჭებს მოეფერა:

— თქვე მოჭიდავეებო, თქვენა!

— მოდით, — ხელი დაგვიქნია დედამ.

ქართული სცოდნიაო — სიხარულით გადავირიეთ.

მივედით.

— შეიძლება მარანში შევიხედოთ? — ჰკითხა ვაჟამ.

დედამ მხრები აიწურა — ვერ გავიგე, რა მითხარიო.

დავიბენით.

მზიამ მკერდზე თითი დაიკაკუნა:

— მე მზია მქვია. შენა? — ის თითი ახლა ჩვენხელა გოგოს მიაშვირა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



— ანუცა, — გაეღიმა გოგოს.

მზიასაც გაეღიმა და ჩვენი თავი გააცნო:

— ეს კახაა, ეს — მერაბი, ეს კიდევ — ვაჟა.

ანუცამაც გაგვაცნო თავისიანები:

— დედა — მარია, — პატარა ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა, — დანუ, —დიდს გადახედა, — რადუ.

ასე გავიცანით მოლდაველები.

— შეიძლება შევიდე? — მარნის ღია კარისკენ წავიდა მზია.

ანუცამ თავი დაუქნია.

ყველანი მარანში შევედით.

მასპინძლებიც შემოგვყვნენ.

შევედით მარანში და მივიხედ-მოვიხედეთ ერთ მხარეს, სამხრეთის ფანჯარასთან, ლურჯად გამხმარი თივა ეყარა ბლომად, ზედ, აქა-იქ, ძველმანები იყო გაშლილი, ალბათ საბნად ხმარობდნენ. იქვე, ორივე კუთხეში, ჩვენებური, შინ ამოჩხლართული ჯინურა კალათები და ორი თუ სამი ნახევრად დაფუყული ტომარა დავინახეთ — ეს იყო და ეს! სინათლე მარტო ღია კარიდან შედიოდა. მიწა თოხით მოესწორებინათ. ალბათ, ეს მიწა ფარავდა იმ ქვევრებს, ჩვენ წარმოდგენაში სარქველმოხდილი, ხახადაღებული რომ მოჩანდა და ერთი სული გვქონდა, როდის ჩავძახებდით რამეს.

ამ, ასე ვთქვათ, საძინებელი ნაწილის მოპირდაპირე მხარეს, ხის დაშაშრული საწნახელი იდგა. საწნახელზე მოკლეტარიანი, საქალებო თოხი მიეყუდებინათ და ერთიც კიდევ — ფიწალი.

ოთხივეს ერთბაშად შემოგვაწვა ნაღველი. ნაღველი ამ მოულოდნელად გამოჩენილი უცხო ხალხის საცოდაობისა და ნაღველი ამ საოცნებო მარნის ხიცარიელისა.

— ნეტავ რას ჭამენ? — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მზიამ.

— ვერა ხედავ, ბიჭებს ნეკნები ამოვარდნიათ, ამათ კიდევ რა ფერი ადევთ! — თქვა ვაჟამ.

ანუცამ ისეთი თვალით შეხედა მზიას, თითქოს რაღაცას ევედრებაო.

— დეიდა მარია, ქართული სულ არ იცით? — ჰკითხა მზიამ.

მარიამ მძიმედ დაუქნია თავი.

— პური, წყალი, სიცივე, სახლი, — დანარჩენი ქართულ-რუსულად მიგვახვედრა. ანუცაც მიეშველებოდა ხოლმე, სხვათა შორის, კარგად ამტვრევდა ქართულს; მოკლედ, რა გასაჭირიც ადგათ, გაგვაგებინეს: თითქმის სამი წლის წინ აყრილიყვნენ თავიანთი ქვეყნიდან — მოლდავეთიდან. სად არ ყოფილიყვნენ, სად არ ეხეტიალათ უგზო-უკვლოდ; შიმშილი არ მოკლებოდათ, სიცივე, ტანჯვა და ვაება. თანდათან რომ მოიწევდა ფრონტი, ესენიც თანდათან აქეთ და აქეთ მოიწევდნენ. ახლა, აი, აქ იყვნენ ჩემს სოფელში, კეკე ბებიას ჩახუთულ მარანში.

ვის აღარ გვიჭირდა მაშინ, მაგრამ იმათი ვაება უფრო ვაგლახად მოგვეჭიდა გულზე...

— ახლა მე მიყურეთ, — თქვა მზიამ და გასაქცევად შეტრიალდა.

— რა მოგელანდა? — მკლავში ჩაავლო ვაჟა.

— გამიშვი, შინ მივდივარ!

— ჰოო, შენი იმედი კი გვაქვს!

მზიას მამა მეცხვარე იყო, ბიძაც, თანაც — უშვილო ბიძა და მზიაანიც ქონში ყიპყიპებდნენ.

მარია ტიროდა. ანუცა ამშვიდებდა თავიანთ ენაზე. ბიჭები კი მობუზულები იდგნენ შორიახლო, მზეში.

კაკლის ჩრდილს შევეფარეთ.

შემოგვყვნენ.

ერთმანეთს ქურდულად გავხედავდით ხოლმე — აღარც სალაპარაკო გვქონდა და ვეღარც წასვლას ვახერხებდით.

ანუცამ თოხი და ფიწალი გამოიტანა მარნიდან.

— აჰა, — თქვა მერაბმა, — საქმე თუ არის, ვიმუშავებთ, რა ვქნათ?

— მოვიფიქრებთ რამეს, — გზას გავხედე, მზია მორბოდა. გრძლად შეხვეულ რაღაცას მოარბენინებდა. რომ მოგვიახლოვდა, მაშინ დავინახეთ — შოთები იყო, შოთები მარიას მიაწოდა, თან ტილო გადახადა: შოთებზე გუდის ყველის მოზრდილი ნაჭერი დაედო.

მარიამ თითო შოთი მიაწოდა ბავშვებს. ანუცამაც გამოართვა პური და მარანში შეარბდა. ბიჭებმა ისე დაიწყეს ჭამა, მომეჩვენა — ხეირიანად არც ღეჭავდნენ.

მარიამ ყველის ნაჭერიც მიაწოდა ბიჭებს, მერე თვითონაც მარანში შევიდა, მაგრამ მაშინვე გამოვიდა ხელცარიელი.

მზიას მივხედეთ — ტიროდა.

მარიამ თავზე გადაუსვა ხელი, შუბლზე აკოცა და თვითონაც ისევ ამოუჯდა გული. ბიჭები ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ პურს.

შიმშილით ხშირად ჩვენც გვშიოდა, მაგრამ ეს მაინც სხვა შიმშილი იყო, სულ სხვა შიმშილი!

4

დედაჩემი და ბებია ადრე ამოვიდნენ ვენახიდან, ბლომად მწვანილი, თალაში ხახვი და მთელი ნახევარი ტომარა დასაგული ლობიო ამოიტანეს; ჯერ არც სიმინდსა ჰქონდა მოსატეხი ტარო, არც პამიდორი იყო დამწიფებული, არც ატამი, და სხვა რა უნდა ამოეტანათ!

დედაჩემმა ფეხში გაბლანდული წიწილა დაიჭირა, ჩიჩახვი გაუსინჯა და, ყოჩაღ, კარგად მიგიხედიაო, პატარა ბიჭივით შემაქო.

— რად გინდოდა ამდენი ნედლი, დასაგული ლობიო? — ვეკითხები დედაჩემს.

— ყველაზე ადრეულა ლობიო ჩვენ გვითესია და მეზობლებს უნდა მივაწოდო. შენ თუ იცი, ჯეილო, დღეს მჭადის გამოცხობას რომ ვაპირებთ?

— მე რა მევალება, გუნდა ამოვიღო?

— სად არის ფიჩხი?

ვაი, როგორ დამავიწყდა!—ძილღვიძილში ვიყავი, რომ მითხრა, ფიჩხის მოტანა არ დაიზაროო, და ალბათ ამიტომ გადამივარდა გულიდან.

— ეხლავე მოვიტან! — აივანზე გავვარდი. — ვაჟა!

— ჰო, — მერაბმა გამაგონა — ვაჟასთან ყოფილიყო.

— ვაჟა სადღაა?

— აქა ვარ!

— არსად წახვიდეთ, ახლავე მოვდივარ!

სხვა დროს მათი დახმარება არ მინდოდა, იორამისეულ ტყეში ჩავდიოდი ხოლმე და, ვიდრე ორჯერ დაამთქნარებდა კაცი, სამი გზობა ფიჩხის ამოტანას ვასწრებდი — თონის ერთ ამოხურებას ზუსტად ამდენი უნდოდა. ახლა კი კეკე ბებიას მდგმურებს ფიჩხაკიდებული, მოგეკალით, ვერ დავენახვებოდი. არადა, იმ ტყეს სხვა მხრიდან გეზად ვერ მივუდგებოდი.

— სოფლის თავიდან ჩამოვიტანოთ, სამივენი წავიდეთ და ჩამოვიტანოთ, — თქვა მერაბმა, — ბევრი-ბევრი ასი მეტრით გაგვიგრძელდეს გზა.

— მოდი, საბა პაპასა ვთხოვოთ სახედარი! — წამოიძახა ვაჟამ.

— რომ არ გვათხოვოს? — დაეჭვდა მერაბი.

— თუ არ გვათხოვებს, არც თოფით გამოგვეკიდება. წავიდეთო და, წავედით...

რაკი უმეზობლო ქოფაკი ჰყავდათ, თადარიგი დავიჭირეთ: იაკო ნადიაკვნარის დაღვლარჭნილი კაკლის ქვეშ გავჩერდით და იქედან გავძახეთ.

— რა გინდათ, შვილო? — ჩვენსკენ მოდის საბა პაპა.

— სახედარი უნდა გვათხოვო, — უთხრა ვაჟამ.

— ყველანი ამ საქმეზე ხართ?

— დიახ.

— დოღში გასაყვანად გინდათ?

თითქმის ოთხმოცი წლისაა და ხუმრობის გუნებაზეა მაინც.

— სამაგისოდ ჯერ არ გვცალია, — იცინის ვაჟა, — წელი გვწყდება სამივეს და იქნებ ერთი გზობა ფიჩხი ჩამოგვიტანოს.

— წალდის ხმარება, რო არ ემარჯვება?.. ცოტათი კონების შეკვრაც ეშლება!.. რაო, ერთი გზობაო?!

— მარტო ერთი.

— სამ გზობას თუ ჩამოიტანთ, გათხოვებთ.

— კარგი!

კე[illegible] [illegible]აადგა და გამოგვიყვანა, ავშარის თოკი მე მომაწოდა.

— წაიყვათ, სახედარია და მუშაობისაა. ხალხს მოქნევა ამან არ იცის — კაკალზე ავგზავნო, თუთას ვერ დამიქანებს, წიგნს ვერ წამიკითხავს, მეზობელთან ვერ გამეგზავნება და ძილის წინ იავნანას ვერ ჩამიკაკანებს... არ გიშლით: დიდი კონები აჰკიდეთ, ოღონდ თანაბარი. საღამოთი მშიერი არ მომიყვანოთ შინა.

მერაბმა წალდი გამოაქცია შინიდან. მოახტა სახედარს. ქუსლები ამოარტყა და გაათხა.

სირბილით დავედევნეთ.

მაშინ ტყეები ზედ სოფელზე იყო მომდგარი და მალეც ავედით.

მერაბი ჭრიდა, მე გამომქონდა, ვაჟა კონებად აწყობდა და წნელსაც თვითონ ამოუჭირებდა ხოლმე.

სულ ნახევარ საათში სახედარი სოფლისკენ დავძარით.

ეზოში რომ შევუხვიე და დედაჩემმა დამინახა, ღმერთო, შენ გვიშველეო, მაშინვე მარანში შევიდა ფქვილის გასაცრელად.

საბა პაპამ, სამი გზობაო და, ჩვენ ოთხი ჩამოვიტანეთ.

მეოთხედ რომ მოვხსენი სახედარს ფიჩხი, დედაჩემი უკვე მჭადის გუნდას იღებდა, ნინო ბებია კი აკრავდა.

მალე ამოყარეს ცხელი მჭადები. დედაჩემმა სამი თიხის ჯამი რომ გამოიტანა და ხის კოვზიც მოურია ლობიოს ქოთანს, ვაჟამ მოულოდნელად თქვა:

— არ მშია.

— მერაბს რომ ეთქვა, დავიჯერებდი. — გაეღიმა დედაჩემს.

აკი წეღანაც ვთქვი: ვაჟას აღარც დედ-მამა ჰყავდა, აღარც ბებია და პაპა — მთლად მარტო იყო. მათ ვენახსა და ადგილ-მამულს პაპამისის გარე ბიძაშვილი უვლიდა სანახევროდ. ძვირს ვერ ვიტყვი, კარგი კაცი ეთქმოდა, მაგრამ ცოტა მოიავადმყოფებდა და ძლივს აუდიოდა მოწოლილ საქმეს. თავისი მაინც თავისი იყო და, ჯანის გაფრთხილება მაშინ ახსენდებოდა, ვაჟას ვენახსა და ადგილ-მამულში რომ მოუწევდა მუშაობა. ისე, რაც მოსავალი მოჰყავდა, პატიოსნად უყოფდა და... ისევ თვითონ იტოვებდა: საჭმელს არ აკლებდა ვაჟას, ტანსაცმელს, შეშას, წიგნებს... თუმცა ვაჟას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სამადლოდ შეჰყურებდა ხელებში. ამიტომ, თუ მოხდებოდა და თვითონ ვერ მოაკითხავდნენ მოსაკითხით, იქით არც იხედებოდა. ეს ამბავი კარგად ვიცოდით მეზობლებმა და მშიერ-მწყურვალს არასოდეს ვტოვებდით. ვაჟა ჩემი მარტო მეზობელი კი არა, მეგობარიც იყო: ხშირად ხან ჩვენსა გვეძინა, ხან — იმათსა. ერთი დღე რომ ისე გასულიყო, ჩვენი ეზო-ყურე არ დაეხმაურებინა, მე თუ არა, დედაჩემი მოისაკლისებდა.

— რო არც მე მშია, ნინო ძალო! — სახედარი წინ გაიგდო მერაბმა.

— სად მიგყავს? — სახედარს კუდში ჩავავლე ხელი — არ ვუშვებ.

— აღარ მივუყვანოთ პატრონსა?

— მერე — მშიერი?... მოიცა: მაინც ტარო არ უჩანს და გაგვალულ სიმინდს გამოვუტან ბოსტნიდან. — ლასტის კარი გამოვაღე.

— რა ვიცი, ნინო ბებიას ასტამი არ მოგხვდეს-მეთქი! კინაღამ დამავიწყდა — ნინო ერქვა ბებიაჩემსაც.

ნინო ბებიამ კუტი ამოიღო ასტამით, შეუბერა: ნაცარი მოაშორა და მკაცრად უთხრა მერაბს:

— შენი ბებია, თალიკო არ გეგონო, ამ კუტივით რომ არის დამწვარ-დახრუკული! მაშ რა თავში ვიხლი, ძროხა მყავს, ხარ-კამეჩი, თუ მე უნდა ვჭამო?

— ასე, სიტყვაზე ვთქვი.

— არც შენა გშია, კახავ? — ვითომ სხვათა შორის მკითხა დედაჩემმა.

— არა.

— ერიჰა! როგორც ვატყობ, აღარა ხუმრობთ! — ვაშლის ჩრდილს შეეფარა და გვიბრძანა: — მოდით აქ!

კაი დედმამიშვილი იყავი და არ შეგესრულებინა ბრძანება.

— აბა, დაიწყეთ, რაზე აცხადებთ შიმშილობას!

მე ვაპირებდი თქმასა და ვაჟამ დამასწრო:

— ჩვენ დღეში ზოგჯერ ოთხჯერ ვჭამთ ხოლმე და, ეგე, კეკე ბებიას მდგმურები კიდევ შიმშილით იხოცებიან!.. ჭამეო?!. ვჭამთ, მაგრამ ჩავა ყელში? საიდან სად მოსულან, იქნებ არც დაიჯერო! ტყვიით სიკვდილს გამოექცნენ და ჩვენთან, ნინო ძალო, ჩვენთან უნდა...

— ვიცი, შვილო, ვიცი, — დანაღვლიანდა დედაჩემი, — კეკე მომიყვა.

— ვინ მოგიყვა?! — ღიმილით ჰკითხა მერაბმა.

— კეკე, კეკე ჯავახიძე. ღამე მოდიოდნენ გზაზე და ვერც მოდიოდნენო. იმ ღამესვე გაუხსნია მარანი, თივაც თითონ დაუფენია, საჭმელიც თვითონ მოუტანია... როგორა ფიქრობთ, მთელი ეს სამი დღე ვინ ინახავთ მაგათ?.. ამ ზამთარს თუ აქ დარჩნენ, ჩემთან გადავიყვანო.

— ვერ უყურებ, რა კარგი ბებია ყოფილა კეკე? ჩვენ კი უჟმური ვინმე გვეგონა, — თავი დიდკაცურადააკანტურა ვაჟამ.

— რომ იცოდეთ, რა ქმარ-შვილი ჰყავდა კეკეს. რა ოჯახი ჰქონდა!.. იმისი დამკარგავი ან როგორღა დადის ქვეყანაზე!.. დიდი ოჯახის პატრონი იყო, დიდი დოვლათის, შვილების ხმაურის, სიყვარულით სავსე დღეების პატრონი და თითქოს სიზმარიაო, ერთბაშად დაკარგა ყველაფერი! თქვენი ჭკუით კიდევ უნდა იცინოდეს, მღეროდეს, ქვეყანას შეჰხაროდეს, სიცოცხლე ელამაზებოდეს!.. გაიზრდებით და მაშინ მიხვდებით, რასაც ნიშნავს ასეთი სიმარტოვე!.. შედი, კახავ, მარანში, მოწნული კალათა გამოიტა.

— იქაურობა არ გადმოაქოთო, — მითხრა ბებიამ, — მუხის კასრს უკან დევს, ტომარა აფარია.

დედაჩემმა კალათაში ლელვის ფოთოლი ჩააფინა და მერე შიგ თონეულა მჭადები ჩაალაგა. — თოთხმეტი დავითვალე.

— ახლა ეს წაუღე, — კალათა მომაწოდა, — ხვალ კიდევ ორ მოხარშვა დაგულულ ლობიოს გაგატან... ეჰ, ეხლა ვის აღარ უჭირს, შვილო!

წასასვლელად რომ შევტრიალდით, ბებიამ დამიტატანა:

— სახედარს აქ მიტოვებ, ბიჭო?

— ჯერ ხომ ჭამს!.. ვიდრე გაათავებს, დავბრუნდები კიდევაც.

მზე უკვე ჩასასვლელად იყო ჩაწვერილი.

5

მზია თითქმის მთელი დღე და ღამე სულ [illegible] მდგმურებთან იყო. დაიჩემა, ანუცას გამართული ქართული უნდა ვასწავლოო. ვაჟამ უთხრა, შენ კიდევ მოლდავური არ ისწავლო, თორემ ცუდი სიზმარი ენახე და, ნამდვილად გაწყენსო. იცოცხლე, გემრიელად ჩაათარა თავში მზიამ; რომ არ ჩაეფარებინა, მე ის გამიკვირდებოდა!

ხან შინ ათევდა მზია ღამეს, ხან — ბებიასთან, ჰოდა, ცხადად თუ მალვით რასაც მოიხელთებდა: აქეთ — შინ, იქით — ბებიასთან, ყველაფერს მოლდაველებთან მიარბენინებდა. ეს, რა თქმა უნდა, არც აქეთ იყო საწანახდოდ, არც იქით და არც ქურდობა ეთქმოდა. ისე, შინაურულად რომ ვთქვათ, ანუ კანონის მუქარას არ მივაქციოთ ყურადღება — როგორ შეიძლება ყველაფერი მოინათლოს ქურდობად? ოჯახიდან უფროსების დაუკითხავად შენი კუთვნილი რაიმე თუ წაიღე და ვინმეს აჩუქე, ესეც ქურდობაა აბა!? მე კი მგონია, ქურდსაც გააჩნია და ნაქურდალსაც!..

აბრია ყანდაურაშვილს ზედ ცხვირწინ — საჩეხთან რომ სათიბათვო მსხალი ედგა, ის დავუკრიფეთ მე და მერაბმა. ვაჟა არ გამოგვყვა, მენათესავებაო. თუ გენათესავება, ამ პატიოსან ხალხს რას გვაწვალებს, — შარვალხალათი რომ დავიხიოთ, ცოდვანი არა ვართ? ბარემ თვითონ დაგვიკრიფოს-მეთქი. ვითომ არ იცი, რა წუწურაქი ვინმეაო.

სასაცილო ის იყო, რომ თვითონ აბრიას საჩეხში ტახტზე ეძინა და ხვრინავდა.

ჯიბე-უბე გავივსეთ მსხლით, მერე ჩვენს მადლიან მოწნულ კალათაში ჩავალაგეთ კულტურულად და მზიას გავატანეთ კეკეს მდგმურებთან.

რამეს რომ მივუტანდით, რადუ და დანუ მაშინვე მოგვვარდებოდნენ ხოლმე. მათ დედას, მარიას, უხაროდა, ძალიან უხაროდა; ანუცას კი რცხვენოდა — ჩვენს მიტანილ პურს, მჭადსა თუ ხილს ჩვენს დასანახად არასოდეს არ ჭამდა. ამიტომაც ყოველგვარ მისატანს მზიას ვატანდით. ამგვარი დარცხვენის მიზეზი მალე გავიგეთ: ანუცა ზუსტად ჩვენი კბილა იყო. მერე უფრო დაგვანაღვლიანა მისმა ცოდომ, როცა გვითხრა, სამი წელია, სკოლაში აღარ მივლიაო...

ვიღაცამ ამბავი მიუტანა აბრია ყანდაურაშვილს, კახამ და მერაბმა დაგისეტყვეს მსხალიო. აბრიამ კი ისეთი რა-



მე ჩაიდინა, ვერც წარმოვიდგენდით — დაადო თავი და ჩვენთან კი არა, მილიციის ინსპექტორთან მიბრძანდა გრძელი საჩივრით — ისე მიხდიან საქმეს, ლამის ამ სოფელში აღარ მეცხოვრებაო.

მილიციის ინსპექტორმა, ზაქარია ზაქარიაშვილმა დაგვიბარა და ფრთხილად დაგვიწყო დაკითხვა:

— ბიჭებო, ერთი ქალაქელი ნათესავი მყავს და შემომითვალა, სათიბათვო მსხალი გამომიგზავნეო. გეცოდინებათ: თქვენ უბანში ვის უდგას სათიბათვო მსხალი.

— რომ არ ესხას, ისეთიც ხომ არ მიგასწავლოთ? — ჰკითხა მერაბმა.

— ისეთი მსხალი რად მინდა, ბიჭო?! — გაიოცა ინსპექტორმა.

— რა იცი, იქნებ მერმისაც შემოგითვალოს?

— ხანდახან მსხალიც მეწლეული რომ არის ხოლმე, იმაზე ამბობ, არა?

— ნამდვილად! — დაეთანხმა მერაბი.

— არა, ახლა რომ ასხია ისეთი მსხალი მინდა.

— აბრია ყანდაურაშვილს უდგას.

— შენ საიდან იცი?

— გუშინ მოვუთაროვეთ.

ინსპექტორი სახტად დარჩა:

— ხომ არ მატყუებ?

— როგორ გეკადრებათ?.. აი, მე და კახა ვიყავით.

ინსპექტორმა გადმომხედა!

— მართალს ამბობს, კახავ?

— რა თქმა უნდა! — თვალი მოვატარე იმ ერთციცქნა კაბინეტში.

— რას ეძებ?

— მთელი დღეა ფეხზე ვდგავარ და დავიღალე.

— რა ვქნა, შვილო, ეს ერთი მონჯღრეული სკამი მაქვს და, — წამოდგა, — თუ დაეტევით ორივენი დასხედით.

— მაშინ მალე გაგვიშვი.

— კარგი, — ისევ სკამზე დაეშვა, — რომ არ მოგეპარათ და გეთხოვათ, არ გაჭმევდათ?

— რას ბრძანებთ? — გაეღიმა მერაბს, — ზედაც არ შეგვახედებდა, თვალი ეცემა და გახმებაო.

— მართლა ეგეთი კურკიწონიაა? — არ დაიჯერა ინსპექტორმა.

— ეგე სოფელი, და ჰკითხე!

ინსპექტორმა მაგიდის უჯრა გამოსწია, რაღაც ქაღალდი გამოიღო — ალბათ, აბრიას საჩივარი; მიხივ-მოხია და ფანჯრიდან გადაყარა.

— ქურდობა ჰქვია მაგასაც, მაგრამ, რა უნდა გიყოთ, რა ვიცი! დასაჯეო. რითი დაგსაჯოთ, ჰა? აიპარეთ მსხალზე, ზოგი თქვენ ჭამეთ, ზოგი ჯიბე-უბით წამოიღეთ და სხვას გაუგზავნეთ... სხვასაც უნდა, შვილო, ხელის გაწოდება, ეგრეა ცხოვრება!.. ისე, კიტრის საქმე როგორღაა ამ ახლომახლო?

— გმადლობთ, მშვენივრად, — სერიოზულად უპასუხა მერაბმა, — ერთ კვირაში, აი, — ყელზე თითი გაისვა, — აეგრე იქნება!.. ჩვენ მხოლოდ იმას მოვპარავთ ხოლმე მოსაპარს, ვინც ზედმეტად ხელმოჭერილია. თანაც მთლად დაკრეფას ვერიდებით — რაც ჩვენ გვეკუთვნის, მარტო იმდენსა ვკრეფთ, ჩვენ რომ გვედგას და გვეთესოს, სხვისი რად გვინდა?

— თქვენ არ გითესიათ კიტრი?

— დაგვინელავდა.

— ბევრი კიტრის ჭამამ ციება იცისო.

— ეგ ნესვზეა ნათქვამი. მაგრამ თუ მართლა ციება იცის, დამკარგავს უფრო მაგრად არ გააციებს?

— ხუმრობა ხუმრობად და აღარ გაგიგოთ ეგეთი რამე, თორემ ძალიან გავჯავრდები, — წამოდგა ინსპექტორი. — წადით, თავისუფლები ხართ... ისე მაინც იქურდეთ, დამთხვეულებო, ვერც ხელი წაგატანონ და ვერც თვალი მოგკრან!.. — გაიცინა.

დავემშვიდობეთ და წამოვედით. ავკარგიანი კაცი იყო ზაქარია ინსპექტორი და იმიტომაც შევუთამაშდით.

ვიცოდით, ვაჟა გველოდა და ჩვენსა შევბრუნდით.

ვაჟა გულაბის ქვეშ მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო და დედაჩემს უყურებდა — ნაცარტუტას ადუღებდა დედაჩემი, სარეცხი ჰქონდა გამოსახარში.

დაგვინახა ვაჟამ და წამოჯდა.

— როგორაა საქმე?

თვალით ვანიშნე, დედაჩემმა არ გაიგოს-მეთქი.

— თქვენ მიდით და მეც აქა ვარო, — ვეუბნები.

— ახლა ვის მსხალზე მიდითო? — განგებ ჩაახველა დედაჩემმა.

ისე გადაიხარხარა მერაბმა, მამალი შეხტა, შეხტა და შეიფრთხიალა.

— ჩვენ სულ სხვა რამეზე ვლაპარაკობთ! — ვითომ გავუბრაზდი, მოვილუშე.

— რატომ? ამაზეც შეიძლება ლაპარაკი! — ქვაბს ჯოხი ამოურია და მუხლებთან ამოკეცილი ჩემი შარვალი ამოაწურწურა, — თქვენი დედ-მამის შვილებს არ შემვენით ეგრე სიარული!.. საამისოდ სხვა დროს მოვიცლი!.. ხვალე, კახავ, ვენახში უნდა წახვიდე და პამიდვრის მწკრივები გათოხნო. თორემ ასე თუ დავტოვეთ, დამწიფებამდე ისე ჩაეფლობა ბალახში, ისე ჩაიყვინთება, დასაკრეფად ვეღარ მივუდგებით.

— ჩვენც წავალთ. — უთხრა ვაჟამ.

— მაშინ სიმინდი რომ გაგვიცდა და მერე ჩავუმატეთ, ბარემ იმასაც დაუარეთ და შემოუხვავეთ მიწა. სამივენი რომ წახვიდეთ, დიდი მოწადინება არ უნდა, ვიდრე ჩამოცხება, ისედაც მორჩებით.

იმ ღამეს ვაჟა ჩვენსა დარჩა.

რიჟრაჟზე თვალი გავახილე და ვხედავ: თოხის ტარს დაყრდნობია მერაბი და იკრიჭება.

ვაჟამაც გაიღვიძა.

წამოვხტით, ხელ-პირი დავიბანეთ და დედაჩემმაც გამოიტანა მარნიდან ხარჯის კალათა და წყლის კოკა.

კენჭი ვყარეთ: თოხები მე უნდა მეტარებინა, კოკა — მერაბს, კალათა — ვაჟას.

— კალათაში მჭადი და ჭყინტი ყველია, — გვითხრა დედაჩემმა, — მწვანილი კიდევ იქ არის. ჰო, თუ ვინმემ არ დაგასწროთ, ორიოდე კიტრიც აბია ქვემოდან მესამე ბუდნას. არ წაიზარმაცოთ. როგორც კი ჩახვალთ, მაშინვე გამოთოხნეთ, სიცხემ არ მოგატანოთ სიმინდში. როგორ აპირებთ: მორჩებით და მაშინვე წამოხვალთ თუ არხზე იქნებით საღამომდე?

— ვიბანავებთ, — უთხრა ვაჟამ.

— ასეც ვიცოდი!.. ვარიას ჩაგიხრაკავთ ვახშმად... აბა, იჩქარეთ!

უნდა ავჩქარებულიყავით: მართალია, მზის ამოსვლამდე კიდევ საკმაო დრო იყო, მაგრამ შვიდი კილომეტრი გვედო წინ, მთელი შვიდი კილომეტრი!..

ორღობიდან რომ გავედით, დავინახეთ: კეკეს კაკალთან ბააკაშვილის ქვრივი იდგა, ტასო, და მარნის ღიაკარს მისჩერებოდა.

ნაბიჯი შევანელეთ.

მარნიდან მარია გამოვიდა — თოხი ეჭირა ხელში, ჩვენკენ მოაბრუნა თავი და გაჩერდა — დაგველოდა.

ორივეს მივესალმეთ.

მარიამ ღიმილით დაგვიქნია თავი.

— სად მიგყავს? — ტასოს ჰკითხა ვაჟამ.

— ვენახი უნდა გავათოხნინო.



— აგ ბალახდა?
— არ ამბალახებოდა, ამას რაღად წავიყვანდი?
ახლა ანუცა გამოვიდა მარნიდან — სიცივით იყო მობუზული. დედა მიუტრიალდა და წყნარად უთხრა რაღაც.
ხელი დავუქნიე ანუცას.
თვითონაც დამიქნია ხელი.
— ბიჭო! — მეუბნება მერაბი, — დეიდა მარია ფეხშიშველაა?!
შევტრიალდით: მართლაც ფეხშიშველი იყო.
ბააკაშვილის ქვრივს ხარაზული მესტები ეცვა.
დარდი შემოგვაწვა სამივეს, ისე მივდიოდით, თითქოს ნაბიჯებს ვითვლიდით.
პატარა გზა რომ გავიარეთ, უკან მოვიხედეთ — ანუცა მარნის წინ იდგა და გვიყურებდა.
ანუცა კი დავინახე, მაგრამ აღარც დეიდა მარია ჩანდა, აღარც ტასო ბააკაშვილი. ვენახი სოფლის გვერდით აქვთ აყალოიანში და წვრილიანით წავიდოდნენ.
არ დაიჯერებთ, ისეთი ძნელია აყალოს თოხნა. საოცარი ის არის, რომ ყურძენსაც იშვიათად ამწიფებს, ისიც მაშინ გვალვიანი ზაფხული და შემოდგომა თუ დაიჭირა...
ვიდრე მზე ამოვიდოდა, უკვე ვენახში ვიყავით. წავიხემსეთ და ერთბაშად მივაწყდით სამუშაოს. გავხურდით.
-ქ რა საქმე იყო! — ერთი დავარდნილი. ხუკვდილა კაცაც მორჩებოდა ერთ დღეს და ჩვენ ხომ სამნი ვიყავით! მოკლედ: სულ ნაპერწკალი გასდიოდა თოხებს. ჩვენი ვენახი და სახნავ-სათესი მიწა მაშინ უფრო ქვიანი იყო და, იმაზეც ვამბობ. სამივენი ბანაობაზე ვიყავით გადარეულები, ერთი სული გვქონდა, მალე დაგვესვენებინა თოხები.
ჯერ ხეირიანად არც გაეტკბო მზეს ჩრდილი, საქმესაც მოვრჩით, დასალევ წყალსაც.
თოხები და ცარიელი კოკა მაყვლის ბარდში დავმალეთ, დედაჩემმა რომ მიგვასწავლა, ის ბუნდა გადავაშრიალეთ, ოთხი თუ ხუთი მორჩილი კიტრი ება — მოვწყვიტეთ, კალათას დავტაცე ხელი და დავეშვით არხზე.
იმდენი ვიბანავეთ იმ დღეს, დავიხოცენით სიცივით! შეგვცივდებოდა, ამოვიდოდით წყლიდან, დავწვებოდით ბეტონის ბოგირზე და ან ზურგს შევუშვერდით ხოლმე მზეს, ან — მკერდს. — დაგვცხებოდა და ისევ წყალში გადავცვივდებოდით.
იქაურობა ბიჭ-ბუჭებით იყო სავსე.
ბანაობამ მოშიება იცის, ჩვენც გემრიელად მივირთმევდით, ცივ მჭადსა და ყველს, ცივ მჭადსა და მწვანილს. ბოლოს სამი მჭადიღა დაგვრჩა — ეს კი წასვლისას შევაწუხოთო. კალათა ისევ თუთის ტოტზე ჩამოვკიდეთ და მეველის ცხენმა არ ამოგვიჭამა?
მზე რომ ჩასასვლელად გადაიხარა, შიო პაპა მოვიდა ურმით, ზედ ბოგირთან, თუთის ჩრდილში გააჩერა და კამეჩები გამოუშვა; ჩამომავლობით არის მეურმე და აკი გვარადაც მეურმიშვილია.
შიო პაპამ ნამგალი ამოაძრო ურმის ლართხიდან და დამიძახა:
— ახლო მოდექი!
შარვალს დავწვდი — უნდა ჩამეცვა.
— სხვაგან არა გგზავნი, მაგრევე მოდი.
მივედი.
— კახავ, მაგ ბიჭებში რამდენია შენი ძმაკაცი?
— ორი.
— დიდხანს იქნებით აქა?
— ჩვენი ნება არ არის?
— აქვე, კოლექტივის ვენახში, ბალახი უნდა გამოვთიბო, გამოზიდვა მიშველეთ და რომ გადაგრილდება, შინ მე ჩაგიყვანთ ურმით.
— ნამგლით, რა იმდენი უნდა გამოთიბო?
— შენ თავი დაიქნიე და ცელიც აქა მაქვს.
— კამეჩებსაც ვაბანავებთ.
— ეგეც სიკეთეა, ღმერთმანი!
არხში ჩავყარეთ კამეჩები და რია-რიაც დაიწყო: ვინ ზედ აჯდებოდა, ვინ კუდზე ეკიდებოდა, ვინ — ქვეშ უძვრებოდა, ასე გაგვყავ-გამოგვყავდა გაღმა-გამოღმა.
რა კეთილი, მოსიყვარულე თვალები აქვთ კამეჩებს, რა მავედრებელი თვალები!
ბოლოს კამეჩები თავთხელში ჩაწვნენ და ცოხნით ნებივრობდნენ. მერაბმა ბრძანება გასცა, ახლოს აღარავინ მიეკაროსო. მერაბი კარგად ჭიდაობს და წვრილფეხობის თვალშიც დიდი გასავალი აქვს მის სიტყვას...
გამოვზიდეთ ბალახი, სანახევროდ მოვყარეთ კონკილაშეყენებული ურემი, შიო პაპამ შეაბა კამეჩები უღელში და წამოვჭრიალდით შინისკენ. ჩვენს ვენახთან გავჩერდით, თოხები და კოკა ავაწოდე ბიჭებს, მეც ისევ ავედი ურემზე და გულაღმა გავიშხლართე შემჭკნარ, სურნელოვან ბალახში. შიო პაპა გზადაგზა ხან თავისი პატარა ბიჭობის ამბებს გვიყვებოდა, ხანაც მხიარულ ზღაპრებს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

# მშობლიური ზრუნვის გამოხატველი ნიშნები




ცნობილია, რაოდენ ავნო ახალშობილ საბჭოთა სახელმწიფოს სამოქალაქო ომმა. მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, წითელ არმიას წლების მანძილზე უხდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა თეთრგვარდიელთა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ. ეს იყო არნახული ნგრევის, შიმშილის, სიღატაკის წლები. საბჭოთა სახელმწიფომ ათას განსაცდელს გაუძლო, გაცამტვერდა ხალხის მოსისხლე მტრების ოცნება — აღედგინათ ჩვენს ქვეყანაში მემამულურ-კაპიტალისტური წყობილება. მაგრამ ეს გამარჯვება ჩვენს ხალხს სისხლისა და უკიდურესი გაჭირვების ფასად დაუჯდა.

სამოქალაქო ომის ერთ-ერთი მძიმე შედეგი ისიც იყო, რომ ასეულ ათასობით მოზარდი ქუჩაში აღმოჩნდა. უდედმამონი, უსახლკარონი, დამშეულები, ჩამოკონკილ-ჩამოძონძილები დაეხეტებოდნენ ისინი სოფლად და ქალაქად. მრავალჭირგამოვლილ ახალგაზრდა სახელმწიფოს იმჟამად არ გააჩნდა სახსრები, რომ სრულად დაეკმაყოფილებინა მათი საჭიროებანი. საბჭოთა ხელისუფლებას მხარში ამოუდგა საზოგადოებრიობა. ბავშვთა ცხოვრების გაუმჯო-



























ბესების მიზნით შეიქმნა სხვადასხვა კომიტეტი, რომლებიც ყულაბური წესით აგროვებდნენ ფულს. ვინც ყულაბაში შაურიანს, აბაზიანს თუ სხვა მონეტას ჩააგდებდა, ქაღალდის ნიშანს აძლევდნენ. მაგალითად, არსებობდა ნიშნები ასეთი წარწერით: სევასტოპოლში — ,,ვიხსნათ ბავშვები. ბავშვები ჩვენი მომავალია'', ხარკოვში — ,,ბავშვთა დახმარების ორკვირეული'', პეტროგრადში — ,,უპატრონო ბავშვთა დახმარების ორკვირეული''... მსგავსი ნიშნები თბილისშიც იბეჭდებოდა.

1924 წლის იანვარში, ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო, საყოველთაო გლოვის დღეებში, საბჭოების II ყრილობამ დიდი ბელადის ხსოვნის უკვდავსაყოფად მთელი რიგი დადგენილებებისა მიიღო. ერთ-ერთი მათგანი ითვალისწინებდა ვ. ი. ლენინის სახელობის ფონდის შექმნას სამოქალაქო ომისა და შიმშილის მსხვერპლთა — უპატრონო ბავშვთა დახმარების ორგანიზაციისათვის. როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, საქართველოშიც შეიქმნა ასეთი ფონდი.

ვ. ი. ლენინის უახლოესმა მეგობარმა და თანამებრძოლმა ნ. კრუპსკაიამ უამრავ წერილობით სამძიმარზე ასეთი პასუხი დაწერა: ,,თუ გინდათ, რომ პატივი სცეთ ვლადიმერ ილიას ძის ხსოვნას, დააარსეთ საბავშვო ბაგები და ბაღები, საბავშვო სახლები...'' და აი გაჩნდა ქაღალდის ნიშანი — ,,ბავშვებისადმი დახმარება ყველაზე უკეთესი ძეგლია ლენინისათვის''.

დიდ მუშაობას ეწეოდა საქართველოს სსრ ბავშვთა დაცვისა და კომუნისტური აღზრდის ხელის შემწყობი საზოგადოება ,,ბავშვების მეგობარი''. 1926 წელს აფხაზეთში, განსაკუთრებით სოხუმში, შეიმჩნეოდა უპატრონო ბავშვების მოზღვავება. ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის მიემართა თხოვნით — გამოეყო სახსრები უპატრონო ბავშვთა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. რესპუბლიკის მთავრობამ დაუყოვნებლივ გამოყო განსაზღვრული თანხა. სულ მალე სოხუმში გაიხსნა უდედმამო ბავშვთა თავშესაფარი, რომელიც, საზოგადოებრიობის დახმარებით, მფარველობდა უპატრონო მოზარდებს. იქ მათ ჰბანდნენ, კვებავდნენ, მოსავდნენ... ვ. ი. ლენინის სახელობის ფონდის კომიტეტმა გამოაქვეყნა ოფიციალური მიმართვა: ,,პარტიის ყველა წევრს, კომკავშირელებს, პროფკავშირელებს, აფხაზეთის ასსრ ყველა მშრომელს'', რომელიც განმარტავდა ფონდის მიზანსა და ამოცანებს, მოუწოდებდა გამხდარიყვნენ მისი წევრები.

ამასობაში მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა. სულ უფრო და უფრო კლებულობდა უპატრონო ბავშვთა რიცხვი. ამის შემდეგ ლენინის სახელობის ფონდმა და ,,ბავშვების მეგობარმა'' ბავშვთა ჯანმრთელობაზე გაამახვილეს ყურადღება. აი მათი მოწოდებების რამდენიმე ნიმუში: ,,ბავშვების გამოჯანმრთელება მთელი მუშურ-გლეხური მოსახლეობის საქმეა'', ,,ჯანსაღი ცვლისათვის'', ,,სოციალისტურ საზოგადოებას ჯანსაღ ცვლას მივცემთ''. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ყველაზე პატარებს, სოხუმში გამოუშვეს ნიშანი ,,სკოლამდელთა ლაშქრობის სასარგებლოდ''.

ეს პაწაწინა ქაღალდის ნიშნები მკაფიოდ მეტყველებენ იმ უანგარო ზრუნვაზე, რომელსაც საბჭოთა საზოგადოებრიობა იმთავითვე იჩენდა მოზარდი თაობების მიმართ. ვ. ი. ლენინის სახელობის ფონდისა და





















საზოგადოება ,,ბავშვების მეგობრის'' ღვაწლი ყოველთვის კეთილად იქნება მოხსენიებული.

ლ. პრიცკერი

## გამოჩენილი სპორტსმენის ტრიბუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯემალ ცერცვაძე

# სპორტის ვაჟკაცური სახეობა

მოგვითხრობს თბილისის განათლების განყოფილების ოლიმპიური რეზერვების გავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპეციალიზირებული სკოლის დირექტორი, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი, სპორტის საპატიო ოსტატი ჯემალ ცერცვაძე.

...თავიდან კალათბურთის სექციაში ჩავეწერე, ხელბურთის შესახებ ცოტა რამ გამეგონა და ამ სახეობაში ვარჯიშზე არც მიფიქრია.

ერთხელ ჩემმა ამხანაგმა, ხელბურთელმა ალექსანდრე ოდიშელიძემ მითხრა, წამოდი, ჩვენს მეცადინეობას დაესწარი, ნახე რა ვაჟკაცური თამაშიაო. დამიყოლია. მეორე დღეს დარბაზში გავყევი. დიდხანს უინტერესოდ ვუყურებდი ხელბურთელთა წვრთნას, მაგრამ, როცა ისინი ორ გუნდად გაიყვნენ და თამაში დაიწყეს, უკვე სიამოვნებით მივადევნე თვალი. ვარჯიში რომ დამთავრდა და დაქანცული ხელბურთელები გასახდელისაკენ გაემართნენ, მწვრთნელს, გიორგი შარაშიძეს შევეხვეწე: ოღონდ ხელბურთის სექციაში ჩამწერეთ და კალათბურთს თავს დავანებებ-მეთქი. ბატონმა გიორგიმ ეს რომ გაიგონა, გამიწყრა და მითხრა: შენ ალბათ მერე ხელბურთსაც ეგრე მიატოვებო. ბოლოს პირობით მიიღო. ნდობა რომ გამემართლებინა, წვრთნა დიდი მონდომებით დავიწყე. მალე ძალიან გამიტაცა სწრაფმა, აზარტულმა, ცოტაოდენ ძალისმიერმა თამაშმა.

სპორტის რამდენი სახეობაა ჩვენს ქვეყანაში დანერგილი! ყველას თავისებური სილამაზე და მიმზიდველობა აქვს, მაგრამ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ხელბურთი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაცური სახეობაა. იგი სპორტსმენს ყოველმხრივ ავითარებს. აი, მაგალითად, ფეხბურთელებს ფეხები უძლიერდებათ, მკლავები და მკერდი შედარებით სუსტი აქვთ. ხელბურთში ასე არ არის.

ერთხელ ერთმა მშობელმა ჩვენს სკოლაში სუსტი აღნაგობის ბიჭი მოიყვანა, სახელად მერაბი. იგი იმდენად სუსტი იყო, რომ როცა რვა-ათი მეტრიდან ბურთს სტყორცნიდა, კარამდე ვერ მიაწვდენდა ხოლმე. სექციაში მაინც მივიღე, რადგან ვარჯიშის დიდი წყურვილი შევნიშნე. ვარაუდი გამიმართლდა. მერაბმა წვრთნა გულმოდგინედ დაიწყო. ჯერ პატარა ბურთი მივეცით სავარჯიშოდ... მეცადინეობის დროს ერთ წამსაც არ ჩერდებოდა. მიიღებდა თუ არა მწვრთნელის დავალებას, ვარჯიშობდა და ვარჯიშობდა.

ამასობაში ერთი წელიწადი გავიდა გაგიჭირდებოდათ მერაბის ცნობა. იგი საგრძნობლად შეიცვალა, გამაგრდა, მკლავები დაუმსხვილდა, მკერდი გაუფართოვდა, ძალ-ღონე შეემატა.

რაგინდ კარგი მოთამაშეებით არ უნდა იყოს დაკომპლექტებული გუნდი, წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ სპორტსმენები ერთმანეთთან კარგად არ არიან შეთამაშებულნი, ხოლო თუ კოლექტივი შეკრულია და მის წევრებს შორის მეგობრული განწყობილებაა, გუნდს წინ ვეღარავინ დაუდგება.

მაგონდება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ჩემპიონატი. ასპარეზობა რიგაში ტარდებოდა. თბილისის ,,ბურევესტნიკის" ხელბურთელები მორიგ კალენდარულ მატჩში მოსკოვის სპარტაკელებს ვხვდებოდით. პირველი ადგილისთვის ბრძოლა რომ გაგვეგრძელებინა, ,,სპარტაკი" უსათუოდ უნდა დაგვემარცხებინა. ფრეც კი არ გვაძლევდა ხელს. ეს ყველამ კარგად ვიცოდით და დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით.

...აი, მატჩის მიწურულია. ტაბლოზე საყაიმო ანგარიში — 11:11 მოჩანს. თამაშის დამთავრებას ათი წამიღა უკლია. თითქოს ფრე გარდაუვალია. სწორედ ამ დროს, მეკარე ჯემალ აბაიშვილმა ცენტრის ხაზთან ბურთი მომაწოდა. გაჩერებისა და ფიქრის დრო აღარ მრჩებოდა. ბურთიანი ხელი მოვიქნიე. სპარტაკელებს ეგონათ ბურთს პირდაპირ კარში ტყორცნისო... მეტოქეთა წამიერი დაბნეულობით ვისარგებლე და ბურთი მათ შორის ქვემოდან გავაძვრინე. ჩანაფიქრი ზუსტად გამიგო ანზორ ექსეულიძემ. იგი ბურთს გაჰყვა, კიდეც დაეუფლა და მეკარესთან პირისპირ გასულმა გამარჯვების ბურთი გაიტანა...

მეკარე ბოლო სიმაგრეა. ეს ფეხბურთშიც ასეა, მაგრამ მეკარე-ხელბურთელი სულ სხვაა. ხშირად გვინახავს როცა ფეხბურთში წინ გამოსული მეკარის ადგილი მცველს დაუჭერია და კარი გოლისაგან უხსნია. ხელბურთში ასეთი რამ არ შეიძლება. სხვა მოთამაშეს ეკრძალება მეკარის ნაცვლად ჩადგომა

ხელბურთის მეკარეს განსაკუთრებული წვრთნა ესაჭიროება. მას უნდა შეეძლოს კარში ადგილის სწორად შერჩევა. ეს მას ბურთის დაუფლების დიდ შანსს აძლევს. ხელბურთის მეკარე საგანგებოდ უნდა სწავლობდეს მეტოქე გუნდების თავდამსხმელთა დარტყმებს, უნდა ითვალისწინებდეს რა სიძლიერით ურტყამს მეტოქე, რომელ კუთხეში უფრო ეხერხება დარტყმა.

ნორჩ ხელბურთელთა თამაშის დროს, ხშირად დავკვირვებივარ მეკარის თამაშს. ბევრ მათგანს ძლიერად დარტყმული ბურთისა ეშინია. სად სპორტსმენი და სად ბურთის შიში?!

ხელბურთის მეკარეს ფეხბურთის მეკარეზე უფრო სწრაფი რეაქცია ესაჭიროება. ამის გამოსამუშავებლად კი სისტემატური ვარჯიშია საჭირო.

მახსოვს, ერთხელ მოსკოვში საკავშირო ნაკრების წევრები მორიგი საერთაშორისო ტურნირისათვის ვემზადებოდით. ჩვენი მოედნის გვერდით ფეხბურთელები ვარჯიშობდნენ. იმ დღეს მათ წვრთნა ადრე დაამთავრეს. ჩვენთან სახელგანთქმული სპორტსმენი ლევ იაშინი მოვიდა, მან მეკარე აბაიშვილს ხუმრობით უთხრა: როგორი პატარა კარია, აქ ბურთს ვერ გამიტანენო.

ლევ იაშინი კარში ჩადგა და ბურთების მოსაგერიებლად მოემზადა. 12 მეტრიდან დარტყმული 10 ბურთიდან ათივე გაუტანეს...

და ბოლოს, ყმაწვილებო, მინდა გირჩიოთ, დაიწყეთ ხელბურთში ვარჯიში. მისი სექციები საქართველოს თითქმის ყველა რაიონსა და ქალაქშია გახსნილი, მათ შორის, ცხადია, თბილისშიც.

საუბარი ჩაიწერა ოთარ კუსიანმა

მზია ჩხეტიანი



## ისევ სკოლა

შემოწკრიალდა სექტემბრის დილა
ოქროს ზარებით
და სიხარულით,
ქარი მიაფრენს ღრუბლის თეთრ
ფთილას,
მთიდან საცელქოდ ჩამოპარული.
ფრთებგამოსხმულნი ისევ ვიჩქარით,
ისევ ჭრიალებს სკოლის ჭიშკარი,
და ოქროსფერი მღერის ჭადარი
გულში ჩარჩენილ ზაფხულის ზღაპრებს
და გაგვახსენებს იმ ცისფერ აფრებს,
იმ თეთრ ბილიკებს,
ჭიუხებს,
ალპებს,
იმ ჭრელი ქარის წილადობილას,
ზაფხულის დღემ რომ დაგვიძმობილა!



## მასწავლებელი

როგორც შუქს და ათინათს,
ფერთა ხალას ციმციმს,
ცოდნის წადილს ამინთებს,
მზის ფერსა და მზის წილს.
მიფერადებს სიცოცხლეს
უნათლესი მიზნით:
ვიყო მარად ერთგული
ჩვენი ცის და მიწის.
გამამხნევებს, მამშვიდებს,
თუ ოდესმე მიმძიმს...
ჩემმა მასწავლებელმა
ყველაფერი იცის.

## იცოცხლე, წიგნო!

ცოდნის ნათელო შუქწმინდავ,
სულში რომ ასე ბრწყინდები,
სახელმძღვანელოს ფურცლიდან,
,,დედაენიდან" იწყები.



აბა, რა გოგო ვიქნები,
აბა, რა ბიჭი ვიქნები,
სახელმძღვანელოს ფურცლებს თუ
ვსვრი ჭუჭყიანი თითებით,
ფაქიზად არ ვეკიდები,
არ ვუვლი,
არ ვუფრთხილდები,
არ მიყვარს ჩემი ლამაზი,
ჩემი ხატულა წიგნები!
სავსე ფერადი ამბებით,
ძიებებით და მიგნებით
ასე რომ გვწვრთნიან,
გვანთებენ,
ფრთებს რომ გვასხამენ წიგნები!
მომავლის შუქით გვავსებენ,
გზებს გვიდაფნავენ დიდებით,
თავად კი...
რამდენს ითმენენ,
როგორ დნებიან წიგნები...
ჩვენც თქმა არ გვინდა არავის,
ან რა მოთმენა გვეყოფა,
რომ გასაჭირში ჩავარდნილს
არ მივეშველოთ მეგობარს!
ვიმარჯვებთ წებოს, მუყაოს,
ნემსი,
ძაფიც და...
ჰაიდა! —
წიგნი ფერს იცვლის უდავოდ,
სიცოცხლეს იწყებს თავიდან.
იცოცხლე, წიგნო ძვირფასო,
ჩემო კეთილო დობილო,
რომ სიბრძნე, ქვეყნის ავ-კარგი,
კვლავაც ბევრს შეატყობინო!



მზია ჩხეტიანის ლექსების ციკლმა ჟურნალ „პიონერის" მიერ გამოცხადებულ კონკურსზე მესამე პრემია დაიმსახურა.

## ძილი ნებისა

ცამ ვარსკვლავი
კუნწულ-კუნწულ
ისევ დაისხაო,
დაიძინე, პირიმზისა,
პირიმთვარისაო.
რა ტკბილია იავნანა
ჭრიჭინებისაო,
ძილი ნების,
ძილი ნების,
ძილი ნებისაო...
მითვლემილა ორი გოგო —
დარდი დედისაო...
ქარო, მითხარ
მათი მშვიდად
გაღვიძებისაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პაპის სურათი

კედელს ამშვენებს პაპის სურათი,
ხის შავ ჩარჩოში მჭიდროდ ჩასმული,
გვერდზე მოგდებულ პილოტურათი
და სამხრეებით ჯარისკაცურით.
ოხვრით ჩაუვლის სურათს ბებია,
შუბლს ღრმა ნაოჭი გადასწოლია,
ბებიას თმები გასთეთრებია,
პაპა კი მხოლოდ მამის ტოლია!



ასე ჭაბუკი და ახოვანი
გაჰყვა ფრონტის ხაზს შებინდებისას;
ნუ იდარდებთო,
მალე მოვალო...
მაგრამ მოსვლა კი აღარ ეღირსა.
ზამთრობით,
როცა თოვლის ფიფქები
სახლებს თეთრ ქუდებს დაახურავდნენ,
პაპას ელოდნენ,
მასზე ფიქრობდნენ —
ვინ იცის, მოვა გაზაფხულამდე.
მიაბიჯებდნენ მძიმე დღეები,
ვეღარ მიიღეს ბოლოს ბარათიც,
ხსოვნას კი შერჩა დედის ცრემლებით
დასველებული მამის ხალათი.
კედელს ამშვენებს ახლა სურათი,
ხის შავ ჩარჩოში მჭიდროდ ჩასმული,
გვერდზე მოგდებულ პილოტურათი
და სამხრეებით ჯარისკაცურით.

## დილით

— აბა, ჩქარა!
აბა, ჩქარა!
კიტრი ხომ არ გადამხმარა!
გოგრა ხომ არ გადამჭკნარა! —
სათლით ხელში უთენია
ბებო მორბის კაფანდარა.
თან სარწყულით მოსდევს ფისო
და ცუცუნაც კურკანტელა.
მწკრივში დგანან მკლავისსისხო
სიმინდები ასფურცელა.
— აბა, ჩქარა!
აბა, ჩქარა!
უძღვის ბალღებს ბებო მხნედა,
— ჩქარა, სანამ მზემ ცხრათვალამ
ცხრავე თვალით გადმოგვხედა!
ბოსტანს რწყავენ დილით ადრე,
აბა მზეში ვინ რწყავს ბოსტანს!
ის ვერასდროს გაიმარჯვებს,
ვინაც დილით ძილში მოსცდა!
მიჩხრიალებს კვლებში წყალი,
დაჰღიმილებს ბალღებს ბებო:
— მზის ამოსვლას, თუ ხარ ქალი,
ასე უნდა შეეგებო!



## წერილი ბაბუს

საღამოა,
მაგიდასთან
გოგონები ჩუმად სხედან,
წერილს სწერენ მამიკოს და
წერილს სწერენ ძვირფას დედას
— უნდა ნახოთ,



რა ხბო გვყავსო,
თეთრშუბლა და
ფერად შვინდა,
— ან გვირილა სოფლის თავში
რანაირად აბიბინდა!
ის ვაშლის ხე აღარ გახსოვს,
ჩვენ რომ დავრგეთ ერთად, მამი?
მთვარე თეთრ-თეთრ ზღაპრებს აქსოვს
მის ტოტებში ხოლმე ღამით.
— ბოსტანი გვაქვს იმისთანა —
სანაქებო,
საგანგებო!
— არ იდარდოთ, არაფერს არ
გავუჭირვებთ ჩვენს კარგ ბებოს.
— ფისო ისე გაიზარდა,
ბებოს უსწრებს, აგერ, ლამის...
— ცუცუნა კი არ გვასვენებს,
მეც მინდაო, ვნახო ბამი.
— გარეთ ახლა მთვარეა და
სიოც დაქრის ფრენა-ფრენით...
— გვენატრებით ძალიან და
ბებიასაც ენატრებით!
— არ იდარდოთ,
ხელს არ აკლებს
ხალხი სოფლის ზვრებს და ბაღებს,
თქვენ მანდ ბამი აშენეთ და
ჩვენ სოფელში ვიყოჩაღებთ.

მხატვარი გ. ფოცხიშვილი



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ




ფორმალიზმი — აღზრდის უპირველესი მტერი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 9

# ენთუზიაზმი დიდი ძალაა

ჩვენი ჟურნალის ბევრ მკითხველს გაუტარებია ზაფხული საქალაქო ბანაკში და იცის, რომ აქ, სხვა ბანაკთა მსგავსად, მოზარდი თაობა ეჩვევა კოლექტიურ შრომას, კაჟდება ფიზიკურად, იფართოებს გონებრივ ჰორიზონტს, იმაღლებს პოლიტიკური ცოდნის დონეს, ყალიბდება და იხვეწება მისი ეთიკური და ესთეტიკური შეხედულებებიც.

მაგრამ ეს რთული და მრავალმხრივი პროცესი სხვადასხვა ბანაკში სხვადასხვანაირად ხორციელდება, ერთგან უფრო შთამბეჭდავ ეფექტს ღებულობენ, მეორეგან — გაცილებით მკრთალს ან სულაც უღიმღამოს. და ამის მიზეზი სხვა არაფერია, თუ არა ენთუზიაზმის დონე და იმ პასუხისმგებლობის ხარისხი, რომლითაც ბანაკის ხელმძღვანელები და თვით პიონერები ეკიდებიან საკუთარ ფუნქციებს, საკუთარ მოვალეობას.

ჟურნალ ,,პიონერის'' კორესპონდენტი ამ ზაფხულს, ივლისის დასაწყისში, ეწვია თბილისის ორ საქალაქო ბანაკს, გაეცნო აქაურ მუშაობას, გაესაუბრა უფროს პიონერხელმძღვანელებს და პიონერებს. შედეგი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. ამიტომ გთავაზობთ ამ საუბართა ჩანაწერს რედაქციის მცირეოდენი კომენტარებითურთ.

საქალაქო ბანაკი ,,ჩირაღდანი'' (ლენინის სახ. რაიონი) კიკვიძის სახელობის პარკში მდებარეობს. ეზოში შესვლისთანავე ხალისიანი განწყობილება დაგეუფლებათ — შესასვლელთან მხიარული ლექსის სტრიქონები შემოგხვდებათ: ,,არ გეგონოთ ზღაპარი, არ გეგონოთ არაკი, საოცრებებს გპირდებათ თემურელთა ბანაკი''. შლაგბაუმთან მორიგე პიონერმა პაროლი გვკითხა და გაგვატარა. მაშინვე თითქოს სულ სხვა სამყაროში მოვხვდით. იქაურობა მზიანი ჩრდილითა და ბავშვების ჟივილ-ხივილით იყო სავსე... და აი, პირველი შეხვედრაც.

მ ე დ ე ა   შ ე ნ გ ე ლ ი ა, ბანაკის უფროსი პიონერხელმძღვანელი: ჩვენი ბანაკი ორნაკადიანია. პირველ ნაკადში (რომელიც 10 ივლისს იხურება) 150 პიონერი და ოქტომბრელი ისვენებს (ორი პიონერული რაზმია, ორიც — ოქტომბრელებისა). ბავშვები, ჩემი აზრით, კმაყოფილები არიან. ვცდილობდით, მათთვის მოქმედების მეტი თავისუფლება მიგვეცა, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ, ინიციატივა გამოეჩინათ. გეგმაც ამის გათვალისწინებით შევადგინეთ.

მ ა ი ა   ნ ა ც ვ ლ ი შ ვ ი ლ ი, მე-14 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე: ძალიან მომწონს ბანაკის ცხოვრება, აქ მე ბევრი მეგობარი შევიძინე. შესაძლოა, საკურორტო ბანაკები, ვთქვათ, ცემში თუ კეჩხობში, უკეთეს პირობებში მუშაობენ, მაგრამ არც აქ ვგრძნობდით თავს ცუდად. ყოველი დღე თავისებურად საინტერესო და სახალისო იყო. შესანიშნავად ჩაიარა, მაგალითად, მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალმა, რომელიც ბავშვის საერთაშორისო წელს მიეძღვნა. თავი ისახელეს მალხაზ ყორღანაშვილმა, ხათუნა ღოღობერიძემ, ნატო გოშაძემ...

გ ო გ ი ტ ა   შ ა ნ ი ძ ე, მე-13 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე: დიდი ამბით ჩატარდა კონკურსი ოქტომბრელთა ქალაქის პროექტზე. ყველას აჯობა რობერტ ქარქუსაშვილმა. მისი პროექტი ჟიურიმაც მოიწონა და მთელმა ბანაკმაც. მეორე დღესვე შევუდექით ოქტომბრელთა ქალაქ ,,გვირილას'' მშენებლობას და სულ მალე დავამთავრეთ კიდეც.

ნ ა ნ ა   ჩ ა ჩ უ ა, 141-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე: ,,გვირილას'' საზეიმო გახსნაზე სტუმრებიც მოვიწვიეთ, მათ შორის — ვეტერან პიონერთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ანა ფრანცის ასული ზენდეკი, რომელიც 1922-1926 წლებში საქართველოში პიონერული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. გვესწრებოდა, აგრეთვე, ვეტერანი პიონერი სერაპიონ მელქაძე. ორივენი ჩვენი ბანაკის ხშირი სტუმრები არიან.

ნ ა ტ ო   გ ო შ ა ძ ე, 112-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე: პატივცემული ანას ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით ჩვენ დიდძალი საბავშვო წიგნი შევაგროვეთ. მალე ამ წიგნებით სავსე ამანათებს გავუგზავნით ბამის ერთ-ერთ პიონერულ ბანაკს.

ს ო ს ო   მ ა ი ს უ რ ა ძ ე, 132-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე: სამუდამოდ დამამახსოვრდება ის დღე, როდესაც გაიმართა კონკურსი ასფალტზე ხატვაში დევიზით: ,,მსოფლიო ჩვენი თვალით''. ჩემმა ნახატმა (მოსკოვის კრემლი დავხატე) მოწონება დაიმსახურა რობერტ ქარქუსაშვილის, თამაზ ყურბანოვის, გია ჩოხელის ნახატებთან ერთად.

მ ა ლ ხ ა ზ   ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, მე-14 საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე: მზიანი დღე იყო. გამარჯვების პარკიდან ფეხით ავედით კუს ტბაზე. დავლაშქრეთ ერთ-ერთი მაღლობი, მწვერვალზე ალამი ავაფრიალეთ და იმ მაღლობს ,,თემურელთა პიკი'' დავარქვით. მერე მხიარული თამაშობები გავმართეთ. დღემ ისე გაირბინა, თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარით.

მ ე დ ე ა   შ ე ნ გ ე ლ ი ა: შევეცადეთ, ყოველი დღე საინტერესო და სასარგებლო ყოფილიყო. მართალია, გეგმა დოგმა არ არის, მაგრამ იგი თითქმის არ შეგვიცვლია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ამა თუ იმ საკითხის ხორცშესხმისას ვავრცობდით ან ვავსებდით ხოლმე მას. ასე იყო ოქტომბრელთა კვირეულის ჩატარებისას, სამწყობრო მომზადების კონკურსზე, მანიფესტაციაზე — ,,დაე, მუდამ იყოს მზე!'' და ა. შ. ბავშვებისთვის არც კინოფილმები მოგვიკლია, თეატრშიც გვყავდნენ.

რედაქციის კომენტარი: პიონერხელმძღვანელი მარტო არ ყოფილა, მას მხარში ედგნენ კომკავშირის რაიკომი, ბანაკის უფროსი მამუკა თავხელიძე, რაზმის ხელმძღვანელები და, რაც მთავარია, თვით ბავშვები, რომელთაც ქარდანაქროლი ხანძარივით გადაედოთ ხელმძღვანელთა ენთუზიაზმი. ეს კი იმ დიდებული, მძლავრი ენთუზიაზმის მემკვიდრე და გამგრძელებელი გახლავთ, რომელიც ამ 20–50 წლის წინათ სჭედდა დღევანდელ მომავალს, აარსებდა პირველ კოლმეურნეობას, ტეხდა ყამირს, აშენებდა ახალ-ახალ ჰიდროელექტროსადგურებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს... დიახ, პიონერულ ბანაკ „ჩირაღდანში" სუფევდა მუშაობის ჯანსაღი ატმოსფერო და არა ფორმალისტური, მხოლოდ „აუცილებელი მინიმუმის" შესრულებისათვის გამიზნული დუნე, თვითდინებას მიყოლილი საქმიანობა.

●

საქალაქო ბანაკი „მზიური" (კალინინის სახ. რაიონი) ჩვენი დედაქალაქის ცენტრში, კიროვის სახელობის პარკშია მოწყობილი. ამ ბანაკის შესასვლელთან არავინ დაგვხვედრია და ჭიშკარი დაუბრკოლებლად გავიარეთ. თვალში გვეცა მოზრდილი ლოზუნგი, რომლის ტექსტშიც ორი პუნქტუაციური შეცდომაა დაშვებული: „ჩვენ, შენი ღირსეული ცვლა ვართ კომკავშირო!.."

ლიუდმილა შენდრიკოვა, უფროსი პიონერხელმძღვანელი: გეგმა გნებავთ? აი, ინებეთ. ვრცელი, 25 პუნქტისაგან შემდგარი გეგმა გვაქვს. შევეცადეთ, არაფერი გამოგვრჩენოდა, ყველაფერი აგვესახა. ზოგ დღეს ორი-სამი ღონისძიებაც კი გვქონდა დაგეგმილი... თუ შევასრულეთ? როგორ გითხრათ, ყველა ვერა, მაგრამ... იცით, სხვადასხვა გარემოებამ შეგვიშალა ხელი... აუცილებელი რაც იყო, შევასრულეთ...

რედაქციის კომენტარი: ბავშვებთან განმარტოება არ მოხერხდა: პიონერხელმძღვანელმა „არ მიატოვა" ისინი და კორესპონდენტთან საუბრისას ხშირად ეხმარებოდა მათ, „ახსენებდა" გუშინ თუ გუშინწინ ჩატარებულ ღონისძიებათა წვრილმანებს.

ვლადიმერ ივანჩენკოვი, 49-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე: მე მომწონს ბანაკის ცხოვრება. განსაკუთრებით დამამახსოვრდება 18 ივნისი, როცა სტადიონზე მივესალმეთ როსტოვის სკა-ს და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს.

კორესპონდენტი: როგორ? იმ დღეს ხომ გეგმით სულ სხვა ღონისძიება გქონდათ დასახული?

ლ. შენდრიკოვა: დიახ. სტადიონზე კომკავშირის საქალაქო კომიტეტის დავალებით წავედით. 18 ივნისის ღონისძიება კი სხვა დღისთვის გადავიტანეთ.

კორესპონდენტი: მაგრამ ის „სხვა დღეც" ხომ დაკავებული იყო?

ლ. შენდრიკოვა: იძულებული გავხდით გაგვეერთიანებინა ორი ღონისძიება. მაგალითად, პუშკინის დაბადების 180 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო დილა (23 ივნისისათვის განზრახული) და მხატვრული კითხვის კონკურსი (3 ივლისის ღონისძიება) ერთად ჩავატარეთ... ასევე, ალკკ საქალაქო კომიტეტმა დაგვავალა მონაწილეობა მიგველო პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებთან შეხვედრაში. ამის გამო მოგვიხდა ორი ღონისძიების — ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ნახატების კონკურსისა (25 ივნისი) და პოლიტიკური ნახატის კონკურსის (29 ივნისი) — გაერთიანება...

კორესპონდენტი: ხარისხი, რა თქმა უნდა, სასურველი ვერ იქნებოდა.

ლ. შენდრიკოვა: რა მოგახსენოთ...

ეკა ფოთოლაშვილი, 51-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე: ამას წინათ ექსკურსია მოვაწყეთ საბრძოლო დიდების მუზეუმში, შევხვდით ომის ვეტერანებს.

რედაქციის კომენტარი: მუზეუმში პიონერებს ესაუბრა მხოლოდ ერთი ვეტერანი (იმიტომ, რომ ღონისძიება არაორგანიზებული იყო) — მუზეუმის დირექტორი ი. კეზერაშვილი, რომლის სახელი და გვარი, ჩვენდა გასაოცრად, ვერც ეკამ მოიგონა და ვერც პიონერხელმძღვანელმა...

ეკა ფოთოლაშვილი: დავათვალიერეთ ბავშვთა ნახატების გამოფენა...

კორესპონდენტი: თქვენ კი დაგეგმილი გქონდათ „ექსკურსია სურათების გალერეაში და ქართველ მხატვართა შემოქმედების გაცნობა" (4 ივლისი).

ლ. შენდრიკოვა: დიახ, მაგრამ მერე გადავწყვიტეთ, რომ ბავშვთა ნახატების ჩვენება უფრო სასარგებლო იქნებოდა.

კორესპონდენტი: გეგმის მიხედვით, 26 ივნისს უნდა ჩატარებულიყო საუბარი თემაზე: „ჩვენი უფლებები, ჩვენი მოვალეობანი". ვინ ჩაატარა საუბარი?

ლ. შენდრიკოვა: ჩვენი ბანაკის უფროსმა. არა, იგი განათლებით იურისტი არ გახლავთ, ფილოლოგია... მე ისტორიკოსი ვარ...

რედაქციის კომენტარი: ბანაკის ხელმძღვანელობას რატომღაც გასძნელებია, საზოგადოება „ცოდნიდან" (მისი შენობა პარკის ტერიტორიას ზედ ეკვრის) მოეწვია იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტი, რომელიც გასაგები, პოპულარული ფორმით ესაუბრებოდა ბავშვებს მათთვის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებზე... მაგრამ ბანაკის უფროსმა და პიონერხელმძღვანელმა იოლი გზა აირჩიეს...

კორესპონდენტი: დღეს ბავშვები კინოთეატრ „ქრონიკაში" გყოლიათ, სადაც მათ ფილმი ნახეს. მაგრამ ამ დღისათვის ხომ ლისის ტბაზე ლაშქრობა გქონდათ დაგეგმილი? ამინდი საკმაოდ კარგია...

ლ. შენდრიკოვა: დიახ, მაგრამ... რა ვიცი...

რედაქციის კომენტარი: როგორც ხედავთ, პიონერხელმძღვანელს გაუჭირდა კორესპონდენტის ბოლო კითხვაზე პასუხის გაცემა. გაუჭირდა, რადგან იგრძნო (უფრო სწორად, იცოდა), რომ ბანაკის მუშაობაში ყველაფერი რიგზე არ იყო. მარტო ვრცელი და მრავალმხრივი გეგმის შედგენა როდი კმარა — მას შესრულებაც უნდა. აქ კი კედელზე გაკრული 25-პუნქტიანი გეგმა გეგმად დარჩა. მუშაობა მეტწილად სტიქიურად მიმდინარეობდა, ზოგი ღონისძიება ზერელედ და ნაჩქარევად ჩატარდა, ზოგი საერთოდ არ შესრულებულა, ზოგს კი საოცრად ბევრი დრო დაეთმო. ასე, მაგალითად: ბანაკმა მუშაობა ფაქტიურად 11 ივნისს დაიწყო, მისი საზეიმო გახსნა კი დიდი დაგვიანებით, მხოლოდ ათი დღის შემდეგ, 20 ივნისს მოეწყო. ისიც აღსანიშნავია, რომ არც პიონერთა ინიციატივის გამოვლენის ფორმებზე უფიქრია ვინმეს. სწორედ ამან განაპირობა ის ინერტულობა, რომელიც ამ ბანაკის პიონერთა უმრავლესობის განწყობილებაში სუფევდა.

როგორც ჩანს, „მზიურის" ხელმძღვანელობას არც ენერგია ეყო და ის ენთუზიაზმიც ნაკლები ჰქონდა, რომელიც ფორმალისტურ გეგმებსა და ფორმალისტურ ოქმებს ვერ იტანს და ვერ ურიგდება.

საუბარი ჩაიწერა
ა. ნიავაძემ

ნუგზარ აფხაზავა

მხატვარი
თამაზ ხუციშვილი

# შავი ხვრელი



ფანტასტიკური მოთხრობა

1

— ალდე!

ბგერათა ჯოჯოხეთურ ქაოსში (ჭექა-ქუხილი, მძვინვარე ოკეანის გრუხუნი, უფსკრულში ჩალეწილი ჩანჩქერის გრგვინვა, გაავებული ქარიშხლის ზუზუნი, მოშლილი რადიომიმღების ხრიალი...) ძლივს გამოარჩია ეს ოთხი ბგერა: ვიღაც შორიდან, უსასრულეთიდან ეძახდა რადისტს.

— ალდე!

ძალიან, ძალიან ნაცნობი იყო ის ხმა.

— ალდე!

ხმა თანდათან ახლოვდებოდა, ძლიერდებოდა, იკვეთებოდა:

— ალდე!..

გონს უფრო ადრე მოვიდა, ვიდრე თვალისჩინი დაუბრუნდებოდა. მყისვე იმასაც მიხვდა, იატაკზე ვწევარო ამიტომ, თვალი გაახილა თუ არა, მაშინვე წამოჯდა — ისე სხარტად და მოულოდნელად, რომ მის წინაშე მუხლმოყრილმა როი მეკეგიმ თავის არიდება ძლივს მოასწრო.

— რა მოგივიდა, რა გაყვირებს, ცხრა მთას იქით ხომ არა ვარ! — უკმაყოფილოდ და ოდნავ აგდებული კილოთი უთხრა ალდე საგიტამ „ნერეიდას" შტურმანს, მაგრამ როცა ჩამოშლილი თმები შეისწორა და გაფითრებულ მეკეგის თვალი შეავლო, უცებ ყველაფერი გაახსენდა, თუმცა რა „ყველაფერი" — ერთი მძლავრი ბიძგი, ყრუ ჭახანისა და მსხვრევის ხმა და მერე — სიჩუმე, ღრმა და წკვარამისფერი სიჩუმე.

— რა მოხდა, როი? — ჰკითხა და რაღაც საშინელების მოლოდინში მუხლები მოეკვეთა. ცხადია, ეს შეკითხვა უნებლიეთ აღმოხდა: ჩვეულებრივი ვითარება რომ ყოფილიყო, სახელით კი არა, გვარით მიმართავდა — „რა ამბავია, მეკეგიო", — ეტყოდა.

მეკეგის ვითომ არ გაუგონია შეკითხვა, თავი ოდნავ მხარზე გადახარა და დაკვირვებით შეათვალიერა ალდე.

— როგორა ხართ, ახლა უკეთ გრძნობთ თავს?

— შესანიშნავად, — მოუთმენლად მიუგო ქალმა. — ასე კარგად არასოდეს ვყოფილვარ. რა მოხდა-მეთქი?

შტურმანმა ალდეს თვალი აარიდა.

— როი!

მეკეგიმ ხელები გაშალა, მერე ფერდებზე მიიტყაპუნა, ხელისგულები მუცელზე ჩაასრიალა და თითები ტყავის ფართო ქამარში ჩაარცურა. ალდე საგიტა მის ამ „არაინტელიგენტურ ჩვევას" ვერ იტანდა, მაგრამ ახლა არც კი შეუმჩნევია.

— როგორც ჩანს, მოხეტიალე ასტეროიდების გუნდს გადავაწყდით. — თქვა შტურმანმა და გაჩუმდა.

— მერე, მერე?

მეკეგი სიტყვაძარბი კაცი არ იყო, იშვიათად თუ იტყოდა ერთად ერთ წინადადებაზე მეტს. ეს მთელმა ეკიპაჟმა იცოდა და თუ შტურმანისაგან ვრცელი ინფორმაცია სჭირდებოდათ, ხშირ-ხშირად შეაგულიანებდნენ ხოლმე. ეტყობოდა, მეკეგი არც ახლა აპირებდა ამ ტრადიციის ღალატს:

— კიდევ კარგი, მომცრო ნამსხვრევები ყოფილა — თქვა და ისევ გაჩუმდა.

— მერე?

— ჩვენი ,,ნერეიდა‘‘ საცერივითაა დაცხრილული.

ალდე განცვიფრდა:

— კი მაგრამ, დამცავი ველი?

— არ მუშაობს.

— აკი მუშაობდა!

— გუშინ საღამომდე.

— დღეს?

— ეჩედა სწორედ დღეს აპირებდა შემოწმებას... — პაუზა. — რაღაც ეჭვი ჰქონდა, მაგრამ... — პაუზა. — ვერ მოასწრო.

ალდემ უცებ შუბლი შეიჭმუხნა და ჩუმი, შიშშეპარული ხმით იკითხა.

— აპირებდაო? ვერ მოასწროო?! მოიცა... სხვები... — სწრაფად მიიხედ-მოიხედა... — სხვები სად არიან?

როი მეკეგი ნელა შებრუნდა ილუმინატორისაკენ. აქამდე წელგამართული, მხრებგაშლილი და ბეჭბრტყელი ვაჟკაცი ახლა თითქოს სიმაღლეშიც დაპატარავებულიყო და სიგანეშიც. ალდე ერთხანს არაფრისმხედველი თვალებით უყურებდა მისკენ ზურგშექცეული შტურმანის კეფას. მერე გაუბედავი მოკლე ნაბიჯი გადადგა წინ.

— როი...

ამ მიმართვაში შეკითხვაც იყო, მუდარაც, მოლოდინიც. ყინულს გაალხობდა, ქვას გაალღობდა შემკრთალი ალდეს ხმა. მაგრამ კაცი არ შემობრუნებულა.

## 2

როი მეკეგი ჩრდილოამერიკელ ინდიელთა აწ გადაშენებული ტომის — მანაკაგუას ბელადის ჩამომავალი იყო. პაპამისი ვინიპეგის ტბის ნაპირას დაიბადა. როის მამაც იქვე მოევლინა ქვეყანას და ცივილიზაციის წყალობით შეთხელებულ მცირერიცხოვან ტომთან ერთად ბავშვობიდანვე ნადირობდა ვინიპეგის ტბასა და ჰუძონის ყურეს შორის, ნორუზი-ჰაუზიდან — მუსონამდე, ვინიპეგიდან — ესკიმო-პოინგამდე... მამა უკვე ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული, სამუდამოდ რომ დასახლდა ტბის სამხრეთ ნაპირას, ქალაქ ვინიპეგში. სწორედ აქ დაიბადა როი. მამამისი ენაწყლიანი კაცი გახლდათ (როი უფრო დედას ჰგავდა) და თავის ბავშვობისდროინდელ თავგადასავლებს შვილს ისე ფერადოვნად უხატავდა, რომ პატარა ბიჭუნა ყოველღამ სიზმარში ხედავდა ხოლმე, თავად როგორ დააჭენებდა უბელო ცხენს აღმა-დაღმა ტყეებსა და ხეობებში, როგორ ებრძოდა გრიზლისა და ფოცხვერს, მხარულით მიაპობდა აქაფებული მთის მდინარის ზვირთებს და მახეს უგებდა მსხვილფეხა თუ წვრილფეხა ნადირს... მალე ბავშვობაც იმ სიზმრებივით გაფერმკრთალდა და მიინავლა. რომ კოლეჯი წარჩინებით დაამთავრა, მერე მინეაპოლისის კოსმონავტიკის ინსტიტუტში ჩაირიცხა და იქაც თავი გამოიჩინა, როგორც გონიერმა, გამჭრიახმა და ერუდირებულმა ახალგაზრდამ. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე კოსმონავტიკის თეორიაში მუშაობა შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა და პრაქტიკული საქმიანობა აირჩია. ოთხ-ხუთ წელიწადში შემოიარა მთვარე, მარსი და ვენერა, ასე რომ, როცა ,,ნერეიდაზე‘‘ მიიწვიეს, რამდენიმე ათეული მილიონი კილომეტრი უკვე ნაფრენი ჰქონდა და საკმაოდ სოლიდური გამოცდილების პატრონი გახლდათ.

ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში კოსმოსური მოგზაურობანი ახალი ხილი აღარ იყო, მაგრამ ,,ჯონათან სვიფტის‘‘ ექსპედიციამ უჩვეულოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, ექსპედიციას უნდა დაედგინა, საიდან გაჩნდა და რას წარმოადგენდა გალაქტიკის სიღრმეებიდან მზის სისტემის რაიონში მოფრენილი უცხო ციური სხეული, რომელიც დედამიწიდან დაახლოებით ექვსასი ასტრონომიული ერთეულით (თითქმის ოთხმოცდაათი მილიონი კილომეტრით) იყო დაშორებული (მოცულობით იგი მთვარის ნახევარი იქნებოდა, მასით კი — მთვარეზე ორჯერ მეტი) და ჯერაც გაუშიფრავ რადიოსიგნალებს გადმოსცემდა; მეორე: ,,ჯონი‘‘ (შემოკლებით ასე ეძახდნენ ,,ჯონათან სვიფტს‘‘) სრულიად ახალი ტიპის ლაინერი გახლდათ, რომლის კრეისერული სიჩქარე წამში დაახლოებით სამი ათასი კილომეტრი იყო და რომელსაც, ვარაუდით, უცნობ ციურ სხეულამდე ათ-თორმეტ თვეში უნდა მიეღწია.

,,ჯონი‘‘ დედამიწელებს მეტად ძვირი დაუჯდათ და ამიტომაც მას ,,ნერეიდა‘‘ უწინამძღვრეს — სწრაფი და მანევრული მომცრო ხომალდი, რომელსაც მზვერავის მისია ეკისრებოდა.

თუ ,,ჯონის‘‘ ეკიპაჟი ლაინერის ზომებს შეესაბამებოდა და ორმოცამდე კაცს ითვლიდა, ,,ნერეიდაზე‘‘ სულ ხუთნი იყვნენ. მეთაური ეჩედა ომახა, ბორტინჟინერი ტახე ლეონე, შტურმანი როი მეკეგი, რადისტი ალდე საგიტა და ექიმი ლუნა აიმორი. როი მეკეგი თვით მეთაურმა, ომახამ მოიწვია — თავის მომავალ შტურმანს იგი ჯერ კიდევ მინეაპოლისიდან იცნობდა და ფრიად აფასებდა ამ მშვიდი, სიტყვაძუნწი ახალგაზრდის ცოდნასა და გამოცდილებას.

,,ნერეიდას‘‘ ეკიპაჟის წევრებს შორის ფრენის პირველსავე დღეებში დამყარებულ დამოკიდებულებას, სამწუხაროდ, იდეალურს ვერ დაარქმევდა კაცი. ლუნა აიმორი ომახას დანიშნული იყო და აქ ყველაფერი რიგზე ჩანდა. მაგრამ ალდე საგიტამ, ტახე ლეონემ და როი მეკეგიმ საერთო ენა ვერა და ვერ გამონახეს. ალდე მუდამ კვარივით ენთო და იწვოდა, ტახე ლეონეც, როგორც იტალიელთა უმრავლესობა, ფრიად ეგზალტირებული არსება იყო, და ორივეზე საოცრად გამაღიზიანებლად მოქმედებდა შტურმანის გარეგნულად ცივი და ინდიფერენტული პიროვნება. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ ანტიპათიას რაიმე განსაკუთრებული ექსცესები არ მოჰყოლია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ალდეს ენამახვილობას მეკეგის მისამართით.

— ვინიპეგური ქარიყლაპია! — ჩაიბუზღუნებდა ხოლმე თვალმაყვალა რადისტი. — ნეტა როგორი უფრო უგემურია: შემწვარი, მოხარშული თუ შებოლილი?

სტარტიდან სამიოდე დღის შემდეგ ეკიპაჟის ყველა წევრი, მეკეგის გარდა, ერთმანეთს ,,შენობით‘‘ ელაპარაკებოდა, როის კი ,,შენ‘‘ ვერაფრით ვერ წამოაცდენინეს. შტურმანის ეს თვისებაც ალდეს დაცინვის საგნად იქცა, მით უმეტეს, რომ ერთხელ, სახელდობრ სტარტის მეშვიდე დღეს, როცა ლუნა აიმორის დაბადების დღე აღნიშნეს და შოტლანდიურ ვისკის გემო გაუსინჯეს, მეკეგის როგორღაც წამოსცდა, მე არისტოკრატიული ოჯახიდან ვარ, მამაჩემი ცოლსაც და შვილებსაც ,,თქვენობით‘‘ ელაპარაკებოდაო.

ამის შემდეგ, როცა კი ალდე როის ჩუმ გამოხედვას შენიშნავდა (ეს კი საკმაოდ ხშირად ხდებოდა) ან შტურმანის მოჩვენებითი ინდიფერენტიზმი მოთმინებიდან გამოიყვანდა, თვალებს მოჭუტავდა, თეთრად მოქათქათე კბილებს ფოცხვერივით დაკრეჭდა და გამოსცრიდა:

— არრისტოკრატტოს!..

როი მეკეგის ფოლადისებურ ნერვებზე არც ეს მოქმედებდა. იყო თავისთვის და თავის საქმეს აკეთებდა.

## 3

ალდე საგიტა კავკასიელი იყო, ძველთაძველ და სახელგანთქმულ ქალაქ დერბენტის მკვიდრი. ალვასავით აშოლტილ ქალიშვილს ხორბლისფერი პირისკანი, თვალების ნუშისებური ჭრილი და გრძელი, თითქოს ხელოვნური წამწამები ჰქონდა. ერთხელ ტახე ლეონემ აღფრთოვანებული მზერით აზომ-ჩაზომა ალდე და იკითხა:

— ნეტავი თუ იცის ჩვენმა გადასარევმა რადისტმა, რომ ...ოცრად იშვიათი და შესაფერი გვარის პატრონია?

— მართლა? — კეკლუცად შეარხია მკერდზე ჩამოშლილი ლამისფერი თმები ალდემ, უცებ მარცხნივ მიიხედა და ისევ დაიჭირა ჭადრაკის დაფაზე თავდახრილი როის ქურდული მზერა. — აბა ერთი გაგვანათლე, იტალიანოს!

— საგიტა ლათინურად „ისარს“ ნიშნავს, მეგობრებო, წარმოგიდგენიათ?.. ა, ალდე? შენ ხომ მართლაც ისარივით ატყორცნილი გოგო ხარ, წამწამებადაც პაწია ისრები გასხია... ერთი მითხარი, შემთხვევით შენი წინაპრები ლათინთა შთამომავალნი ხომ არ იყვნენ, ა?

რადისტმა გადაიკისკისა:

— ამაოდ ცდილობ ჩემი და შენი ნათესაური ფესვების ძიებას, ყმაწვილო, არაფერი გამოგივა! რაო, ასე არ არის, მეკეგი?.. მე ვხედავ, როგორღაც არ აეწყო დღეს ეჩედასთან შენი ორთაბრძოლა, არა, პოეტოს?

„პოეტოს“...

ლუნა აიმორის დაბადების დღემ ძალზე მხიარულად ჩაიარა, შოტლანდიური ვისკი შესანიშნავი იყო და როცა შეჭიკჭიკებული როი მეკეგი მარტო დარჩა, კომპიუტერს მიუჯდა. „ნერეიდას“ კომპიუტერს „საკმაოდ თავისუფალი მოაზროვნის“ სახელი ჰქონდა, მაგრამ მაინც ყველა განცვიფრდა, როცა საღამოს, ჩაიზე რომ შეიკრიბნენ, კომპიუტერმა საქვეყნოდ წაიკითხა ოთხტაეპიანი ლექსი:

ალდეს!
შორ ვარსკვლავთა ციალი
არ მიტაცებს სრულებით —
მხიბლავს შენი თვალების
შავი უსასრულეთი!

ალდე ავარდა და დავარდა, ტახეს, ომახასა და ლუნას სიცილში (მეკეგი ილუმინატორთან იდგა განცალკევებით და ოდნავ შესამჩნევად იღიმებოდა) სულ ადვილად „გამოტეხა“ კომპიუტერი, სასტიკად შეახურა იგი, მერე ირიბად გახედა როის, ტუჩები ჭირვეულად დაბრიცა და გამანადგურებელი სარკაზმით მიახალა:

— პოეტოს!..

ცოტა ხნის შემდეგ მეკეგი ტახე ლეონემ დაიმარტოხელა.

— როი, შენ ცუდი ბიჭი არ ჩანხარ. — ხმადაბლა უთხრა ლა ყურის ბიბილო მოისრისა. — ამიტომ მინდა მეგობრულად გაგაფრთხილო: ის შავი უსასრულეთი, შენ რომ მოუხიბლიხარ, საკმაოდ ვერაგი რამ არის და შავხვრელებითაა სავსე. აბა, წარმოიდგინე — მიფრინავ, მიფრინავ, უცებ უჩინარი კოლოსალური გრავიტაცია რკინის ხელს ჩაგავლებს, გაგაქანებს და ტიუუ! — თვალის დახამხამებაში არარაობად გადაიქცევი. მააშ! ასე რომ, ერიდე შავ უსასრულეთს, სენიორ მეკეგი, ე–რი–დე!..

4

პლანეტათშორისი კოსმოსური სივრცე არც ისე „დაუსახლებელი“ და ცარიელი აღმოჩნდა, როგორც მეოცე საუკუნეში ზოგიერთ ასტრონომს ეგონა. გარდა ათობით კომეტისა (რამდენიმე მათგანი ფრიად პოპულარულია — ენკე, ბიელა, ოლბერსი, ჰალეი), მზის ირგვლივ სხვადასხვა პერიოდით რომ მოძრაობენ და უშორესი პლანეტის ორბიტასაც კი უწევენ, მზის სისტემაში გუნდ-გუნდად დახეტიალობენ, აგრეთვე, საშუალო და მცირე ზომის ასტეროიდები, რომლებიც ზოგჯერ დედამიწის ატმოსფეროშიც შემოიჭრებიან ხოლმე. ამას „მუდმივ მეტეორულ ნაკადებს“ ეძახიან (ესენია ლირიდები, ორიონიდები, პერსეიდები, ლეონიდები, აქვილიდები...). მოხეტიალე ციურ სხეულებთან ხომალდის შეჯახების ალბათობაც იმაზე უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე წინათ ეგონათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასტეროიდების გუნდთან „ნერეიდას“ შეხვედრა მაინც უიშვიათეს გამონაკლისად უნდა ჩათვლილიყო.

ტახე ლეონე ხუმრობდა ხოლმე — ალბათობა და ბედი სინონიმური ცნებებიაო. და ის, რომ ეჩედა ომახამ ხომალდის დამცავი ველი გუშინ საღამოსვე არ აღადგინა, ძალიან ჰგავდა ბედთან თამაშს: ინსტრუქციის თანახმად, კოსმოსური ფრენის დროს შენიშნული ნებისმიერი უწესრიგობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. ამის გადადება არამც და არამც არ შეიძლება.

ეჩედა ომახა გამოცდილი მეთაური იყო, ინსტრუქციაც საკუთარი ხელისგულის ნახაზივით ჰქონდა შესწავლილი და არც უპალოო კაცი ეთქმოდა, მაგრამ არავინ იცის, რამ აიძულა, რომ დამცავი ველის აღდგენა მეორე დღისთვის გადაედო.

ასე თუ ისე, დილაადრიან „ნერეიდა“, რომელიც წამში თითქმის სამი ათასი კილომეტრის სიჩქარით მიჰქროდა, მოულოდნელად ასტეროიდების გუნდში შეიჭრა. კრაზანათა ჯგრო რომ დაესევა მათ სამფლობელოში შეჭრილ მტერს, სწორედ ისე მიაწყდა მზვერავი ხომალდის კორპუსს სხვადასხვა ზომის, ფორმისა და სიმაგრის ნამსხვრევები. ზოგი მათგანი პატარა ბომბებივით ფეთქდებოდა ნაცრისფერი ლითონის ზედაპირზე, ზოგმა კი ისე შელეწა „ნერეიდას“ სხეული, თითქოს ხომალდის კორპუსი ზემტკიცე შენადნობისა კი არა, მუყაოსი ყოფილიყოს. „ნერეიდა“ შიშით შეპყრობილ ცოცხალ არსებასავით ცახცახებდა, დაზიანებულ ნაკვეთურებში უკანასკნელ ამოსუნთქვასავით ქრებოდა ჰაერი და შიგ შეჭრილი აბსოლუტური ნული თვალის დახამხამებაში თოშავდა ყველას და ყველაფერს.

ეს ჯოჯოხეთი სულ ორმოციოდე მიკროსეკუნდის განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ მან „ნერეიდას“ ეკიპაჟის სამი წევრის სიცოცხლე შეიწირა.

5

— რეაქტორებიც დაზიანებულია? — ალდეს ხმა ჩახლეჩოდა, სახე გაქვავებოდა. თვალები კიდევ უფრო ჩაბინდებოდა.

ორივენი მართვის პულტთან ისხდნენ. მათი მაღალზურგიანი სავარძლები ძალიან ჰგავდა მოსამართლის სკამებს. პანელზე უკვე ენთო რამდენიმე წითელი, საავარიო ნათურა.



როიმ რიგრიგობით მოსინჯა მიყოლებით ჩამწკრივებული სამი ღილაკი. სამივეს გასწვრივ წითელი ნათურები აციმციმდა.

— არც ერთი არ მუშაობს, — წაიდუდუნა მეკეგიმ. — ჰერმეტიზაციაა დარღვეული.

— რა უნდა ვქნათ? — წამიერი დუმილის შემდეგ უმისამართოდ იკითხა ალდემ.

— „ჯონის“ უნდა დაუკავშირდეთ — როიმ საათს დახედა. — ისედაც სეანსის დროა.

ალდე საგიტამ უცნაურად გაიცინა — ქვითინს უფრო ჰგავდა ის სიცილი. გაკვირვებულმა მეკეგიმ თავი მოაბრუნა:

— რა იყო?

— უშენოდაც ვსინჯე ანტენის გაშლა. არ იშლება.

შტურმანი გაფითრდა:

— რა თქვით?

— რაც გაიგონე! გასაგებ ენაზე არ გითხარი? ანტენა გაიჭედა და არ იშლება-მეთქი, გესმის? — როის ბევრჯერ უნახავს საგიტა გაცეცხლებული. მაგრამ ასე გაღიზიანებული კი — არასოდეს. — არც დამცავი ველი მუშაობს, არც რეაქტორები, აღარც „ჯონის“ გამოძახება შეგვიძლია! გათავდა ყველაფერი! რაღა მკვდარი და რაღა შინმიუსვლელი! ბარემ ჩვენს წილადაც გაჩენილიყო ერთი ხეირიანი ასტეროიდი და ის იქნებოდა... იფრინე ახლა თვალდახუჭულივით... ღმერთო...

როის გვერდზე მიხედვისა ეშინოდა — ვაითუ ალდეს თვალებში ცრემლი დავინახოო.

— გავალ. ხელით მოვსინჯავ ანტენას. — თქვა უცებ მეკეგიმ — ხელით გავშლი.

— ხელით? — გაუკვირდა ქალს — შენ?

— ჰო. — როიმ მოწაფესავით დააწყო პანელზე ხელები.

— ღია კოსმოში მუშაობის დიდი გამოცდილება არა მაქვს, მაგრამ... როგორმე მოვახერხებ.

— მოიცა, — ალდე უცებ გამოცოცხლდა. წამოხტა, აფუსფუსდა. — მოიცა. ეს რა კარგი რამ მოიფიქრე! მაგრამ, იცირას გეტყვი რადისტი ჯერჯერობით მე მქვია და ჩემს საქმეს თავად უნდა მოვუარო! გაიგე, მეკეგი? გარეთ შენ კი არა. მე გავალ. მე ხომ უკეთ ვიცი, როგორ უნდა გაიშალოს ანტენა. საოცარია. რატომ თვითონ ვერ მოვიფიქრე ეს?

— ალდე... — რაღაც საწინააღმდეგოს თქმა დააპირა შტურმანმა, მაგრამ საგიტამ მბრძანებლური ჟესტით შეაწყვეტინა:

— არაფერი გამოგივა, მეკეგი! ძალიანაც კარგად ხვდები, რომ მართალი ვარ. მოდი, დროს ნუღარ დავკარგავთ. სკაფანდრი! სად არის სკაფანდრი?!

როი მიხვდა, რომ ახლა ამ აგზნებულ ქალთან კამათი წყლის ნაყვა იქნებოდა. სულის სიღრმეში ეთანხმებოდა კიდეც ალდეს — მან, რა თქმა უნდა, უკეთ იცოდა თავისი ანტენის ამბავი და საქმესაც გაცილებით მარჯვედ და სწრაფად გაართმევდა თავს. მაგრამ გული მაინც ეკუმშებოდა და ფეხები უკან რჩებოდა, როცა ალდესთვის ვერცხლისფერი, მსუბუქი სკაფანდრი გამოჰქონდა შუალედური ნაკვეთურიდან. მაინც ხმა არ ამოუღია, ჩაცმა უშველა და ჟანგბადის ავზის ონკანის გამართულობა შეამოწმა. მაგრამ ვიდრე ჩაფხუტს მიახრახნიდა, გულმა მაინც არ მოუთმინა:

— ალდე, მოაჯირს ხელი არ გაუშვათ, წამითაც არ გაუშვათ. გესმით?.. გთხოვთ... — მეკეგიმ ახლაც არ უღალატა ჩვეულებას და ქალს ისევ „თქვენობით“ მიმართა.

ალდემ მხოლოდ თავი დაუქნია.

## 6

დრო რაღაცნაირი ბლანტი და წებოვანი გახდა, ტაატით, ზლაზვნით მიდიოდა, თითქოს ვიღაც უხილავმა ყოველ წამსა და წამს შორის თითო გრძელი საუკუნე ჩაუმატაო. როიმ თითიც კი დაუკაკუნა ქრონომეტრის მინას, თუმცა მშვენივრად ხედავდა, რა სისწრაფით შემოწერდნენ ციფერბლატზე კონცენტრულ წრეხაზებს წამისა და მიკროსეკუნდის მეწამული ისრები.

მეკეგი ტელეეკრანზე ხედავდა, როგორი სიფრთხილით მიჰყვებოდა ალდე მოაჯირს. გამოსახულება შემცირებული იყო და სკაფანდრიანი ასტრონავტი ისეთი პატარა და უმწეო ჩანდა, რომ როის შეეშინდა — ვაითუ ქარწამოქროლილი ბუმბულივით მოწყდეს და გაფრინდესო...

ალდე საგიტას გული პირველად მაშინ შეუქანდა, როცა ლიუკიდან წელამდე ამოიწია. გარშემო შავზე უშავესი ცისა (ამას აღარც კი ეთქმოდა ცა!) და ზედ მიჭირხლული ცივცივი ვარსკვლავების გარდა ვერაფერს გამოკვეთდა ადამიანის თვალი. ზევით და ქვევით, წინაც და უკანაც ლუსკუმ უფსკრულს დაეღო ხახა. ეს უფსკრული ისეთი უძირო და უსასრულო იყო, რომ უცებ ირგვლივ ყველაფერი ატორტმანდა, ალდეს თავბრუ დაესხა და მოეჩვენა, თითქოს სადღაც ვარდებოდა. გამწარებული ორივე ხელით ჩაეჭიდა მოაჯირს, ისეთი ძალით ჩაეჭიდა, რომ თითები ეტკინა კიდეც. შეიძლება სწორედ ამ ტკივილმა დაუბრუნა წონასწორობა: თავბრუხვევამ ისევე უეცრად გაუარა, როგორც დაეწყო. სამყაროს რწევაც შეწყდა. ალდემ ღრმად ამოისუნთქა, ლიუკიდან ამოძვრა, სახურავი ფრთხილად ჩაკეტა და ნელი ცოცვით გაჰყვა მოაჯირს, ზედ ხელებს მიასრიალებდა და ასე, კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ.

ანტენა ლიუკიდან შორს არ იყო და რადისტმა მის ბუდემდე უხიფათოდ რომ მიაღწია, სიხარულით კინაღამ შეჰკივლა. ანტენის ჰორიზონტალური საკეტი ხელის გაწვდენაზე ჩანდა. ალდე გადაიხარა და მარჯვენა ხელით მიეტანა. დაეჯაჯგურა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. შეისვენა და კვლავ სცადა, მაგრამ ისევ ამაოდ. შუბლი ოფლით დაეცვარა, ბრაზი მოერია — ნუთუ იმდენი ძალა არა მაქვს, ეს საცოდავი საკეტი დავიმორჩილოო! ფეხები მოაჯირს შემოაჭდო, შემოახვია, მარჯვენა ხელს მარცხენაც მიაშველა და მთელი ძალით მოსწია. უზარმაზარი აჟურული ანტენა უხმოდ ამოვარდა ბუდიდან და ფანტასტიკურ მარაოსავით გაიშალა (როიმ იცოდა — „ნერეიდა“ ახლა შორიდან გიგანტურ ნემსიყლაპიას ჰგავდა). და სწორედ იმ წამს — გამარჯვების სიხარულით იყო თუ, უბრალოდ, ღონემ უღალატა — ალდე მოულოდნელად მოსწყდა ხომალდის კორპუსს, ერთი კი შეფრთხიალდა, წაეპოტინა ანტენას, მაგრამ ვერ მისწვდა და ნელა, სულ ნელა გაცურდა სივრცეში...

მეკეგის გულმა რეჩხი უყო და ძარღვებში სისხლი გაეყინა. სხეულში საოცარი სიმძიმე ჩაეღვარა. წამით თითქოს აზროვნებაც გამოეთიშა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, — მხოლოდ წამით სავარძლიდან ისე წამოვარდა, თითქოს მძლავრი ზამ-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბარა გაიშალაო, და თვალის დახამხამებაში შუალედურ ნაკვეთურში გაჩნდა. აქ დაბალ თაროებზე კიდევ ელაგა სამიოდე ვერცხლისფერი სკაფანდრი. შტურმანმა მიმოიხედა და კუთხეში ოცდაათმეტრიანი სახომალდო ბაგირის გორგალიც დაინახა. ბაგირს თავსა და ბოლოში სატაცები ჰქონდა, ერთი — კორპუსის მოაჯირზე წამოსაცმელად, მეორე — ქამრის ჩასაჭერად. მეკეგი ჩქარობდა, მაგრამ სკაფანდრში ხელ-ფეხი არ გაბლანდვია, სწრაფად გადაიცვა, ჩაფხუტი დაიხურა, მიიხრახნა, შუალედური ნაკვეთურის კარი მჭიდროდ მიკეტა და ჰაერტუმბო ჩართო. მაშინვე ბაგირის გორგალს ხელი დაავლო და ერთი ბოლო სატაცით ქამარზე მიიმაგრა. თუმცა ყოველივე ამას მეკეგი ავტომატივით, მექანიკურად აკეთებდა, იოტისოდენა შეცდომაც კი არაფერში მოსვლია. ნაკვეთურის კარის თავზე წითლად აკაშკაშდა მართკუთხა პლაფონი — ამ ოთახში ახლა აბსოლუტური ვაკუუმი იყო. უკვე შეიძლებოდა ლიუკის ახდა. და მხოლოდ მაშინ, როცა ლიუკის სახურავმა ნელ-ნელა აიწია და ვარსკვლავებით მოჭედილი შავი ცის სექტორი გამოჩნდა, ,,ნერეიდას" შტურმანის გონების სიღრმეში ბუნდოვნად გახმიანდა ინსტრუქციის ერთ-ერთი მუხლის კატეგორიული მოთხოვნა: ,,გარდა ავარიული შემთხვევისა, ხომალდზე აუცილებლად უნდა დარჩეს ერთი ასტრონავტი მაინც". თუმცა, როისთვის რომ გეკითხათ, დარწმუნებით ვერც კი გეტყოდათ, მართლა მოაგონდა თუ არა იმ წამს ეს მკაცრი შეგონება...

ღია კოსმოსში საგანთა შორის მანძილი ძნელი დასადგენია, იმიტომ, რომ იქ მყარი ორიენტირები არ არსებობს. ხომალდის კორპუსს მიკრულმა მეკეგიმ, რომელსაც შავი ცის ფონზე შორეული მზის სხივებით მკრქალად განათებული ვერცხლისფერი სკაფანდრის პოვნა არ გასჭირვებია, მანძილი თვალდათვალ შეაფასა და ეჭვიც არ შეპარვია, რომ ბაგირის სიგრძე იკმარებდა. ოღონდ აჩქარება იყო საჭირო, თორემ ალდე, რომელიც ერთხელვე შეძენილი ინერციით მოძრაობას განაგრძობდა, ყოველ წამს უფრო და უფრო შორდებოდა ,,ნერეიდას".

ჩაფხუტში რაღაცამ გაიტკაცუნა. მეკეგი უცებ ვერც კი მიხვდა, რომ ეს რადიო იყო.

— როი! — მოესმა ალდეს ხმა. — როი, ტყუილად ნუ წვალობ, ვერაფერს მიშველი! გესმის? დაბრუნდი ხომალდში და ,,ჯონის" დაუკავშირდი. ვაითუ ისიც შეეჯახოს ასტეროიდებს. როი, ხმა ამოიღე, გესმის თუ არა, რასაც გეუბნები?!

— ჰო, ჰო, მესმის — ჩაიდუდუნა მეკეგიმ, ბაგირის გორგალი დაიქნია და გაშალა. მერე ისევ თავისკენ მოიზიდა. მეორე სატაცი მოაჯირს მიამაგრა, მუხლებში მოიხარა და მოზომილად უბიძგა ხომალდის კორპუსს — ზუსტად ისე, როგორც წყალში მხტომელი მოსწყდება ხოლმე ნაპირის ბექობს თუ კოშკურის ბაქანს. მეკეგი ნელა გაცურდა წინ, ნელა, მაგრამ იმაზე სწრაფად, ვიდრე ალდე მიფრინავდა.

— ნუ სულელობ, როი... — ალდეს ხმაში მაინც გაკრთა ხსნის მცირეოდენი იმედი და მეკეგის გული შეეკუმშა. ,,ნუ სულელობო!" აბა რა ექნა როის? დარჩენილიყო ამ გვერდებშელეწილ ხომალდში და უდრტვინველად დალოდებოდა, ვიდრე ,,ჯონათან სვიფტი" წამოეწეოდა? ამისათვის ,,ჯონის", სულ მცირე, ოცდაათი საათი მაინც დასჭირდებოდა. ალდეს სკაფანდრის ავზში კი სულ საათნახევრის საკმარი ჟანგბადია, ახლა აღარც კი იქნება ამდენი... ,,აჰა, სულ ახლოსა ხარ უკვე".

როიმ უკან მოიხედა და შეკრთა: ბაგირი, რომელიც წეღან ზიგზაგით ეკიდა, თითქმის მთლიანად გაჭიმულიყო. თუმცა რა, აღარც ალდეა შორს!.. მაგრამ ვაითუ მაინც არ ეყოს სიგრძე! ა?! თუ პირველსავე ცდაზე ვერ მისწვდა, მერე, როცა ბაგირი სულ გაიჭიმება, მისი დრეკადობის ძალა ხომ უკან, ხომალდისაკენ გააქანებს როის!

— ალდე, ხელი! ხელი გამომიწოდე, ალდე! — მეკეგის

ხმა ჩაეხრინწა, თითქმის ჩაუწყდა. ხედავდა ახლა მილ... რები წყვეტდნენ ყველაფერს. ქამარზე ხელი გაივლო, სატაცი გახსნა, ბაგირის წვეროს მარცხენა ჩაეჭიდა და მარჯვენა ხელით ალდეს თითებზე წაეპოტინა. ცოტაც, სულ ცოტა კიდევ.

მაგრამ იმ წამს, როცა როისა და ალდეს თითები ერთმანეთს შეეხნენ, ბაგირი მთლიანად დაიჭიმა და ისე მოულოდნელად გაუცურდა ხელიდან მეკეგის, როგორც წამით მიყურებული და უცებ ასხმარტალებული კალმახი დაუსხლტება ხოლმე მეტისმეტად გულდანდობილ მეთევზეს.

— ღმერთო! — ჩურჩულით თქვა ალდემ, მაგრამ ეს ჩურჩული როის ცის ქუხილად მოესმა. — აკი გითხარი, როი, აკი გითხარი! ახლა რაღა ვქნათ, ახლა ხომ მთლად დავიღუპეთ, როი...

მეკეგიმ კბილები გააღრჭიალა, სიმწრისაგან ბავშვივით მოუნდა ტირილი. ალდეს მაჯას ხელი ჩაავლო, მოიზიდა, თავი მიუახლოვა საგიტას ჩაფხუტს. ახლა მათ ერთმანეთისაგან მინის ორი თხელი კედელიღა ჰყოფდა, მეტი არაფერი. მაგრამ ალდეს თვალებს მაინც ვერ ხედავდა — მზე ხომ სუსტად ანათებდა, ახლა კი, მით უმეტეს, „ნერეიდას" ჩრდილში იყვნენ. როის საოცრად, აუტანლად, ტკივილამდე მოუნდა, კიდევ ერთხელ ჩაეხედა ამ ქალის უძირო თვალებში, კიდევ ერთხელ.. უკანასკნელად...

— ნუ გეშინია, ალდე, ნუ გეშინია! — თვითონაც ჩურჩულით თქვა. ახლა ორივე ხელებით ეჭირა ქალის მკლავები, ოღონდ გამართული ხელებით ეჭირა, თითქოს უფრო ახლო მისვლას ერიდებაო. ისინი ნელა ბრუნავდნენ ჰორიზონტალურ სიბრტყეში. — ნუ გეშინია, შენ ოღონდ არ დაიბნე, ყოჩაღად იყავი...

მეკეგის ჩუმი ჩაშრიალება მოესმა — იმედგადაწურულმა ქალმა მწარედ თუ ჩაიცინა. ალბათ იქნებ საგიტა რამეს თქმასაც კი აპირებდა, მაგრამ ველარ მოასწრო: ... დროს ისინი ისე შემობრუნდნენ, რომ „ნერეიდა" ალდეს ზურგს უკან აღმოჩნდა. როი უცებ ორად მოიხარა, ფეხისგულებით მიეყრდნო საგიტას სკაფანდრს, ხელი გაუშვა და მკვეთრად უბიძგა. ალდე ხომალდისაკენ გაცურდა, მეკეგი კი — იმავე სიჩქარით — საწინააღმდეგო მიმართულებით.

— როი! — აღმოხდა საგიტას. — ეს რა ჰქენი, როი!

— ასე ჯობს! — როი მეკეგის ხმა საოცრად მშვიდად ჟღერდა. — ასეა საჭირო, ალდე!..

ლიუკში ჩასვლისას ალდე შემობრუნდა. შორს, შავ სიცარიელეში, ცივი ვარსკვლავების ფონზე ნელა მიცურავდა და თვალდათვალ პატარავდებოდა ვერცხლისფერი სკაფანდრი. საგიტა ცრემლიანი მზერით მიაცილებდა მას და მთელი მისი არსება ერთბაშად მოულოდნელმა გრძნობამ აავსო: ეს არ იყო არც გადარჩენის სიხარული, არც დასაღუპავად განწირული ასტრონავტის სიბრალული ან სინანული... ეს მოულოდნელი გრძნობა ძალიან ჰგავდა სიამაყეს — ადამიანის სულის სიდიადით გამოწვეულ სიამაყეს.

ალდემ ხელი შემართა და მოეჩვენა, რომ იმ ვერცხლისფერმა სკაფანდრმაც დაუქნია ხელი.

ხოლო როცა „ნერეიდას" ლიუკი დაიხურა და ალდემ ჰაერტუმბო ჩართო, მის ჩაფხუტში ძლივსგასაგონი ტკაცანი გაისმა: როი მეკეგიმ რადიო გამორთო.

გარეთ დარჩა შავი უსასრულეთი.

---

**ანა ბორისოგლებსკაია**

# წითელი ბადები და ცისფერი ცხენები

მოთხრობა

მხატვარი ჯემალ ლოლუა

ჩვენი დამეგობრება გარდუვალი იყო, ორივეს ერთნაირად გვიყვარდა ხალხმრავალი ეზოები, გაზაფხულის პირს გუბეებზე სიფრიფანა ყინული, საჰაერო ბურთის ნაკუწებისაგან გაკეთებული საწრიპინოები და ბევრი სხვა, უფროსების აზრით სრულიად უსარგებლო რამ. ხშირად ბავშვები ალბათ იმიტომაც მეგობრდებიან, რომ ამ საგანთა სამყარო ჭეშმარიტად უსასრულოა.

მე და სინელნიკოვს, ყოველივე ამასთან ერთად, საოცრად გვიტაცებდა ჟღერადი და გულისგამხარებელი სიტყვა „ბაზარი" სწორედ გარეუბნის ხმაურიანი და მხიარული შავი ბაზარი გვიყვარდა და არა ქალაქის, ზედმიწევნით საქმიანი და სალუქი.

ამ გატაცების თაობაზე სიტყვა არავისთან დაგვიცდენია, რადგან ვგრძნობდით, როგორ გააოცებდა შინაურებს ჩვენი მოგზაურობანი პრეობრაჟენკაზე.

სინელნიკოვი ჩემთან კვირა დღეს, დილაადრიან, საგულდაგულოდ დაბანილ-დავარცხნილი, ოქროსფერ ღილებიან ქურთუკში გამოწყობილი მოდიოდა ხოლმე. ასეთ შვილიშვილზე ალბათ ყველა ბებია იოცნებებდა, და არც ბებიაჩემი გახლდათ გამონაკლისი.

— შეხედე კოსტიას, — შურიანი აღტაცებით მეუბნებოდა ბებია, — როგორი მოწესრიგებულია! — და სიფაქიზის საწინდრად მაძლევდა ცხვირსახოცს, რომელსაც ვარდის ზეთის სუნი ასდიოდა.

შემდეგ ბებია ნაყინისათვის ხურდასაც ჩაგვიჩხრიალებდა, რადგან, მისი აზრით, ყველა ნორმალური ათი წლის ბავშვისათვის ნაყინი ნეტარების მწვერვალი იყო. და იწყებოდა ჩვენი მოგზაურობა.

ჩვენ ვერ ვიტანდით ბნელ გვირაბებში მოციმციმე ნათურებს და ამიტომ მეტროში არც კი ჩავდიოდით, ტრამვაითა და ავტობუსით მგზავრობას არაფერი გვერჩივნა.

მაშინ გარეუბანში ჯერ კიდევ ხის ტრამვაები დარახრახებდნენ. მზე რომ დააცხუნებდა, ვაგონებს ხისა და რკინის სუნი ასდიოდა. ჩვენი ტანსაცმელიც ამ მძაფრი სუნით იყო გაჟღენთილი და სინელნიკოვი თუნდაც ერთხელ უჩემოდ რომ წასულიყო პრეობრაჟენკაზე, ეს სუნი უთუოდ გასცემდა. მოსახვევებში ვაგონები ქანაობდნენ და უკმაყოფილოდ ჭრიალებდნენ.

მე ტკბილეულზე ვგიჟდები, ამიტომ თვალი სულ საკონდიტროსა და საფუნთუშეებისაკენ გამირბოდა. ახლაც კი ამ პატარა მაღაზიებით ვაგნებ ხოლმე გზას. და ყველაზე გულდასაწყვეტი სწორედ ის იყო, რომ არაფრის ყიდვა არ შეგვეძლო, ხურდა ფული მარტო სამგზავროდ გვყოფნიდა.

ბოლო გაჩერებიდან ბაზრამდე მოედანი უნდა გადაგვევლო. კოსტიას გოგოსთვის ხელის მოკიდებისა რცხვენოდა, მაგრამ მე იმდენად მაინტერესებდა, რა ხდებოდა ჩემს ზურგსუკან, რომ კოსტიას

ეშინოდა მანქანას არ გავეტანე, ორ თითზე ხელს ჩამავლებდა და ისე გადავყავდი.

საინტერესოა, რატომ გვრცხვენია ხოლმე სულ უმნიშვნელო რამეებისა? როცა ბებიამ ჩემს პალტოს სახელოებში ბაწარი გაუყარა ხელთათმანების დასამაგრებლად, მეგონა სირცხვილისაგან მოვკვდებოდი, ხელთათამანები ანკესზე დაკიდებული მკვდარი თევზებივით კონწიალობდნენ...

და მაინც მალე ის ხელთათმანები იმ ბაწრიანად დავკარგე.

მე და კოსტიას პრეობრაჟენკის ბაზარზე განსაკუთრებით ერთი კუთხე გვიყვარდა, სადაც ერთი და იგივე მოხუცები ჩრჩილისგან დაჭმულ სირაქლემის ფრთების მარაოებს, უთავსახურო ბროლის პულვერიზატორებს და დაჭმუჭნულ აბაჟურებს ჰყიდდნენ.

მაშინ გავიგე, რომ ყველა ნივთს თავისი ფასი ჰქონდა და თავისი მყიდველიც ჰყავს, ოღონდ არ უნდა მოტყუვდე და შენს ნივთში მის ნამდვილ ფასზე მეტი არ უნდა მოითხოვო. გამოცდილი მოხუცები იყვნენ, გაწაფული თვალით ატყობდნენ, ვის რა სჭირდებოდა და ვის რის მიცემა შეეძლო. ჩვენ კი სახეზე დიდი ასოებით გვეწერა, არაფრის მყიდველები რომ არ ვიყავით, მაგრამ მოხუცები ჩვენს მიამიტურ ინტერესსაც ხედავდნენ და ნივთის ხელისხლების ან დაკავების ნებას გვაძლევდნენ.

კოსტიას ადამიანების, ძაღლებისა და ხეების გამოსახულებებით მოხატული ლანგრები და ფინჯნები უყვარდა, მე კი სანახევროდ ფერგადასული ოქროს საღებავით დაფარული ჩიტის გალიები. ხელს რომ მოვაშორებდი, თითებზე მკრთალად მბზინავი მტვერი რჩებოდა. გალიები ჩვენს თვალწინ ძველდებოდნენ. მაგრამ მერე რა, დაბრეცილი და გადაცრეცილი თუ იყვნენ, ხომ შეიძლებოდა, ოდესღაც რომელიმე მათგანში თუთიყუშიც მჯდარიყო, რომელიც მე, სამწუხაროდ, არასოდეს მყოლია?

— ნუ ეფარები, ნუ ეფარები-მეთქი! — ყვიროდა ერთი ვაჭარი ქალი.

ეს ქალი ბაზრის პაწია სამყაროს მეფე და მუდმივი ცენტრი გახლდათ. სხვა მოხუცები თუ სულ ფუსფუსებდნენ, მიდი-მოდიოდნენ, ის ქალი მუდამ ერთსა და იმავე ადგილას იჯდა. ღობეს, რომელსაც ის ეყრდნობოდა, საცოდავი ჭრიჭინი გაუდიოდა. ამ ვეება ქალს ყინვაშიც კი ოფლიასხამდა, ხელში გრაგნილი ეჭირა და გაჰკრავდა ხოლმე მოხუცებს, როცა ისინი მის საქონელს — ღობეზე გაკრულ სურათებს ჩამოეფარებოდნენ.

კოსტია ამ სურათებს უბრალოდ კი არ აფასებდა, თითქოს სარბად, დიდი ყლუპებით სვამდა

სურათები ისეთი საოცარი ძალით გიზიდავდნენ, თითქოს გეძახდნენ.

გედები ტილოზე ვერ ეტეოდნენ, თითქოს ფრთების გაშლა და ტილოდან აფრენა, ამ აურზაურიდან და ფუსფუსიდან გაცლა უნდოდათ.

ტანაყრილი ხეები ლაღად იდგნენ, და მათი კენწეროები ისრებივით ატყორცნილიყვნენ ცაში. როცა სურათებს ვუყურებდი, ვგრძნობდი, როგორ მეუფლებოდა რაღაც უცნაური ძალა, მინდოდა მერბინა და ისე მექნია ხელები, რომ სახსრები ამტკენოდა!

ბალახიც გადასარევად ლურჯი იყო!

რამდენჯერმე მხატვარი — იმ ქალის ქმარიც დავინახეთ სიცივით მობუზული და საღებავებით მოთხვრილი დააწყობდა გრაგნილებს ღობესთან და წავიდოდა.

— გაყიდვისა რცხვენია, — რატომღაც ამაყად უხსნიდა მოხუცებს ცოლი.

მოხუცებიც დაიმორცხვებდნენ, თითქოს მათაც ეუხერხულებოდათ აქ ხეტიალი, და თავის გასამართლებლად ამბობდნენ:

— კი მაგრამ, რისა რცხვენიან, ხომ არ მოუპარავს, თავისას ყიდის.

მალე სინელნიკოვმაც დახატა გედი. გედი მიფრინავდა, ფართოდ გაეშალა უზარმაზარი წითელი ფრთები, ქვევით კი, დედამიწაზე, ვარდისფერი ქალაქი ყვაოდა.

— რატომ არის ეს გედი წითელი? — ვკითხე მე.

— დილაა, მზე ანათებს, — თქვა კოსტიამ. — ზემოთ ძლიერად ანათებს, ქვემოთ კი უფრო სუსტად ამიტომ ქალაქი ვარდისფერია, გედი კი წითელი.

მე ვდუმდი და ვფიქრობდი, მაგრამ, მიუხედავად დიდი სურვილისა, ცაში წითელი გედის წარმოდგენა მაინც ვერ შევძელი.

მაშინ კოსტიამ საღებავები აურია და ხასხასა მწვანე ბალახი და ყვითელი მთვარე დახატა.

— როცა ყვითელი მთვარე მწვანე ბალახს დაანათებს, რას მივიღებთ? — მკითხა მერე.

— ღამეს, — ვთქვი გაუბედავად.

— აბა უყურე, — თქვა კოსტიამ და საღებავები კვლავ აურია. ფუნჯიდან შრიალით ამოვიდა ლურჯი ბალახი, გადასარევი ღამეული ლურჯი ფერი მიიღო.

მართალია, სკოლაში ხატვის გაკვეთილები გვქონდა ხოლმე, მაგრამ, რაც თავი მახსოვს, მარტო სურებსა და ჯამებს ვხატავდით. ჩემი სურები ყოველთვის წაქცევაზე იყო და ხატვის მასწავლებელი აფანასი აფანასიევიჩი მარჯვედ გაასწორებდა ხოლმე მათ, ნახატს მსხვილსა და მკვეთრ კონტურს შემოავლებდა. მე ისღა მრჩებოდა, საკუთარი ნაცოდვილარი წამეშალა და სურა გამეფერადებინა.

აფანასი აფანასიევიჩი მთელი გაკვეთილის მანძილზე უხალისოდ ასწორებდა ჩვენს „ჭურჭელს". ტყუილად როდი შეარქვეს უფროსკლასელებმა მას აფუაფი. ეს მეტსახელი საუცხოოდ წააგავდა დამთქნარების ხმას და, საერთოდ, ჩვენს მასწავლებელს ძალიან ფიქრიანი გამომეტყველება ჰქონდა

ჩვენს სახელებს იგი არ სცნობდა და არც იმახსოვრებდა, კლასი დაყოფილი იყო „გოგონებად" და „ბიჭებად". დაფასთან გამოძახებისას აფ-აფი როგორღაც გვარის წინ სიტყვა „ბიჭის" ან „გოგონას" ჩამატებას ახერხებდა.

მე მას, მაგალითად, დავამახსოვრდი, როგორც გოგონა სნეგირიოვა.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც აფ-აფი სახელით მიმართავდა, სინელნიკოვი იყო. ალბათ იმიტომ, რომ კოსტიას ნახატებს შესწორება არ სჭირდებოდა, და ვიდრე ჩვენ ვცოდვილობდით, სინელნიკოვი კატის ზურგზე სურის დადგმას ან ჯამის კედელზე ვირაჟში შესულ მოტოციკლეტისტის მიხატვას ასწრებდა. აფ-აფი ჩაფიქრებული ისრესდა ცხვირს და კოსტიას ნახატებს თოკის სახელურიან საქაღალდეში ინახავდა.

მართალი გითხრათ, ხანდახან მშურდა კიდეც კოსტიასი, მინდოდა, ჩემი ნახატებიც მოხვედრილიყო იმ საქაღალდეში.

როცა კოსტიამ ფერადი ჩიტების ხატვა დაიწყო, მეც მივბაძე, მაგრამ ისეთი ტლანქი და უსახური ჩიტები გამომდიოდა, თითქოს ცომისაგან იყვნენ შეთითხნილი და ღუმელში გამომცხვარი. როცა დავრწმუნდი, რომ ჩემგან ოსტატი არ გამოვიდოდა, ერთგულ ქვეოსტატად გადავიქეცი.

ეჰ, როგორი მონდომებით ვურევდი საღებავებს ძველი გაზეთის ნახევზე! საღებავი ქაღალდზე იღვრებოდა და უცნაურ ნაყშებს ხატავდა. როგორ მიხაროდა ამ მხეფებისა და ლაქების ამოცნობა! დიდი ხნის წინათ განცდილი ეს სიხარული ახლაც მახსოვს, არ დამვიწყებია.

კოსტია მხედრებს, კარუსელებს, მოცეკვავეებს ხატავდა — საგნებისა და მოვლენების დაუცხრომელი მოძრაობა იტაცებდა. ხატავდა, რასაკვირველია, გედებსაც და სურათის კუთხეში ემბლემასავით გამოსახავდა მთვარეს ან მზეს.

ჩვენ უწინდებურად დავდიოდით ბაზარში...

ჯაფხულის დამდეგს საჭირო თანხა შევაგროვეთ. დიდხანს, ჩაციებით ვირჩევდით და თუმცა ყველაფერი მოგვწონდა, ფული მხოლოდ ორი ცხენისათვის გვეყო. ისინი ცას შეჰყურებდნენ, მათ გვერდით კი ვიღაც ქალი დიდ ბალალაიკაზე უკრავდა.

ღობესთან მჯდომმა ქალმა ფული ყურადღებით გადათვალა, გაქონილი



სამმანეთიანი გამოაძრო, ხელში ჩამიდო და მითხრა:

— მიდი, შენს გაზრდას, ცოტაოდენი ვაშლი მიყიდე, აქაურობას ვერ მივატოვებ.

მე გავიქეცი და მალე კომბოსტოს ფურცელზე დაწყობილი რამდენიმე მწიფე ანტონოვკა მოვუტანე.

— აჰა, აიღეთ, ჭამეთ, — თქვა მან და პირველმა მადიანად ჩაკბიჩა წვნიანი ვაშლი.

ბებიაჩემი სისუფთავესა და სიფაქიზესთან ერთად კარგ მანერებსაც მასწავლიდა, მაგალითად, „ზრდილი ადამიანები ქუჩაში არ ჭამენო“, — მეუბნებოდა.

მე ვაშლი მოვკბიჩე, ტკბილი წვენით ყელი ჩავიკოკლოზინე: არც სინელნიკოვი ჩამომრჩენია, წვენი ქურთუკის სახელოზე ეწვეთებოდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა და სიამოვნებით ილოკავდა თითებს.

— კარგი ბავშვები ხართ, — თქვა დეიდამ, — ყველაფერი გესმით. დიდი ხანია შევამჩნიეთ. მაგ სურათს გაუფრთხილდით. ახლა ასეთებს აღარ ხატავენ.

ჩვენ ვაშლს ვსანსლავდით და სავსებით ვეთანხმებოდით ქალს. სურათი კოსტიას საწოლთან ჩამოვკიდეთ და ოთახს თითქოს ნათელი მოეფინა. რამდენიმე საათის შემდეგ კი ეს სურათი ეზოში ვნახე დაგდებული. ვიღაცას უკვე მოესწრო ცხენებსა და ბალალაიკაზე ჭუჭყიანი ფეხებით გავლა.

როცა დაბნეულმა სურათი კოსტიასთან ავიტანე, ის უკვე აღარ ტიროდა, მაგრამ ქუთუთოები შეშუპებული და დაწითლებული ჰქონდა.

იგი შავ, მოჩუქურთმებულ საზურგიან სკამზე იჯდა. სინელნიკოვის მამა მაგიდაზე უწესრიგოდ დაყრილ შვილის ნახატებს ათვალიერებდა, სახე თითქოს გაბრტყელებოდა.

— ნიკა, — საცოდავად მითხრა და თავით იმაზე მანიშნა, რაც ხელში მეჭირა. — რამ ამოგატანინა ეგ საზიზღრობა? ნუთუ მოგწონს?

კოსტიას მამა კარგი კაცი იყო, ერთხელ „ლურჯ ფრინველზე“ წაგვიყვანა, ზაფხულობით კი ჩვენთან ერთად საბანაოდ დადიოდა. ადრე ვიღაცამ მიამბო, წყალში საშინელი ცხოველი „ძუა“ ცხოვრობსო, შეუმჩნევლად შეეპარება ადამიანს სხეულში, გულამდე შეაღწევს და გაათავებსო. მეც, წყალში ჭყუმპალობის ნაცვლად ტალღებს ჩავყურებდი და იმ საშინელ „ძუას“ ვეძებდი. იური

პეტროვიჩს ჩემი გადაჯერება არ უცდია. ზურგზე შემისვამდა და დელფინივით დამაცურავებდა. ერთ მშვენიერ დღეს კი ჩვენი მიში უკვალოდ გაქრა.

მე მიყვარდა იური პეტროვიჩ სინელნიკოვი და მისი წყენინება არ მინდოდა, მაგრამ რა მექნა, თუ კი იმ ნახატს შესანიშნავ ქმნილებად ვთვლიდი! ჰოდა, მეც ვთქვი, ,,კი-მეთქი‘‘...

შუა ოთახში სკამზე ჩამოვჯექი, იური პეტროვიჩმა ლაპარაკი დაიწყო.

ის გვიხსნიდა, რომ ჩვენი ბაზრული გატაცება შეცდომაა, რომ ,,წითელი გედები‘‘ უაზრობაა, ხოლო მოლაპარაკე ტბა მეშჩანობაა. გვევედრებოდა, მეშჩანებად ნუ გადაიქცევით, თორემ მშვენიერებას ველარ დაინახავთო, ცუდ გემოვნებას ავადმყოფობასავით უნდა ებრძოლოთო.

კოსტია თვალგაშტერებული იჯდა, მე კი ვუსმენდი იური პეტროვიჩს და ვფიქრობდი, სად შეიძლებოდა დამეკიდა ეს სურათი.

სახლში ბებია მყავდა, რომელსაც აბსოლუტური წესრიგი უყვარდა. ჩაისაც ფინჯნებიდან ვსვამდით, ფინჯანს ქვეშ ორ-ორ ლამბაქს ვუდგამდით, რომ, გაპრიალებული მაგიდა არ გაფუჭებულიყო. არა, ცისფერი ცხენების ადგილი ჩვენს გაწკრიალებულ, ლაპლაპა პარკეტიან ბინაში ნამდვილად არ იყო. ეს ცხენები მეტისმეტად ,,ქუჩური‘‘ იყვნენ და სახლში გამეფებულ წესრიგს სამუდამოდ დაარღვევდნენ.

— იმედი მაქვს, ყველაფერი გასაგებია, — იური პეტროვიჩმა მაგიდიდან ნახატები აკრიფა და კოსტიას გაუწოდა. — აჰა, გადაყარე, არ მინდა, რომ ოდესმე ამათ დანახვაზე შენი ბაზრული გატაცება გაგახსენდეს და სირცხვილით დაიწვა.

კოსტია ადგა, სამზარეულოდან ვედრო გამოიტანა და შიგ ჩაყარა ყველაფერი, რასაც ამ ცოტა ხნის წინათ სიყვარულით დახატული ადამიანები და ფრინველები ერქვა.

— შესანიშნავია, ახლა კი ხენდროს მურაბიან ჩაის გთავაზობთ. ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ნიკა, მაინც რად გინდოდა ეგ საზიზღრობა, რომ მოგითრევია? — და იური პეტროვიჩმა დიდი, მძიმე მაკრატელი გამომიწოდა. გასაგები იყო, რასაც გულისხმობდა.

როცა პატარები ვიყავით, ეს მაკრატელი დამბაჩის მაგივრობას გვიწევდა, რევოლვერის გასროლასავით ტკაცუნობდა, კოსტიამ მამას მაკრატელი გამოსტაცა და იატაკზე დააგდო. გაისმა ,,სროლის‘‘ ხმა.

ვიდრე დაბნეული იური პეტროვიჩი გვიყვიროდა — ადამიანურად ნათქვამი არ გესმით და ამიტომ მკაცრ ზომებს მივიღებო, ჩვენ სადარბაზოში გამოვვარდით და სურათი ცენტრალური გათბობის ბატარეის უკან დავმალეთ.

განსაკუთრებული სიმკაცრით არავის დავუსჯივართ, ეს იყო, რომ კვირაობით მუზეუმებში დაგვატარებდნენ და ბაზარზე უკვე იშვიათად თუ მოვხვდებოდით. იური პეტროვიჩმა გადამალა საღებავები, ფუნჯი, ფერადი ფანქრები. გადამალა იმ დრომდე, ვიდრე ყველაფერს არ შევიგნებდით. მაშინ ჩვენი სახლის მღებავებს ვთხოვეთ მწვანე საღებავი და კოსტიამ პირდაპირ ასფალტზე დაიწყო ხატვა. მე მის ნახატებს ვიცავდი და ვიდრე გაშრებოდა, ახლოს არავის ვაკარებდი. ჩვენი ეზო ხალხმრავალი იყო და, ცხადია, ხელს ვუშლიდით ყველას.

იმ დღეებში კოსტია სულ ერთსა და იმავეს ხატავდა. მინდორში გოგონა მირბის, მის თავზე კი გედი მიფრინავს. კოსტიას თითქოს არ გამოსდიოდა ნახატი და ბრაზობდა. მე გული მწყდებოდა — ის მწვანე გოგონა თითქოს მე მგავდა. არა, კოსტია ჩემზე სულაც არ ფიქრობდა, უბრალოდ სულ თვალწინ ვყავდი, ეგ იყო და ეგ. ძალიან მინდოდა, რომ ის გოგონა უფრო ლამაზი ყოფილიყო. ომის დროს აფეთქების ტალღამ ფლიგელის ფერადი შუშები ჩაამტვრია, თუმცა დიდმა დრო გაიარა, გაზონებზე მაინც ეყარა ფერადი ნამსხვრევები. აი, ეს ნამსხვრევები ავკრიფე და გოგონას კაბა გავულამაზე.

ერთხელ ეზოში თავისი განუყრელი ჩანთით ხელში აფ-აფი გამოჩნდა. განზე გამწია, მოიბოდიშა და გზა განაგრძო, მაგრამ თითქოს უცებ რაღაც გაახსენდაო, შემობრუნდა და კოსტიასთან მივიდა. ჩაცუცქდა, ფუნჯი გამოართვა კოსტიას, გოგონასა და გედის წინ მზის დისკო წაშალა, დაფიქრდა და მზე მათ ზურგსუკან გადაიტანა, მაშინ გოგონა თითქოს უფრო სწრაფად გაიქცა, ფრთები ააფრიალა გედმაც.

ისინი ჩუმად მუშაობდნენ, ფუნჯს მონაცვლეობით ხმარობდნენ, ასფალტი ნახატებით დაიფარა. ჩაცუცქული ჯდომა უხერხული იყო, წელი მეტკინა, ფეხი დამიბუჟდა. ავდექი და სკამთან მივედი, დავიცადე, ვიდრე ტკივილი გამივლიდა. მხატვრები კი ხატავდნენ და ხატავდნენ, არავითარ ყურადღებას აღარ მაქცევდნენ და მე სრულიად ზედმეტად ვიგრძენი თავი. ზევით ავიხედე და დავინახე მილი, საიდანაც ერთხელ გადმოვვარდი და თავი გავიტეხე, მერე ფლიგელის სხვენი... იქ ერთხელ ფეხი ვიღრძე და კარგა ხანს მტკიოდა. ეზოს მეორე გასასვლელში ძაღლმა მიკბინა. და უცებ ისე შემეცოდა ჩემი თავი, რომ ტირილი ძლივს შევიკავე.

სადარბაზოში შევედი და ბატარეის უკან ხელი გადავყავი, ეს სამალავი სხვებსაც გამოეყენებინათ. სურათთან ერთად იქ ჩოგბურთის ჩოგანი, სიგარეტის გახსნილი კოლოფი და გასაღებიც იყო. სხვაც ბევრი რამ იქნებოდა.

სურათი დამტვერილი და ბუნდოვანი იყო. ხელისგული გადავუსვი და ეზოში გამოვიტანე. აქ სახელდახელოდ გავწმინდე და აფ-აფისა და კოსტიას პირდაპირ სკამზე დავდე.

მერე კი, აი, რა მოხდა. აფ-აფმა მუშაობას თავი დაანება, ფუნჯი დადო და წელში გაიმართა. ის ჩვენს სურათს უყურებდა დიდხანს გაკვირვებით და სიხარულით, მომეჩვენა, თითქოს რაღაც ისეთი დაინახა, რაც ჩვენ არ შეგვიმჩნევია.

ვიდექი მათ გვერდით და გაფაციცებით ვაკვირდებოდი სურათს.

ბალალაიკა უკრავდა, თავაწეული ცხენები ცეკვავდნენ...

— ერთმა კარგმა კაცმა თქვა, ეს მეშჩანობა და ბაზრული უგემოვნობააო, — ვთქვი მე.

— შენ საკუთარ გულს დაუჯერე, გოგონა, — თქვა აფ-აფმა.

მე ჰაერი შევისუნთქე, თვალები დავხუჭე და გარინდული ვუსმენდი ჩემს გულს. სიჩუმე იყო.

— გულს გახელილი თვალები სჭირდება, ნიკა, — მითხრა აფ-აფმა.

სურათზე ქალმა ბალალაიკის სიმებს ჩამოჰკრა, უფრო ხმამაღალი, უფრო მხიარული მუსიკა გაისმა და აი, ამ მუსიკის ხმებში და ფლოქვების თქარუნში, ხელგაშლილი თავბრუდამხვევი ტრიალი მომინდა.

— თუ ერთ ადგილას არ შეგიძლია გაჩერება, თუ სიცილი და ხელების ქნევა გინდა, თუ შენთვის აუცილებელია, რომ ეს სხვა ადამიანებმაც იგრძნონ, მაშასადამე, ეს ნამდვილი სურათი ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ბაზარში გინახავს, — თქვა აფ-აფმა.

— გაიგე? — დამრიგებლური ტონით მკითხა კოსტიამ და ფეხზე მსუბუქად შემომკრა ხელი. მე უნებლიეთ მის გვერდით ჩავჯექი.

არ მომეწონა, სინელნიკოვს ძალიან ჭკვიანად რომ მოჰქონდა თავი. შემოვბრუნდი და ასფალტზე სურათების თვლა დავიწყე. ბევრი იყო და ამერია. ხოლო როცა დავთვალე, კოსტია და აფ-აფი აღარ ჩანდნენ. სურათი წაეღოთ და წასულიყვნენ. ჩანთა, საღებავებიანი ქილა და მე კი დავავიწყდით. მინდოდა დავწეოდი, გავიქეცი, მაგრამ არავიან ჩანდა. უკანვე მოვტრიალდი.

ალბათ, არსებობდა ჩემზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რაღაცა. ძალიან დაღონებული ვიყავი, მაგრამ წყენა უკვე აღარ ახლდა იმ უცნაურ გრძნობას, რომელიც თბილი და მსუბუქი ჰაერით მავსებდა. მე ქილა დავმალე, ჩანთის გვერდით დავჯექი და ერთგული ძაღლივით ლოდინი დავიწყე.

თარგმნა ნ. ფავლენიშვილმა

ბუნების კარი

# ფრინველი-პეპელა

ტყეებსა და ველ-მინდვრებში, ჭალებსა და ბაღჩებში ბინადრობს საოცრად ლამაზი, მოხდენილი ფრინველი. მას მიწაზე მოსიარულეს უფრო ხშირად ვხედავთ, ვიდრე ჰაერში მფრინავს, ფრენისას იგი სულ სხვა დასანახავია — განუმეორებელია მისი ფრენის მანერა — ლურჯ სივრცეს ტალღასავით ჰკვეთს მოწითალო ფერის, ხშირი თეთრი ხალებით დამშვენებული ფრთოსანი, რომელიც დიდი ზომის ჭრელ პეპელას მოგვაგონებს. ეს ჩვენთვის კარგად ცნობილი ოფოფია.

„უფ-უფ-უფ-უფ“, გაისმის ზაფხულის სიცხით გათანგულ ველ-მინდვრებში გრძელნისკარტა ოფოფის ხმა. დაგოგმანებს თავისთვის და როცა მოესურვილება, წამოიქოჩრავს თავის კოხტა სავარცხელს. იქნებ უცნაურად მოგეჩვენოთ ეს შედარება, მაგრამ როგორა ჰგავს მისი ეს თავისებური მოსართავი ტროპიკულ ფრთოსანთა ფრთებისგან გაწყობილ ინდიელთა საბრძოლო თავსაბურავს!

ოფოფი ხეზე ცოცვის დიდი ოსტატიც არის. ცოცვის ხელოვნებაში იგი კოდალასაც კი არ ჩამოუვარდება. ბუდეს ხშირად მობერებული ხეების ფუღუროში იკეთებს. თუმცა არცთუ იშვიათად ქვების გროვაში და სახლების სახურავებშიც სახლობს, ანდა ველად. იქ, სადაც ხეები და სხვა ნარგავები არ გვხვდება, ბუდეს კლდეების ნაპრალებში, ან ნანგრევებში იკეთებს.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ერთხელ დაწყვილებული ოფოფები სიკვდილამდე ერთმანეთის ერთგულნი რჩებიან. დედალი ხუთ-ექვს კვერცხს დებს, თან დღე-ღამეში თითო-თითოს, გამონაკლის შემთხვევებში სამს, იშვიათად კი თორმეტსაც. კრუხობს ივნის-ივლისში, ორ კვირაზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე. ამ დროს მამალი სწორედ რომ ჯენტლმენურად იქცევა — ჯერ არის და ერთგულად კვებავს კრუხს ათასგვარი ჭია-ღუით, ხოლო ინკუბაციის წინ საერთოდ ცვლის მას ბუდეში, თითქოს ეუბნება, ცოდო ხარ, წადი, დაისვენე, შენც გაინავარდეო. მოწითალო ღინღლით დაფარული ბარტყები ბუდეს არ შორდებიან. გაივლის სამიოდე კვირა და წამოჩიტულები ცხოვრებაში პირველ გაფრენას სცდიან მათთვის უცხო, ფათერაკებითა და მოულოდნელობით სავსე სამყაროში.

ახლად დაფრთიანებულები რომ ხიფათს აშორონ, მშობლები საცხოვრებლიდან შორს არ უშვებენ მათ. და მხოლოდ მაშინ ხდებიან წამოზრდილი ფრინველები დამოუკიდებელნი, როცა ზაფხული სრულ სიმწიფეში შევა. ახალი თაობა ოჯახის დანარჩენ წევრებს გამოეყოფა და იწყებს ადგილიდან ადგილზე მომთაბარე ცხოვრებას. მალე შემოდგომის ცივი ქარებიც შემოუბერავს, დაიწყება ფოთოლცვენა. ბუნებას ზაფხულის სამოსელი შემოეძარცვება და ოფოფებიც ცხელი ქვეყნებისაკენ გაეშურებიან. მათი გაფრენა წეროების ორგანიზებულ გეომეტრიულ ფიგურებად განლაგებულ საჰაერო ნაოსნობას როდი ჰგავს. შორეულ გზას ტროპიკებისკენ თამამად მიჰყვებიან ერთეული ან მცირე გუნდებად შეერთებული პატარა, მაგრამ გაბედული მფრინავები.

ოფოფები ხარბად იკვებებიან სხვადასხვა მწერებითა და მათი მატლებით. ნიადაგში, ხის ქერქში თუ ჰაერში ოფოფის გრძელ ნისკარტს რომელი ხოჭო, კალია თუ პეპელა წაუვა! მაგრამ ნადირობაც არის და ნადირობაც. ოფოფი მწერს ჯერ კლავს, შემდეგ ჰაერში აისვრის, კვლავ იჭერს და მხოლოდ ამის შემდეგ ყლაპავს. ვინ იცის, ეს ფრინველის ახირებული ჩვევაა თუ კვების ერთგვარი კომფორტი.

„უფ-უფ, უფ-უფ“, გაიძახის მიწაზე სწრაფად მოგოგმანე ფრინველი-პეპელა და თავისი არსებობით ახარებს დიდსა და პატარას.

არნ. გეგეჭკორი,

ფოტო დ. იაკობაშვილისა







ეროვნული ბიბლიოთეკა

## პასუხი №2-ში დასმულ კითხვებზე



# გონიოს ციხე

ჟურნალ „პიონერის“ 1979 წლის მეორე ნომერში მოთავსებულ ფოტოსურათებზე აღბეჭდილია გონიოს (გონიის) ციხე, რომელიც მდებარეობს ბათუმიდან 7-8 კმ-ის დაშორებით, გონიოს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე.

გონიოს ციხე ფორმით სწორკუთხედია. მისი სიგრძე 228 მეტრია, ხოლო სიგანე — 195. ციხის შიგა ფართობი 4,4 ჰექტარს შეადგენს. კედლების ქვედა ნაწილი დიდრონი თლილი ქვებით არის ნაშენი, ხშირად გვხვდება 100X80X70 სმ ზომის ლოდები. კედლების ეს ნაწილი ძველისძველია. მისი სიმაღლეა 5 მეტრი, ხოლო კუთხეებში, სადაც კოშკებია აღმართული, 7 მეტრს აღწევს. კედლის სისქე ზემო ნაწილში მეტრნახევარია.

ციხის გალავანს გარედან მიშენებული აქვს ერთმანეთისაგან თითქმის თანაბარი მანძილით დაშორებული 18 კოშკი. მათ შორის ყველაზე მაღალია გალავნის კიდეებთან აღმართული ოთხი კოშკი. ამ კოშკებში ასვლა შიგნიდან საგანგებოდ მიშენებული კიბით შეიძლება.

ციხის ცენტრში შედარებით გვიანდელი ნაგებობის — დიდი ჯამეს ნანგრევებია, ხოლო მიწაში გვირაბებია დარჩენილი.

ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მტკიცებით, ადრე ციხეს ჰქონდა 4 ალაყაფის კარი. მაგრამ ჩვენი დაკვირვებით ეს ცნობა არ დადასტურდა — ციხეს ორი შესასვლელი კარი უნდა ჰქონოდა — ერთი სამხრეთიდან და ერთიც დასავლეთიდან. მთავარი შესასვლელი ყოფილა დასავლეთის კარი, რომელიც მოთავსებულია მიშენებულ კოშკებს შორის და ამის გამო ღრმად არის შეჭრილი შიგნით. ამ სწორკუთხედის ფორმის შესასვლელის თავზე გარედან ამოღებულია დიდი თლილი ქვა, რომელზედაც, ადგილობრივ მოხუცთა გადმოცემით, წარწერაც ყოფილა. ეს წარწერიანი ქვა 1878 წელს ამოუღიათ.

ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ციხის მთავარ შესასვლელში მთლიანად დაცული ყოფილა ლამაზად მოჩუქურთმებული კარი, რომლის შესახებაც 1915 წელს წერდნენ: „ჯერ კიდევ ახლახან დაცული იყო იშვიათი ნაგებობის კარი, მაგრამ ეს კარი უცხოელმა არქეოლოგებმა წაიღეს და თანამედროვე დამთვალიერებლებს დაუტოვეს მხოლოდ ნაკლებად საინტერესო ნანგრევები“.

გონიოს ძველად უწოდებდნენ აფსარს. ცხადია, აფსარის ციხის თავდაპირველი შენობა აგებულია ძველი კოლხების — მრავალრიცხოვანი, მეომარი და კულტურული ხალხის მიერ.

აფსარი იხსენიება VIII საუკუნის ქართულ წყაროში. იოანე საბანისძე დასავლეთ საქართველოს საზღვრების აღწერისას იხსენიებს მას: „საყოფელი იგი აფსარეაისა“. VIII საუკუნის შემდეგ საისტორიო წყაროებში აფსარის ხსენება წყდება და მის ადგილზე ფეოდალური საქართველოს ძლიერების ხანაში შემოდის ახალი სახელწოდება — გონია (გონიო).

გონიოს ციხე თურქთათვის, თავდაპირველად, უნდა ყოფილიყო თავდასაცავი სიმაგრე, ხოლო შემდგომ შეტევებზე გადასვლის საყრდენი ბაზა გამხდარა.

იმ დროს ოსმალეთის მიერ დაპყრობილ შავი ზღვის სანაპიროებს თავს ესხმოდნენ კაზაკები. 1654 წელს ისინი მისწვდნენ გონიოს ციხესაც და აიღეს იგი. მალე მათ გარს შემოერტყა თურქთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი და მამაცი მეომრები გმირულად დაიღუპნენ.

თურქთა დროინდელ გონიოში მოსახლეობა მწირად სახლობდა, სოფელი უმეცრების, ჩამორჩენილობის, სიღარიბის წყვდიადში იყო ჩაძირული; ახლა გონიო აჭარის ერთ-ერთი მოწინავე და კეთილმოწყობილი სოფელია, ციხე კი — მრავალრიცხოვანი ექსკურსიების ერთ-ერთი მიმზიდველი ობიექტი.

გონიოს საშუალო სკოლის X-ა კლასის მოსწავლეები: **ნაირა ეუზიძე, ნონა მალაყმაძე, ცისანა ჯაფარიძე.**

**რედაქციისაგან:**

გონიელი მოსწავლეების პასუხი დაწერილია საკმაოდ კვალიფიციურად,



— მიხო, ვინ მოგცა თხილი?
— ძია ომარმა!
— მადლობა ხომ უთხარი?
— არა!
— რატომ?
— ცოტაა!

•

— ანდრო, როცა მასწავლებელი ხსნის, წერა არ შეიძლება!
— არ ვწერ, პატივცემულო მასწავლებელო!
— აბა, რას აკეთებ?
— ვხატავ!

•

— დედა, რა პატარა მუჭა ჰქონია ნინა ბებიას!
— საიდან იცი?
— თხილი მომცა!

•

გიას მამას მეგობარი პოეტი ესტუმრა. გიამ პოეტს ერთი მისი ლექსი წაუკითხა. სტუმარს მოეწონა გია და შოკოლადით დაასაჩუქრა.

ნასიამოვნებმა გიამ პოეტს მიმართა:

— ძია, მე კიდევ ვიცი თქვენი ლექსები!..

•

— დედიკო!
— რა გინდა, შვილო?
— ბაბუას ვარსკვლავი როცა არ უკეთია, მაშინაც გმირია?..

•

— გია, რასა ჭამ?
— არაფერს.
— ჩურჩხელას „არაფერიც“ ჰქვია?..

•

ზარის ხმა გაისმა. ქეთინოს დედამ კარი გააღო. ფოსტალიონი წასულიყო, გაზეთები კი კარის სახელურში დაეტოვებინა.

— დედიკო, ვინ იყო? — იკითხა ქეთინომ.

— არავინ, შვილო. ახალი გაზეთები მოვიდა!

— მერედა, გაზეთებმა დარეკეს ზარი? — იკითხა გაკვირვებულმა ქეთინომ.

**ავთანდილ მეგრელიშვილი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?



რა არის ამ ფოტოზე გამოსახული და რა იცით მის შესახებ?



თითქმის ამომწურავად. ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვეშვა გამონაკლისი და დაგვებეჭდა არა სპეციალისტის სტატია, არამედ სწორედ ზემოხსენებული პასუხი. მაგრამ მანამდე წერილის კომენტირება ვთხოვეთ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ იური სიხარულიძეს. აი, რა გვიპასუხა მან:

„მოსწავლეთა კოლექტიური წერილი ძალზე საინტერესოა. ბავშვებს უცდიათ მშობლიური სოფლის შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლის შესწავლა არა მარტო სამეცნიერო ლიტერატურით, არამედ უშუალო დაკვირვებითაც, და თითქმის ამომწურავი პასუხი გაუციათ ჟურნალის მიერ დასმული კითხვისათვის. წერილი მხოლოდ ორიოდე მცირე შენიშვნას იმსახურებს, სახელდობრ:

1. ციხეს მართლაც ოთხკუთხივ ჰქონდა გალავანში დატანებული კარი, რომელთაგან ორი მოგვიანებით ამოუქოლავთ (მაგრამ კარის გაუქმებული ჭრილისა და თაღის აღმოჩენა დაკვირვებული თვალისთვის ძნელი არ არის);

2. გონიის (უფრო სწორია „გონია" და არა „გონიო") ახლანდელი ციხე, რომელიც ველობზეა აგებული, რომაული პერიოდის ნახელავი ჩანს. ძველი ციხის არსებობა სავარაუდებელია გონიის სერზე, ახლანდელი ციხის აღმოსავლეთით, საიდანაც უკეთ შეიძლებოდა ადგილობრივი სახმელეთო, სამდინარო თუ საზღვაო გზების კონტროლი (აქედან ახლოა ჭოროხის შესართავი).

3. გონიის აწინდელ ციხეში რამდენიმე სააღმშენებლო ფენა გამოიყოფა. მათ შორის უძველესი III-IV საუკუნეებით თარიღდება, ხოლო უახლესი — ოსმალთა მფლობელობის ხანით.

ეს შენიშვნები, რომლებიც უფრო წერილის შევსების მიზნით შემოგთავაზეთ, არსებითი არ არის, მთავარი ისაა, რომ მოსწავლეები საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომას ავლენენ, რაც ჭეშმარიტად ქების ღირსია".



დიაპროექტორები „ეტიუდი" და „სვეტი" პატარა ზომისა არიან, ამიტომ ისინი ხშირად დააქვთ ხოლმე მეგობრებთან, ოჯახებში სტუმრობისას, მაგრამ საქმე ისაა, რომ მათი ნათურები ნაზია და იოლად ზიანდება, ამიტომ აჯობებს ნათურები ცალკე პენალით ატარო, თან ყოველი შემთხვევისათვის შიგ ბამბა ან პოროლონი დაუტანე.



როცა კედელი ან სახაზავი ქაღალდი ორი ფერით გინდა შეღებო, ორ ფერს შორის ზუსტი საზღვრის გავლება ჭირს; საამისოდ მისწრებაა საიზოლაციო ლენტი. შეღებვის შემდეგ საღებავის გაშრობამდე ლენტს აძრობ და ორ ფერს შორის საზღვარი სწორი იქნება.



გახვრეტილი ვედრო შეგიძლია სახელდახელოდ ასე შეაკეთო: ნახვრეტში პოლიეთილენის კონუსისებური დახვეული ნაჭერი ჩატენე. მერე თავსა და ბოლოში ასანთი მიუნთე. პოლიეთილენი გალღვება და ნახვრეტს საიმედოდ ამოგლისავს.



ბეტონის კედელში ნახვრეტის გაკეთება არც თუ ისე იოლია, ხშირად კედელში კენჭები ან არმატურაა ჩატანებული, ამ დაბრკოლების გადალახვა ასე შეიძლება: კენჭები ჩაქუჩის დახმარებით უნდა დაამსხვრიო, არმატურას კი ჩვეულებრივი ბურღიც მოერევა.





# ფრთხილად ავტომობილია!

განყოფილებას ხელმძღვანელობს თბილისის ავტოინსპექციის პროპაგანდის ქვეგანყოფილების ინსპექტორი ა. კანდელაკი.

უმცროსკლასელი მოსწავლეები ხშირად ერთად დადიხართ თეატრში, კინოში, გამოფენაზე, ექსკურსიაზე... როგორ უნდა მოიქცეთ, ბავშვებო, ქუჩაში ან გზაზე ჯგუფურად სიარულის დროს?

უპირველესად უნდა მოეწყოთ ორ მწკრივად. აუცილებლად თან უნდა გამოგყვეთ მასწავლებელი, პიონერხელმძღვანელი ან მშობელი. გამყოლს ხელში პატარა წითელი დროშა უნდა ეჭიროს. ტროტუარს ნელი ნაბიჯით მხარმარჯვნივ უნდა გაჰყვეთ, რიგი არ უნდა დაარღვიოთ, მარცხენა მხარეს არ უნდა გადახვიდეთ და სხვა მოსიარულეს არ უნდა შეუშალოთ ხელი. ხოლო თუ ჯგუფურად მიდიხართ და გზას ტროტუარი არ ახლავს, მაშინ გზის კიდურს უნდა გაჰყვეთ — შემხვედრი მანქანების საპირისპიროდ. ადევნეთ თვალი გამყოლებს და შეასრულეთ მათი ყოველი მითითება.

როგორ უნდა გადაჭრათ ჯგუფურად მოსიარულეებმა ქუჩა? უნდა დაიცვათ ყველა ცნობილი წესი. მოწესრიგებული გზაჯვარედინი მწვანე შუქნიშანზე ან მარეგულირებლის ნიშანზე გადაკვეთეთ. ნუ შიშობთ. ვიდრე ქუჩას არ გადაკვეთთ, მომწესრიგებელი მოძრაობას არ განაახლებს. ქუჩა უფაციფუცოდ, მშვიდად უნდა გადაჭრათ. უფრო რთული და საფრთხილოა მოუწესრიგებელ გზაჯვარედინებზე გადასვლა. ამიტომ იქ გაათკეცებული ყურადღება გმართებთ.

ტრამვაიდან, ავტობუსიდან, ტროლეიბუსიდან გადმოსვლა მხოლოდ ტრანსპორტის სრული გაჩერებისას შეიძლება. ტრამვაიდან გადმოსულებმა მარჯვნივ უნდა გაიხედოთ და



## სარჩევი


ბედნიერი ბავშვობის დიდი ზეიმი . . გარეკ. 2
კონდრაშოვი ა., ხერგიანი მ. — მხარდამხარ მომავლისაკენ (ნარკვევი) . . . . . . . . 2
კობერიძე ქ. — სათიბის მარწყვი (მოთხრობა. გაგრძელება) 5
ლ. პრიცკერი — მშობლიური ზრუნვის გამომხატველი ნიშნები (წერილი) . . . . . . . . 13
გამოჩენილი სპორტსმენის ტრიბუნა -(ჯ. ცერცვაძე) . . 15
ჩხეტიანი მ. — ლექსები . . . . . . . . 16
აისი . . . . . . . . . 18
აფხაზავა ნ. — შავი უსასრულეთი (მოთხრობა) . . 20
გორისოგლებსკაია ა. — წითელი გედები და ცისფერი ცხენები (მოთხრობა) . . . . . . . 25
გეგეჭკორი არნ. — ფრინველი-პეპელა 29
იუმორი . . . . . . . 30
იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს . . 31
ფრთხილად, ავტომობილია! . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . გარეკ. 3



გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ელისო ცაბაძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81
პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 25/VII-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/IX-79 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 2038. ტირ. 150.700. უე 12472.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



© „პიონერი", 1979 წ.



თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროტუარზე შემდეგ ახვიდეთ. არ შეყოვნდეთ საფეხურზე.

მოსკოვის, მინსკის, გორკის, ტოლიატის, ულიანოვსკის, ქუთაისის ავტოქარხნების კონვეიერებიდან განუწყვეტლივ გადმოდის ავტომანქანების ნაკადი. ავტომანქანების გარეშე დღეს წარმოუდგენელია ჩვენი ცხოვრება. ავტომანქანა ათასგვარია. მძღოლის—შოფრის პროფესია ერთ-ერთი. გავრცელებული პროფესიაა. ამას გარდა, საჭეს უზის ასიათასობით მოყვარული — საკუთარი მანქანის მფლობელი.

დიდია მძღოლის პასუხისმგებლობა, მძიმე მოვალეობა აწევს მას მხრებზე. როგორ გზაზე, როგორ პირობებში თუ ამინდში აღარ უხდება მას მანქანის მართვა... ამიტომ მძღოლი, განსაკუთრებით სამუშაო დღის ბოლოს, იღლება, მის მოძრაობას სიზუსტე აკლდება. გავუფრთხილდეთ, პატივი ეცით მძღოლის პროფესიას. ზუსტად დაიცავით მოძრაობის წესები.





ამით დიდ სამსახურს გაუწევთ მათ და მათს შრომას, თანაც — თავსაც დაიცავთ ხიფათისაგან.

გახსოვდეთ, მოძრაობის წესების დარღვევისას თქვენ არა მარტო თქვენს თავს უქმნით დიდ საფრთხეს, არამედ მძღოლსაც ხიფათში აგდებთ.

## გეოგრაფიული კროსვორდი



თარაზულად: 3. მდინარე, რომელიც რვა სახელმწიფოში გადის. 4. მდინარე ვოლგის შენაკადი; 6. მტკვრის შენაკადი; 10. კამერუნის დედაქალაქი; 11. აფრიკის სახელმწიფო; 13. სახელმწიფო, რომელსაც ორი დედაქალაქი აქვს; 17. დედამიწის მცირე მოდელი; 18. ამინდის რეჟიმი, ჰავა; 19. ქალაქი ესტონეთში; 20. გარშემო, ანუ? 22. რსფსრ საოლქო ცენტრი; 24. ქალაქი და ყურე კუნძულ სახალინთან; 29. მთის ქანების ჩამორეცხვა; 30. ტერიტორიული დანაყოფი; 31. სუბტროპიკული მცენარე; 32. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 33. დიდი წყალსატევების შემაერთებელი წყლის ვიწრო ზოლი.

შვეულად: 1. სახელმწიფო, რომელიც ქვეყნის ორ ნაწილში მდებარეობს; 2. ტროპიკული ციკლონი; 5. იაპონიის კუნძული; 7. ზღვებისა და ოკეანეების კატასტროფული ღელვა; 8. სოფელი ხობის რაიონში; 9. კურორტი საქართველოში; 12. მცენარეთა სამყარო; 13. მოკავშირე რესპუბლიკა; 14. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 15. სოფელი თელავის რაიონში; 16. ამერიკის სახელმწიფოს დედაქალაქი; 21. მარმარილოს საბადო საქართველოში; 23. ქალაქი — სამთო-სათხილამურო ბაზა იაპონიაში; 25. მსოფლიოს უდიდესი ჩანჩქერი; 26. ქვანახშირის საბადო სსრ კავშირში; 27. დედამიწის სახელწოდება ბერძნულად; 28. ქალაქი ბამზე.

კობა კონიაშვილი,
თბილისის 51-ე საშუალო სკოლა IX კლასი.





გამოცანა

ორი ხელი, ორი ყური,
ყურებს შუა ერთი კუდი.
უწინ ყველას ჰქონდა იგი
და ეხურა როგორც ქუდი.

შ. ნიკოლეიშვილი

### პასუხის № 8-ში დაბეჭდილ „ცხრაკლიტულზე“

კროსვორდი

თარაზულად: 3. მარმაში; 8. მანინო; 9. ზარზმა; 10. ლაქი; 11. მონტენი; 12. აბრა; 13. კორიფე; 15. ახკილი; 17. პრალა; 19. გოლდენვეიზერი; 22. ამური; 24. ჩხეიძე; 26. „გაიანე“; 27. ეტანა; 29. ემისარი; 30. კაკო; 31. ანონსი; 32. რებუსი; 33. ასპინძა.

შვეულად: 1. მაკარონი; 2. ზიჩი; 3. „მოამბე“; 4. მისტიკა; 5. იზმირი; 6. არზა; 7. ამარილდო; 14. ინდოეთი; 16. კუპრინი; 17. პრეხა; 18. ატიკი; 20. სუხოტინი; 21. ფუნაკოში; 23. უნისონი; 25. ელეგია; 36. გვიმრა; 28. აინი; 30. კუბი

გამოცანა

თვალი

76157

6.85/140

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა სვანეთი — ლაჟვარდში გარინდებული თეთრი მწვერვალები, უღრანი ტყეებით შემოსილი მთათა კალთები, მქუხარე, აქაფებული მდინარეები, რძისფერი ჩანჩქერები... ყველაზე ლამაზი სანახავი მაინც სოფლებია, ძველთა ძველი, წერწეტა კოშკების ტევრით დამშვენებულნი, მათი მკვიდრი სვანების მარჯვენით დახატულნი ზღაპრული ბუნების თვალწარმტაც ფონზე. აქ ხშირად ახმიანდებიან ხოლმე ვეებერთელა ზარები, მაგრამ არა რაიმე უბედურების, განგაშის მაუწყებლად, როგორც ოდესღაც, არამედ საერთო ზეიმის, რაიმე სასიხარულო ამბის მახარობლად... აქ, ორბ-არწივების მხარეში აგუგუნებენ მზის საგალობელ „ლილეს“ მუხლმაგარი ვაჟკაცები, მკლავმოუღლელი მშრომელები...



ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო სერგო თევზაძისა